



საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტი  
1922 წლიდან

ვახტანგ არჩვაძე

არქიტექტურულ-სამშენებლო  
პროექტირების მართვის თანამედროვე  
ციფრული სისტემები და მათი  
სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სადოქტორო

პროგრამა მშენებლობა

შიფრი 0732

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თბილისი, 0160, საქართველო

2022 წ

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ფაკულტეტი სამშენებლო

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავაცანით ვახტანგ არჩვაძის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირების მართვის თანამედროვე ციფრული სისტემები და მათი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო, ტექნოლოგიების და საბუნებისმეტყველო საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

-----, ----- 2022 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი ელინა ქრისტესიაშვილი  
პროფესორი ზურაბ კვიციანი

რეცენზენტი: \_\_\_\_\_

რეცენზენტი: \_\_\_\_\_

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2022 წ

ავტორი: ვახტანგ არჩვაძე

დასახელება: „არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირების მართვის თანამედროვე ციფრული სისტემები და მათი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა“

სადოქტორო პროგრამა: მშენებლობა

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა \_\_\_\_\_

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ შემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა \_\_\_\_\_

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

## რეზიუმე

არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირების მართვის ავტომატიზაციის ხარისხობრივად ახალი დონე ინფორმაციული მოდელირების ტექნოლოგიას იძლევა, რომელიც პროექტირების სხვადასხვა სტადიაზე სამშენებლო ობიექტების ერთიანი საინფორმაციო მოდელის შექმნას, მის გამოყენებასა და განვითარებას გვთავაზობს მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპებზე.

არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირების მნიშვნელოვანი ნაწილია მშენებლობის კალენდარული დაგეგმარება. პროექტირების პროცესში კალენდარულ გეგმას წამყვანი როლი უკავია. სამშენებლო სამუშაოთა შესრულების ხერხების საუკეთესო კომბინაციის განსაზღვრა რთულ ამოცანას წარმოადგენს. სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მეთოდების ამორჩევა და რესურსების განსაზღვრა დაგეგმარების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს და არსებითად მოქმედებს კალენდარული გეგმის შედგენაზე.

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტირებისთვის კალენდარული გეგმის შედგენა უზრუნველყოფილია პროგრამული საშუალებებით, რაც საჭიროებს შენობის ინფორმაციული მოდელის ინტეგრაციის მეთოდის შექმნას, შემუშავებული ალგორითმების გამოყენებით და სამუშაოთა წარმოების პროექტისათვის სამუშაოთა სივრცეების გათვალისწინებით.

მშენებლობის ორგანიზაციის და სამუშაოთა წარმოების პროექტირების პროცესში პროექტის ხარისხი და ეფექტიანობა გადამწყვეტ გავლენას ახდენს პროექტის რეალიზაციის მთელ პროცესზე. სამშენებლო საორგანიზაციო-ტექნოლოგიური პროექტირების და სამუშაოთა წარმოების ერთ-ერთ მთავარ ეტაპს წარმოადგენს სამშენებლო წარმოების კალენდარული დაგეგმარება, რომელიც მოიცავს მშენებლობის ტექნოლოგიის ამორჩევას, სამუშაოთა განსაზღვრას, აუცილებელი რესურსების შეფასებას, სამუშაოთა ხანგრძლივობის გაანგარიშებასა და ამ სამუშაოთა თანმიმდევრობის განსაზღვრას.

პროექტირების ავტომატიზაციის პროცესი საშუალებას გვაძლევს დავაჩქაროთ გადაწყვეტილებების მიღება, შევამციროთ შესატანი ინფორმაციის რაოდენობა და ავიცილოთ ადამიანურ ფაქტორებთან დაკავშირებული შეცდომები. არსებობს კალენდარული დაგეგმარების მრავალი თანამედროვე მეთოდი და საშუალება, რომელიც გვხვდება რთული საპროექტო ამოცანის გადაწყვეტაში, მაგრამ მშენებლობის დაგეგმარება ჯერ ისევ შრომატევად პროცესს წარმოადგენს, რომელიც ბევრ დროს გვართმევს. პროექტირების ავტომატიზაციის ერთ მხარეს წარმოადგენს ეფექტიანი ალგორითმების და გამოყენებითი ამოცანების გადაწყვეტის პროგრამული საშუალებათა ამორჩევა და დამუშავება.

ტექნოლოგიური პროგრესის და შენობის ინფორმაციული მოდელირების ტექნოლოგიის მეშვეობით BIM პროექტირების პროცესების სრულყოფისთვის ახალი შესაძლებლობები წარმოიქმნება, მაგალითად, 4D

BIM ტექნოლოგია არის 3D მოდელს + „დრო“, რომელიც საშუალებას გვაძლევს შენობის კომპონენტები დავაკავშიროთ მშენებლობის კალენდარულ გეგმასთან და ვიზუალურად გამოვსახოთ მშენებლობის პროცესი. ავტომატიზაციის ალგორითმების განვითარების სფეროში შემდგომი წინსვლა საშუალებას მოგვცემს შევამციროთ დრო, ავამაღლოთ პროექტის კალენდარული დაგეგმარების პროცესის ხარისხი.

პროექტის შესრულების კრიტერიუმები „დრო“ და „ღირებულება“ პროექტის ოპტიმიზაციის ძირითად მიზანს შეადგენს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ პროექტში თითოეული სამუშაო შეიძლება არა მარტო გარკვეული რესურსების განსაზღვრული რაოდენობის გამოყენებით განხორციელდეს, არამედ რესურსების სხვადასხვა ტიპების ამორჩევით, მათ შორის შრომითი რესურსის, მანქანა-დანადგარების, მეთოდებისა და მშენებლობის წარმოების ტექნოლოგიის ჩართულობით.

არსებობს ოპტიმიზაციის მოქნილი მოდელის შექმნის აუცილებლობა, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოთა თანმიმდევრობის სხვადასხვა ტიპებს, სამუშაოთა ხანგრძლივობის შემცირებას, მინიმალურად ამცირებს პროექტის საერთო ღირებულებასა და დროს მთელი პროექტის შესასრულებლად. არსებობს გადაწყვეტილების მიღების სცენარების ფორმალიზაციის აუცილებლობა პროექტის შესრულების დროისა და ღირებულების ოპტიმიზაციისას.

სამშენებლო სამუშაოთა შესრულების ოპტიმალური სტრატეგიის განსაზღვრისათვის აუცილებელია მრავალი შესაძლო ალტერნატივის განხილვა. პროექტების ავტომატიზაციის განვითარების და მშენებლობაში კალენდარული დაგეგმარების ოპტიმიზაციის ამოცანების გადაწყვეტაში დიდი შესაძლებლობები ევოლუციურ ალგორითმებს EA-ს აქვთ, განსაკუთრებით კი გენეტიკურ ალგორითმებს GA.

გენეტიკური ალგორითმის საფუძველზე შემუშავებულ ახალ მეთოდებს პროექტის ვადისა და ღირებულების მოთხოვნილ მნიშვნელობებთან საკონტაქტო და სახელშეკრულებო შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველყოფა შეუძლია. გენეტიკური ალგორითმების საფუძველზე შემოთავაზებულია პროექტის სამუშაოთა შესრულების სტრატეგიის ალტერნატივების და პროექტის გეგმის ოპტიმიზაციის ანალიზი. შემოთავაზებულია სამუშაოთა ხანგრძლივობის შემცირების მეთოდიკა პროექტის ხანგრძლივობის ოპტიმიზაციისას. შენობის ინფორმაციული მოდელირების BIM და გენეტიკური ალგორითმის GA საფუძველზე შემუშავდა მშენებლობის კალენდარული გეგმა და ოპტიმიზაციის ინტეგრირებული ავტომატიზაციის მეთოდიკა.

გამოვლენილია კალენდარული გეგმის შემუშავების კომპლექსური ავტომატიზაციის შესაძლებლობა პროგრამული საშუალებების ინტეგრაციის საფუძველზე. შენობის კომპონენტებზე BIM-ში შენახული ზუსტი ინფორმაციის გამოყენება საშუალებას მოგვცემს პროექტის სამუშაოთა სახეობები უფრო ეფექტიანად განვსაზღვროთ, გავიანგარიშოთ მათი ხანგრძლივობა და ბოლოს მოვახდინოთ პროექტირება.

შენობის ინფორმაციული მოდელის საფუძველზე შემოთავაზებულია სამუშაო სივრცეების სამგანზომილებიან ვიზუალურ რეჟიმში და დროში ასახვის მოდელი სამუშაო სივრცეთა რაიმე კონფლიქტის განსაზღვრისათვის. ოპტიმიზაციის შემოთავაზებულმა მეთოდებმა აჩვენა ალგორითმის უნარი, გადაწყვიტოს ამოცანები ლოგიკური ფარდობის სხვადასხვა ტიპებით და სამუშაოებს შორის წყვეტების გათვალისწინებით. შემუშავებულმა პროგრამამ შეიძლება წარმოადგინოს პროექტის შესრულების ხანგრძლივობის გაანგარიშების სხვადასხვა სცენარი შესაბამის ხარჯებთან ერთად, იმისათვის, რომ მოხდეს მშენებლობის გრაფიკის ოპტიმიზაციის გადაწყვეტა.

პროგრამამ აჩვენა თავისი უნარი რეალური პროექტის და ოპტიმიზაციის სცენარების მოქნილი გამოყენების ამოცანების გადასაწყვეტად სხვადასხვა კრიტერიუმებისგან დამოკიდებულებით. სამუშაოთა შესრულების სხვადასხვა შესაძლო ხერხების კომბინაცია პროექტის მრავალი ალტერნატიული გეგმის გენერირებას ახდენს თავისი ხანგრძლივობით და ღირებულებებით. მაგრამ, შემოთავაზებული ალგორითმის პროგრამული რეალიზაცია შედეგს ძალიან მოკლე დროში გვაძლევს. კორექტირებული და შევსებული 3D BIM, საშუალებას გვაძლევს მთლიანად ან ნაწილობრივ მოვახდინოთ ანგარიშების და ოპერაციების ავტომატიზირება, რომლებსაც ადრე ხელით ვასრულებდით.

შემოთავაზებული 4D მოდელი საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ სამშენებლო პროცესის ვიზუალიზაცია, რაც გვაძლევს თვალსაჩინო, იოლად აღსაქმელ ინფორმაციას მთელი პროცესის წარმოსადგენად და გასაგებად. სამუშაო სივრცეებთან ორგანიზებასთან დაკავშირებული პრობლემების ადრეული იდენტიფიკაცია ამცირებს მოცდენის დროს, აუმჯობესებს სამუშაოთა ხარისხს, ასევე ამცირებს პროექტის განხორციელების გეგმიდან გადახრას. მშენებლობის თითოეული გრაფიკის შენობის კომპონენტების და სამუშაო სივრცეების 4D ვიზუალიზაციის კომპლექსური განხილვისას, რომელსაც შემოთავაზებული გენეტიკური ალგორითმით ვიღებთ, შესაძლებელია სამუშაო სივრცეების და კონფლიქტების განსაზღვრა.

აღწერილია რეალურ მშენებარე ობიექტზე სამუშაო პროცესის მაღლივი შენობის ფასადის არარეგულარული ზომის წახნაგების მოსაპირკეთებლად ფილების ამორჩევა და დამუშავება. ოპტიმიზაციის მაგალითი ავტორის მიერ დინამიური პროგრამირების და იმიტაციური მოდელირების მეთოდით შემუშავებული პროგრამული მოდულების გამოყენების საფუძველზე. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ფაქტობრივად ეს CAD/BIM გამოყენებითი პროგრამული პაკეტების ინტერფეისის ადაპტაციისა API (Application Programming Interface) და ხელოვნური ინტელექტის პრინციპის გათვალისწინების მცდელობაა. რაც სიმპტომატურია BIM ტექნოლოგიის ათვისების და დანერგვის თვალსაზრისით.

## Rezume

A qualitatively new level of automation of architectural and construction design is provided by information modeling technology, which assumes the creation, use and development of a single information model of construction objects at different stages of design, both during construction and during operation.

An important part of architectural and construction design is construction planning, which is the main part of the diploma work. The calendar plan plays a leading role in the design. The definition of the best combination of construction methods is a complex task. The choice of methods of production of construction works and the definition of resources is an important part of planning and significantly affects the choice of a calendar-planning decision. The planned work has an alternative way of implementation.

A calendar-planned study for the design of a building organization is provided by software. That requires the creation of a method of integration of the information model of the building with the use of developed algorithms and taking into account working spaces for the project of production of works.

The quality and efficiency of the project in the process of designing the organization of construction and production of works has a decisive influence on the entire process of project implementation. One of the main stages of the organizational and technological design of construction and production works is the development of a calendar plan for construction production. Составление календарного плана includes selection of construction technologies, determination of works, estimation of necessary resources, calculation of duration of works and determination of the sequence of these works.

The process of automation of the design allows us to speed up decision-making, reduce the amount of input data and avoid errors related to the human factor. There are many modern methods and means of calendar planning that can be found when solving complex project tasks, but construction planning is still a laborious process that takes a lot of time. One of the sides of the automation of design is the selection and processing of effective algorithms and software solutions for applied tasks.

Thanks to technical progress and the widespread technology of information modeling of buildings, new opportunities appear to improve BIM design processes, for example, 4D BIM technology is a 3D model + "time", which allows you to connect building components with a calendar construction plan and visualize the construction process. Further progress in the development of automation algorithms will allow us to reduce time, improve the quality of the process of creating a project calendar plan.

Project efficiency criteria «time» and «cost» constitute the main goal of project optimization. Considering that each work in the project can be performed not only with the use of a certain amount of resources, but also by choosing

different types of resources, including workers, machines, methods and technology of construction production.

There is a need to create a flexible optimization model that takes into account different types of work sequences, limits the duration of work, minimizes the total cost of the project and the time to complete the entire project. It is necessary to formalize decision-making scenarios when optimizing the time and cost of project implementation.

To determine the optimal strategy for construction work, it is necessary to consider several possible alternatives. Evolutionary algorithms EA, especially genetic algorithms GA, have great possibilities in solving tasks of optimization of calendar planning during automation of design and construction.

The new method, developed on the basis of the genetic algorithm, compares the required values of the term and cost of the project with contracts, contracts, etc. can provide compliance. On the basis of genetic algorithms, the analysis of alternative strategies for the implementation of the project and optimization of the project plan are proposed. Proposed methods of reducing the duration of work when optimizing the duration of the project. Based on information modeling of buildings BIM and genetic algorithm GA, a calendar construction plan and a complex automated optimization method were developed.

The possibility of complex automation of the development of a calendar plan based on the integration of software tools is revealed. The use of accurate information stored in BIM about construction components will allow us to more effectively determine the types of project work, calculate their duration, use the rule of order and, finally, plan.

On the basis of the information model of the building, a three-dimensional visual mode and a time reflection model of working spaces are offered for determining any conflict of working spaces. The proposed optimization methodology demonstrated the ability of the algorithm to solve tasks with various types of logical connections and taking into account breaks between tasks. The developed software can represent various scenarios for calculating the duration of the project along with the corresponding costs to help in making a decision to optimize the construction schedule.

The program demonstrated its ability to solve the tasks of flexible use of real projects and optimization scenarios depending on various criteria. The combination of various possible ways of performing work generates multiple alternative project plans with their duration and cost, but the software implementation of the proposed algorithm gives us the result in a very short time. Corrected and completed 3D BIM allows us to fully or partially automate reports and operations that were previously performed manually.

The proposed 4D-model allows us to visualize the construction process, which gives us visual, easy-to-understand information for presenting and understanding the entire process. Early detection of problems related to the organization of workplaces reduces the time of fulfillment of orders, increases the quality of work, and also reduces deviations from the project implementation plan.



When viewing the complex 4D-visualization of the building components and working spaces of each construction schedule, which we obtain with the help of the proposed genetic algorithm, it is possible to calculate the existing conflicts and determine the schedule with the minimum number of conflicts.

## შინაარსი

<b>შესავალი</b> -----	<b>19</b>
<b>თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა</b> -----	<b>23</b>
1.1. მშენებლობის კალენდარული გეგმის შედგენის ავტომატიზებული მეთოდები, სისტემები და მათი ანალიზი-----	23
1.2. მშენებლობის კალენდარული გეგმის შედგენის მოდელები BIM პროგრამული უზრუნველყოფით-----	25
1.3. სამუშაო სივრცის დაგეგმარება-----	29
1.4. მშენებლობის კალენდარული გეგმის ოპტიმიზაციის მოდელები და მეთოდები-----	36
<b>1 თავის დასკვნები</b> -----	<b>47</b>
<b>თავი 2. მშენებლობის კალენდარული დაგეგმარების ავტომატიზაციის ძირითადი მეთოდოლოგიური მიდგომები</b> -----	<b>48</b>
2.1. არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირების მართვის ძირითადი წარმოდგენები-----	48
2.2. სამშენებლო პროექტის კალენდარული გეგმის ოპტიმიზაციის ამოცანის დასმა-----	54
2.3. გენეტიკური ალგორითმების თეორია-----	57
2.4. ავტომატიზებული პროექტირების სისტემა CAIP-----	60
2.5. შენობის ინფორმაციული მოდელირება BIM-----	64
2.6. მშენებლობის პროექტირებისა და კალენდარული დაგეგმარების ინტეგრირებული ავტომატიზაციის მეთოდის შემუშავება-----	83
2.7. სამუშაო სივრცის 4D მოდელირება-----	88
2.8. სამშენებლო პროექტის კალენდარული გეგმის ოპტიმიზაცია-----	94
2.9. სამშენებლო პროექტის ხანგრძლივობის დადგენა-----	101
2.10. პროექტის ღირებულების მინიმიზაცია-----	103
2.11. პროექტის ხანგრძლივობის მინიმიზაცია-----	104
2.12. სამშენებლო პროექტის კალენდარული გეგმის ოპტიმიზაცია გენეტიკური ალგორითმების ბაზაზე-----	105
<b>მე-2 თავის დასკვნები</b> -----	<b>114</b>
<b>თავი 3. არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირების და კალენდარული დაგეგმარების ინტეგრირებული ავტომატიზაციის მეთოდის პროგრამული ვერიფიკაცია და რეალიზაცია</b> -----	<b>116</b>
3.1. კალენდარული გეგმის ოპტიმიზაციის შემუშავებული პროგრამის კომპონენტები-----	116
3.2. შემოთავაზებული მეთოდის დადასტურება-----	122
3.3. შემუშავებული მეთოდის პრაქტიკული აპრობაცია „Allianc Highline Tbilisi“-ის შენობის არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირების განხორციელებისას-----	132
3.4. შენობის ინფორმაციული მოდელირება 3D-BIM-----	139
3.5. სამუშაოების თანმიმდევრობის, რესურსების, ხანგრძლივობისა და თითოეული სამუშაოს ღირებულების განსაზღვრა-----	142

3.6. პროექტის კალენდარული გეგმის გაანგარიშება-----	143
3.7. პროექტის კალენდარული გეგმის ოპტიმიზაცია-----	144
3.8. პროექტის 4D მოდელის სიმულაცია -----	147
3.9. სამუშაო სივრცეების ვიზუალიზაცია-----	148
3.10. სამუშაოს შედეგების ანალიზი და შემდგომი კვლევების პერსპექტიული მიმართულებები -----	150
მე-3 თავის დასკვნები-----	151
ძირითადი დასკვნები-----	153
გამოყენებული ლიტერატურა -----	155

## ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1. სამუშაო სივრცის დაგეგმვის შესახებ კვლევების მიმოხილვა-	35
ცხრილი 2. სამშენებლო გეგმის ოპტიმიზაციის მეთოდებს შორის შედარება-	37
ცხრილი 3. კვლევები პროექტის კალენდარული გეგმის ოპტიმიზაციის შესახებ	43
ცხრილი 4. შეგუებადობის ფუნქციის რანჟირება	45
ცხრილი 5. სელექციის ფუნქციის რანჟირება	45
ცხრილი 6. კროსოვერის მეთოდების რანჟირება	46
ცხრილი 7. მუტაციის მეთოდების რანჟირება	46
ცხრილი 8 Autodesk-ის პროდუქტები, რეკომენდებული პროექტების კატეგორიის მიხედვით	65
ცხრილი 9. ხარისხის შეფასების მეთოდების მახასიათებლების მიხედვით	70
ცხრილი 10. პოპულაციის შექმნა	106
ცხრილი. 11. ქრომოსომის სტრუქტურა	105
ცხრილი 12. I-ელი მაგალითის მონაცემები	123
ცხრილი 13. მე-2 მაგალითის მონაცემები	124
ცხრილი 14. მე-2 მაგალითის შედეგები	124
ცხრილი 15. მე-3 მაგალითის მონაცემები	125
ცხრილი 16. მე-3 მაგალითის შედეგები	125
ცხრილი 17. მე-4 მაგალითის მონაცემები	127
ცხრილი 18. მე-4 მაგალითის შედეგები	128
ცხრილი 19. მე-4 მაგალითის შედეგები	129
ცხრილი 20. მე-5 მაგალითის მონაცემები	130
ცხრილი 21. მე-5 მაგალითის შედეგები	131
ცხრილი 22. ერთი გამოცდის ხანგრძლივობა	132
ცხრილი 23. შემოთავაზებული ალგორითმის შედეგები	146
ცხრილი 24. გამოცდის შედეგები	147

## ნახაზების ნუსხა

ნახ. 1. სამუშაო სივრცის ტიპები -----	30
ნახ.2. სამუშაო სივრცის იერარქიულ სტრუქტურა -----	32
ნახ. 3. მიახლოების კონვერტი (AE) -----	32
ნახ. 4. სამშენებლო მოედნის დაყოფა უჯრედებად -----	33
ნახ. 5. შემოსაზღვრული ჩარჩო -----	35
ნახ. 6. საპროექტო სამკუთხედი-----	49
ნახ. 7. სამშენებლო პროექტების მართვის ძირითადი პროცესები-----	50
ნახ. 8. დაგეგმარების პროცესის საწყისი მონაცემები და გამოსავალი შედეგები-----	51
ნახ. 9. დაგეგმარების პროცესი -----	52
ნახ. 10. კალენდარული გეგმების სახეობები-----	53
ნახ. 11. სამუშაოს შესრულების „ღირებულება-ხანგრძლივობის“ ალტერნატიული ვარიანტები-----	55
ნახ. 12. ოპტიმალური გადაწყვეტა-----	56
ნახ. 13. გენეტიკური ალგორითმის ეტაპები-----	58
ნახ. 14.. პროგრამული უზრუნველყოფის შემადგენლობა-----	63
ნახ. 15. მონაცემთა ბაზის სრულად გამოყენების ტენდენცია BIM პაკეტებში-----	67
ნახ. 16. პროექტის ხარისხის მართვა ფუნდამენტური დროებრივი პარამეტრების მიხედვით-----	68
ნახ. 17. ოპტიმალური მართვის ფუნდამენტური კატეგორიები -----	68
ნახ. 18. წრფივი დეკომპოზიციის მოდელი-----	71
ნახ. 19. არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირების მართვის სქემა-----	74
ნახ. 20. მოდელის განზომილება-----	74
ნახ. 21. BIM-ის ზომები -----	81
ნახ. 22. 3D BIM-ის და კალენდარული გეგმების მონაცემების იმპორტი---	82
ნახ. 23. მშენებლობის 4D მოდელის შედგენის ავტომატიზაციის სქემა---	85
ნახ. 24. სამუშაოების შემადგენელი დეკომპოზიცია-----	88
ნახ. 25. მშენებლობის 4D მოდელი-----	88
ნახ. 26. სამუშაო სივრცეების ფორმები-----	91
ნახ. 27. სამუშაო სივრცეების მოდელირების სქემა-----	92
ნახ. 28. კონკურენტული სამუშაოს მოთხოვნადი სამუშაო სივრცეების სტრუქტურა -----	93
ნახ. 29. კონფლიქტის გადაწყვეტა -----	94
ნახ. 30. ღირებულების დამოკიდებულება სამუშაოს ხანგრძლივობაზე --	96
ნახ. 31. პროექტირების ინტეგრირებული ავტომატიზაციის და კალენდარული დაგეგმარების სქემა-----	98
ნახ. 32. პროექტის მოთხოვნადი ხანგრძლივობა-----	103
ნახ. 33. პროექტის მინიმალური ღირებულება-----	103
ნახ. 34. პროექტის მინიმალური ხანგრძლივობა-----	105

ნახ. 35. რულეტის ბორბლს ტიპის შერჩევის ოპერატორი -----	109
ნახ. 36. კროსოვერი (ორი წერტილი)-----	110
ნახ. 37. პოპულაციის განახლება-----	111
ნახ. 38. შემოთავაზებული მეთოდიკის ბლოკ-სქემა მოდიფიცირებული გენეტიკური ალგორითმის ბაზაზე-----	114
ნახ. 39. ალგორითმის მუშაობის სქემა-----	136
ნახ. 40. არსებული შენობის გეგმა -----	139
ნახ. 41. პროექტის 4D მოდელი-----	144
ნახ. 42. სამუშაო სივრცეების და კონფლიქტების 1 4D ვიზუალიზაცია----	150
ნახ. 43. სამუშაო სივრცეების და კონფლიქტების 2 4D ვიზუალიზაცია----	151

## სურათების ნუსხა

სურ. 1. სამუშაო სივრცე-----	29
სურ. 2. შენობის ინფორმაციული მოდელირება BIM-----	64
სურ. 3. BIM -ის ზრდის ტემპი მსოფლიოში რეგიონების მიხედვით-----	83
სურ. 4. მშენებლობის დაგეგმარების ოპტიმიზაციის მაგალითი-----	118
სურ. 5. ახალი პროექტის შექმნა-----	120
სურ. 6. პროექტის სამუშაოების მონაცემთა შეტანა-----	119
სურ. 7. შედეგების გამოტანა-----	122
სურ. 8. სამუშაო სივრცეების შეყვანა -----	122
სურ. 9. „Allianc Highline Tbilisi“-ის შენობა -----	134
სურ. 10. ნიუტონის სკოლა-----	137
სურ. 11. თავისუფლების თეატრის ფასადი-----	138
სურ. 12. პეტრიაშვილის ქ. #46 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი-----	138
სურ. 13. მასობრივი საცხოვრებლის სათავსოების პარამეტრები-----	140
სურ.14.კონსტრუქციულ-გეგმარებითი ელემენტების პარამეტრების დადგენა 3D სკანერით-----	140
სურ. 15. შენობის 3D მოდელი-----	142
სურ. 16. შენობის კომპონენტების რაოდენობის სამუშაო წიგნი-----	143
სურ. 17. პროექტის სამუშაოთა ყველა პარამეტრის განსაზღვრა-----	144
სურ. 18. შენობის კალენდარული გეგმის გაანგარიშება-----	145

## გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა\*

**3D** - ობიექტების გეომეტრიის და მათი ადგილმდებარეობის ჩვენება სივრცეში - X, Y და Z კოორდინატებში.

**4D** - 3D მოდელის საფუძველზე დროსთან ინტეგრაცია. 4D-BIM გამოიყენება მშენებლობის დაგეგმარებასთან დაკავშირებული მოვლენების მოდელირებისთვის. მოდელის უპირატესობაა: დაგმარების ოპტიმიზაცია და გუნდური კოორდინაციის შესაძლებლობა.

**BIM** - Building Informational Modeling - შენობის ინფორმაციული მოდელირება.

**Industry Foundation Classes (IFC)** - CAD მონაცემთა გაცვლის სქემა, რომელიც შექმნილია არქიტექტურის, მშენებლობისა და სამშენებლო ინდუსტრიის მონაცემების აღსაწერად.

**Microsoft Project** **и Primavera (MPP)** – ცნობილი პროგრამები მშენებლობის დაგეგმვისათვის. Microsoft Project გამოიყენება კალენდარული გეგმის გაანგარიშებისთვის, სამუშაოთა დაწყებისა და დასრულების თარიღის გამოსათვლელად და პროექტის საერთო ხანგრძლივობის განსაზღვრისთვის. **Autodesk Revit, Autodesk Navisworks, Microsoft Excel and Microsoft Project** - არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირების პროგრამები.

**GA** გენეტიკური ალგორითმები.- გენეტიკური ალგორითმები არის ადაპტირებული ევრისტიკული ძებნის ალგორითმები დაფუძნებული ბუნებრივი სელექციისა და გენეტიკის ევოლუციურ იდეებზე. როგორც ასეთი, ისინი წარმოადგენენ შემთხვევითი ძებნის ინტელექტუალურ ექსპლუატაციას ოპტიმიზაციის ამოცანების ამოსახსნელად.

**CAD - Computer-Aided Design-** ავტომატიზებული სისტემა, რომელიც ახორციელებს ინფორმაციულ ტექნოლოგიას პროექტირებისთვის.

**BEP - BIM -(BIM Execution Plan)** - პროექტის განხორციელების გეგმა

**Project Optimum** - პროგრამული უზრუნველყოფა. პროექტის ეტაპების შესრულების ალტერნატიული ვარიანტების ოპტიმალური კომბინაცია განსაზღვრა დრო ან ღირებულება კრიტერიუმის მიხედვით.



**LOD** - განვითარების დონე, მოდელის დამუშავების დონე (Level of Development), განსაზღვრავს ინფორმაციის მოდელის ელემენტის შემუშავების სისრულეს.

**Visual Basic** - წარმოადგენს შემუშავების ინტეგრირებულ არეს, რომელიც შეიცავს დანართის დამუშავების პროცესის შემამსუბუქებელ და დამაჩქარებელ ინსტრუმენტების ნაკრებს.

**Autodesk Navisworks** - გამოიყენება საპროექტო მონაცემების ინტეგრირებული ნაკრებიდან რაოდენობრივი ანალიზის დაწვრილებითი სამუშაო წიგნების ფორმირებისთვის.

## მადლიერების გვერდი

მადლობას ვუხდით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, უნივერსიტეტის რექტორს პროფესორ დავით გურგენიძეს, სამშენებლო ფაკულტეტის დეკანს პროფესორ ზურაბ გვიშიანს, სამეცნიერო ხელმძღვანელებს: პროფესორ-ემერიტუს ზურაბ კვიციანიძეს და პროფესორ ელინა ქრისტესიაშვილს, მშენებლობის ეკონომიკის და მენეჯმენტის დეპარტამენტის აკადემიურ პერსონალს ყურადღებისა და გაწეული დახმარებისთვის, რომელიც ჩემი სამეცნიერო მუშაობის დროს გამოიჩინეს.

## შესავალი

**კვლევის აქტუალობა.** არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირების მართვის ავტომატიზაციის ხარისხობრივად ახალი დონე, ინფორმაციული მოდელირების ტექნოლოგიას გვაძლევს, რომელიც პროექტირების სხვადასხვა სტადიაზე სამშენებლო ობიექტების ერთიანი საინფორმაციო მოდელის შექმნას, მის გამოყენებასა და განვითარებას ვარაუდობს, როგორც მშენებლობის და ისე ექსპლუატაციის ეტაპებზე.

არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირების მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია მშენებლობის ორგანიზაციის და სამუშაოთა წარმოების პროექტი, რომლის ხარისხი, ეფექტიანობა და ოპტიმალურობა გადამწყვეტ გავლენას ახდენს პროექტის რეალიზაციის მთელ პროცესზე და ამ ეტაპზე მიღებულ გადაწყვეტილებას დიდი გავლენა აქვს მის წარმატებით შექმნაზე.

პროექტირების ავტომატიზაციის ერთ მხარეს წარმოადგენს ეფექტიანი ალგორითმების და გამოყენებითი ამოცანების გადაწყვეტის პროგრამული საშუალებების შერჩევა და დამუშავება. ტექნოლოგიური პროგრესის და შენობის ინფორმაციული მოდელირების გავრცელებული ტექნოლოგიის მეშვეობით, BIM პროექტირების პროცესების სრულყოფისთვის ახალი შესაძლებლობები წარმოიქმნება. მაგალითად, 4D BIM ტექნოლოგია (3D მოდელს + „დრო“), მშენებლობის პროექტირების და კალენდარული დაგეგმარების დაკავშირების საშუალებას იძლევა, რაც შემდგომში მშენებლობის პროცესის ვიზუალუალიზაციაა შესაძლებელი .

შენობის ინფორმაციული მოდელი საშუალებას იძლევა შემცირდეს დრო და გაიზარდოს პროექტის კალენდარული დაგეგმვის პროცესის ხარისხი. რთული მრავალკრიტერიალური ამოცანების ოპტიმიზაციაში დიდი შესაძლებლობები ევოლუციურ ალგორითმებს EA-ს აქვს. განსაკუთრებით საინტერესოა გენეტიკური ალგორითმი GA. გენეტიკური ალგორითმის საფუძველზე შემუშავებულ ახალ მეთოდებს შეუძლია

უზრუნველყოს პროექტის ვადისა და ღირებულების მოთხოვნილ მნიშვნელობებთან შესაბამისობაში მოყვანა.

აღნიშნულის საფუძველზე თემა უდავოდ აქტუალურია.

**კვლევების მიზანი და ამოცანები.** ნაშრომის კვლევის მიზანია არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირების და კალენდარული დაგეგმარების ინტეგრირებული ავტომატიზაციის ინფორმაციული მოდელირების მეთოდის შექმნა, რომელიც შემუშავებულია გენეტიკური ალგორითმების GA გამოყენებით.

კვლევის მიზნის შესაბამისად უნდა შესრულდეს შემდეგი ამოცანები:

- მშენებლობის პროექტის კალენდარული გეგმის 4D BIM მოდელის შემუშავებისას, გენეტიკური ალგორითმების საფუძველზე შემუშავებული პროექტირების ავტომატიზაციის და ოპტიმიზაციის სამუშაოთა ანალიზი.
- სამშენებლო მოედანზე სამუშაო სივრცეების სხვადასხვა ტიპების წარმოდგენის მეთოდების და კლასიფიკაციის სისტემების ანალიზი;
- პროექტირების და კალენდარული დაგეგმარების ავტომატიზაციის საშუალებათა ინტეგრაციის მეთოდის შემუშავება;
- პროექტირების და კალენდარული დაგეგმარების ოპტიმიზაციის მეთოდის შემუშავება გენეტიკური ალგორითმების GA საფუძველზე, ინფორმაციული მოდელირების და სამუშაო სივრცეების ვიზუალიზაციის გათვალისწინებით, რომელიც მათი კონფლიქტების ანალიზის საშუალებას იძლევა;
- შემოთავაზებული GA მეთოდების ვერიფიკაცია არსებული სამეცნიერო კვლევების მაგალითებთან შედარების საფუძველზე;
- შემოთავაზებული გადაწყვეტების პრაქტიკული აპრობაცია;

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე:** არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირების მართვის თანამედროვე ციფრული სისტემებით მშენებლობის კალენდარული დაგეგმარების ინტეგრირებული ავტომატიზაციის, ინფორმაციული მოდელირების განვითარება BIM-ის და გენეტიკური ალგორითმების გამოყენებით:

- შენობის ინფორმაციული მოდელის მონაცემთა ინტეგრირების მეთოდოლოგია, ანალოგიური პროექტების და სამუშაო სივრცეების მონაცემთა ბაზის, სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმის პარამეტრების ავტომატიზებული ფორმირებისთვის;
- სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმის ოპტიმიზაციის მეთოდოლოგია – პროექტის შესრულების ვადის და ღირებულების განსაზღვრა გენეტიკური ალგორითმების შემუშავებულ მოდიფიკაციაზე დაფუძნებული;
- სამუშაოთა წარმოების ინფორმაციული მოდელი, 4D BIM-ში ასახული სამუშაო სივრცეებით და მათი კონფლიქტების განსაზღვრით.

**კვლევის ობიექტს წარმოადგენს** არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირების მართვის თანამედროვე ციფრული სისტემებით შენობის ინფორმაციული BIM მოდელირების პროცესები და პრაქტიკული შედეგები მშენებლობის კალენდარული დაგეგმარების და ოპტიმიზაციისთვის. შენობის ინფორმაციული მოდელირების პროცესები და პრაქტიკული შედეგები განხორციელებულია ქ. თბილისში მშენებარე ობიექტებზე.

**ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება** მდგომარეობს ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, BIM-ის და გენეტიკური ალგორითმების GA-ს გამოყენებით პროექტირების და კალენდარული დაგეგმარების ინტეგრირებული ავტომატიზაციის მეთოდოლოგიის, მოდელებისა და ინფორმაციული პროგრამების შემუშავებაში.

**კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია** დაფუძნებულია ძირითადად უცხოელ მეცნიერების და ადგილობრივი სამეცნიერო-საპროექტო არქიტექტურულ-სამშენებლო ფირმების პრაქტიკული სამუშაოების ანალიზზე. კვლევისათვის გამოიყენება CAIP-ის აგების თეორიის ძირითადი დებულებები, შენობის ინფორმაციული მოდელირების თეორია BIM, პროგრამული პროდუქტების და ინფორმაციული სისტემების ინტეგრაციის მეთოდები, პროექტის მართვის თეორია და მეთოდოლოგია, ოპტიმიზაციის ამოცანათა გადაწყვეტის ევოლუციური მეთოდები, კერძოდ, გენეტიკური ალგორითმები GA. ჩატარებულია კვლევები გენეტიკური

ალგორითმების შემოთავაზებული მოდიფიკაციის ეფექტიანობის ვერიფიკაციის და დადასტურების მიზნით. შექმნილია შემოთავაზებული მეთოდის რეალიზაციის დემონსტრირების პროგრამული მოდელები.

**ნაშრომის შედეგების აპრობაცია:** კვლევის შედეგად მიღებული შედეგები მოხსენებულია სასწავლო პროცესში 3 კოლოკვიუმზე, მიღებული შედეგები გამოქვეყნდა 10 სამეცნიერო ჟურნალში, მათ შორის 5 კონფერენციაზე. 4 სამეცნიერო სტატია თანაავტორების გარეშეა გამოქვეყნებული.

**პუბლიკაციები:** დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულია 10 სამეცნიერო სტატია, მათ შორის 5 საერთაშორისო კონფერენციაზე.

**სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა.** ნაშრომი წარმოდგენილია 170 ფურცელზე. მოიცავს შესავალს, 3 თავს, დასკვნასა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხას. ლიტერატურის ნუსხა შესდგება 128 დასახელებისგან. ნაშრომში წარმოდგენილია 24 ცხრილი, 43 ნახაზი და 18 სურათი.

## თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

ამ მოცემულია სამშენებლო სფეროში მშენებლობის დაგეგმარების პროცესის მიმოხილვა გამოყენებული დაგეგმარების მეთოდების თვალსაზრისით. თავი მიმოხილავს BIM-ზე დაფუძნებული მშენებლობის დაგეგმარების მიმდინარე მოდელებს. განხილულია პროექტის ღირებულების და დროის ოპტიმიზაციის მეთოდები. გამოკვლეულია სამუშაო სივრცეების დაგეგმვის მიდგომები მათი კლასიფიკაციის და სამუშაოების სახეობების განაწილების მიხედვით.

### 1.1. მშენებლობის კალენდარული გეგმის შედგენის ავტომატიზებული მეთოდები, სისტემები და მათი ანალიზი

პირველი პროგრამული უზრუნველყოფა პროექტის მენეჯმენტისთვის, რომელიც გამოჩნდა დაახლოებით 40 წლის წინ, დაფუძნებული იყო ქსელის დაგეგმვისა და პროექტის დროის პარამეტრების გამოთვლის ალგორითმებზე კრიტიკული ბილიკის მეთოდის გამოყენებით. ამ პროგრამებმა შესაძლებელი გახადა პროექტის ადრეული და გვიანი თარიღების გამოთვლა და მათი ჩვენება განტის სქემაზე.

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ელექტრონული გამოთვლითი სისტემების დანერგვა დაიწყო სხვადასხვა ინდუსტრიაში. დაინერგა CAD-ის (Computer-Aided Design systems) კონცეფცია. CAD - ავტომატიზებული სისტემა, რომელიც ახორციელებს ინფორმაციულ ტექნოლოგიას პროექტირების შესასრულებლად, არის ორგანიზაციული და ტექნიკური სისტემა, რომელიც შექმნილია პროექტის პროცესის ავტომატიზაციისთვის. იგი შედგება პერსონალისგან და მისი საქმიანობის ავტომატიზაციის ტექნიკური, პროგრამული და სხვა საშუალებების ნაკრებისგან.

მშენებლობის დაგეგმარება კვლავ შრომატევადი პროცესია. განხილული კვლევები ცდილობდნენ დაგეგმარების პროცესის სრულად ან ნაწილობრივ ავტომატიზაციას, პროექტების ინფორმაციის დამუშავების, მართვისა და გადაწყვეტილების მიღების სისტემების შემუშავების ჩათვლით. შემოთავაზებული სისტემები შეიძლება დაიყოს:

ცოდნაზე დაფუძნებული სისტემები;

4D CAD-ზე დაფუძნებული მოდელები;

4D BIM-ზე დაფუძნებული მოდელები.

ცოდნაზე დაფუძნებული სისტემების განვითარება დაიწყო 80-იანი წლების შუა ხანებში და ეხებოდა დაგეგმარების პროცესების ავტომატიზაციას ექსპერტის სისტემების გამოყენებით.

ყველა ეს სისტემა იყენებს ევრისტიკულ და შესწავლილ ცოდნას მშენებლობისა და დაგეგმვის პროცედურების შესახებ, რომლებიც ჩართულია კომპიუტერული პროტოტიპის მოდელში, რომ უზრუნველყოს უკუკავშირი და შექმნას დაგეგმვის გადაწყვეტილება. ისინი ძირითადად ეყრდნობოდა მომხმარებლის შეყვანის ციფრულ ფორმებს და ნაკლებად იყენებდნენ მექანიზმებს 2D და 3D ნახატების ინტერპრეტაციისთვის.

ტიპიური დაგეგმარების ცოდნაზე დაფუძნებული სისტემა შედგება კონტექსტისაგან, ცოდნის ბაზისა და დასკვნის ძრავისგან. კონტექსტი შეიცავს ინფორმაციას მიმდინარე პროექტის შესახებ. ცოდნის ბაზა შედგება სხვადასხვა სამშენებლო ტექნოლოგიების ცოდნისა და ევრისტიკისგან. დასკვნის ძრავა მუშაობს ცოდნით სამშენებლო გეგმა-გრაფიკის შექმნის კონტექსტში.

ცოდნაზე დაფუძნებული სისტემების მაგალითებია PLANEX, OARPLAN, GHOST, KNOWPLAN [87] და HISCHED [99].

ასეთი სისტემების მთავარი მიზნის არის მათი შეზღუდვები და გადაწყვეტილების მიღების პროცესში დამოკიდებულება წესებისა და მეთოდების სახით დაპროგრამებულ ცოდნაზე, რაც თავის მხრივ იწვევს მომხმარებლის მინიმალურ ინტერაქციას სისტემასთან და ადამიანის



პასუხისმგებლობის დაბალ ხარისხს დაგეგმვის პროცესში. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ თითოეული სამშენებლო პროექტი უნიკალურია და თითოეულ სამშენებლო ჯგუფს აქვს საკუთარი შესაძლებლობები, განსაზღვრული წესების ერთიან კრებულს უვარგისს ხდის კონკრეტული გადაწყვეტილებების მისაღებად.

4D CAD მოდელები გაჩნდა 1990-იანი წლების დასაწყისში და აერთიანებდა 3D CAD მოდელებს პროექტის განრიგთან, რომ წარმოედგინა მშენებლობის გეგმა-გრაფიკის სახით.

CAD მოდელი იმპორტირებულია მოდელირების გარემოდან (მაგ. AutoCAD, MicroStation) და გრაფიკი იმპორტირებულია დაგეგმვის გარემოდან (მაგ. Primavera). CAD მოდელი და გეგმის ფაილები გაერთიანებულია სიმულაციური ფაილში, რომელიც აკავშირებს თითოეულ CAD კომპონენტს ან კომპონენტების ჯგუფს ერთ ან მეტ კონკრეტულ გეგმის აქტივობასთან, რათა შეიქმნას პროექტის 4D მოდელები.

4D CAD-ზე დაფუძნებული მოდელების მაგალითებია: Plan Visual Modeling System [102, 103], 4D Planner [110], 4D Annotator [82] და 4D Models [81].

ეს 4D ინსტრუმენტები სასარგებლო აღმოჩნდა დამგეგმავებისთვის ალტერნატიული გეგმის გადაწყვეტილებებზე დაფუძნებული ალტერნატიული სამშენებლო თანმიმდევრობის ვიზუალიზაციისთვის. თუმცა, ისინი არ უნდა ჩაითვალოს დაგეგმვის ინსტრუმენტებად, როგორც როგორ ეფუძნება უკვე ხელმისაწვდომ საგეგმო ინფორმაციას, მხოლოდ პროექტის გეგმის გრაფიკული წარმოდგენისთვის.

## 1.2. მშენებლობის კალენდარული გეგმის შედგენის მოდელები

### BIM პროგრამული უზრუნველყოფით

ბოლო წლებში BIM-ზე დაფუძნებული მოდელები აქტიურად იქნა გამოკვლეული ნაშრომებში [4, 12, 13, 48, 74, 80, 84, 86, 90, 100, 106, 107] და უკვე დადასტურდა, რომ აღემატება წარსულ ინსტრუმენტებს მშენებლობის ეფექტიანად წარმართვისთვის.

მრავალ უცხოურ ლიტერატურაში აღწერილია BIM-ზე დაფუძნებული სამშენებლო დაგეგმარების გენერირების პროცესის ავტომატიზაციის ზოგიერთი მცდელობა ამოცანის სირთულის შესამცირებლად.

ნაშრომი [106] გვიჩვენებს BIM-ში შენახული სამშენებლო ელემენტების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობას სამუშაოს ხანგრძლივობის გენერირებისთვის წარმოების განაკვეთების გამოყენებით.

ნაშრომში [106] შემოთავაზებულია ვიზუალური გრაფიკი პროექტების შესახებ ინფორმაციის ამოსაღებად და დაგეგმარების პროგრამაში გადასატანად. პროექტის ST მოდელი შეიქმნა Revit-ის გამოყენებით. პროექტის ელემენტების მოძიება, ორგანიზება, თანმიმდევრობა და გადატანა დაგეგმარების პროგრამულ უზრუნველყოფაში ხდება ST მოდელის გავლის დროს. გავლის დროს მომხმარებელს შეუძლია შეარჩიოს შენობის ელემენტი მასზე მითითებით. ეს შესაძლებლობა საშუალებას აძლევს მომხმარებელს შეარჩიოს ელემენტები, სანამ განახორციელებს ინფორმაციის გადაცემის ოპერაციას დაგეგმვის პროგრამაში. თუმცა, აპლიკაცია შემოიფარგლება მხოლოდ თანმიმდევრობით და ნავიგაციით შენობის მოდელის ფარგლებში. გარდა ამისა, ზოგიერთ მომხმარებელს შეიძლება გაუჭირდეს არჩევანის გაკეთება მაუსის და კლავიატურის გამოყენებით.

ნაშრომში [71] შეიმუშავა მარტივი 3D მოდელების გამოყენების კონცეფცია ობიექტების რაოდენობის, გეგმისა და 4D ვიზუალიზაციის შესაქმნელად, დაგეგმარების პროცესის სტრუქტურის შექმნა ინტერპრეტაციადი სისტემის შაბლონების გამოყენებით.

ნაშრომში [104] გვთავაზობს კომპიუტერულ სისტემას ნახევრად ავტომატურად შექმნას განრიგი ფაილებიდან ამოღებული მონაცემების საფუძველზე Industry Foundation Classes (IFC) სტანდარტის გამოყენებით.

ნაშრომში [89] შემოთავაზებული იყო პროექტის საინფორმაციო მოდელი PIM შენობლობის დაგეგმვის შესაქმნელად. PIM შედგება ტექნოლოგიის, ნორმების, რესურსების, კონსტრუქციისა და სამუშაოების

კომპონენტებისგან. ტექნოლოგია შეიცავს მონაცემებს იმის შესახებ, თუ როგორ არის აგებული კონსტრუქციის სხვადასხვა კომპონენტი. ნორმები არის ელემენტები, რომლებიც გვაწვდიან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენ ხანს გრძელდება კომპონენტების აგების პროცესი. შემდეგ ტექნოლოგია და ნორმები დაკავშირებულია რესურსებთან. რესურსები არის შემდეგი სახის: ხელსაწყოები, სამშენებლო მასალები, ტრანსპორტი და ადამიანური რესურსები. მშენებლობის კალენდარული დაგეგმარების შესაქმნელად, დამგეგმავმა უნდა შემოიტანოს 3D BIM PIM-ში. შემდეგ PIM აფასებს 3D მოდელს და ამოიღებს სამუშაო პროცესს. ამ ტექნიკის მიხედვით, ინფორმაცია ნორმების, რესურსებისა და დამხმარე სამუშაოების შესახებ ამოღებულია PIM-დან. მიღებული მოდელი სტატიკურია და დამოკიდებულია სამშენებლო კომპანიის მონაცემებზე, ამიტომ მისი პრაქტიკაში გამოყენება რთულია.

ნაშრომში [64] წარმოდგენილია კვლევის ზოგიერთი გაფართოება [104], რათა შესაძლებელი გახდეს დაგეგმარების პროცესში მეტი ელემენტების დათვლა. სამუშაოების ავტომატური გაყოფა მომხმარებელს საშუალებას აძლევს მარტივად განსაზღვროს სამუშაოები, რომლებიც ნაწილობრივ პარალელურია დროში. იერარქიული სამუშაო სტრუქტურა უზრუნველყოფს სწორ დამუშავებას დეტალების სხვადასხვა დონეზე ერთ გრაფიკში. თუმცა, საჭიროა შემდგომი კვლევა, რათა მოხდეს ინფორმაციის მოცულობის ინტეგრირება. გარდა ამისა, საჭიროა ყველა მონაცემის შენახვა მხოლოდ ერთ მოდელში.

ნაშრომში [90] გამოიყენა Navisworks Autodesk 4D დაგეგმვის ვიზუალიზაციის დემონსტრირებისთვის. Navisworks პროგრამული უზრუნველყოფის ერთ-ერთი ყველაზე დიდი უპირატესობა ის არის, რომ მას შეუძლია მიიღოს 3D მოდელების უმეტესობა. მას შემდეგ, რაც მოდელი და პროექტის განრიგი Navisworks გარემოში იქნება, ინდივიდუალური სამუშაოები პირდაპირ უკავშირდება მოდელში დაყენებულ პუნქტს. თუ 10 სვეტი ეკუთვნის ერთსა და იმავე სამუშაოს, ანუ ისინი აგებულია ერთსა და

იმავე დროს, მაშინ ეს სვეტები ჯგუფდება მოდელში ნაკრების შესაქმნელად და სამუშაოს ენიჭება ნაკრები.

ნაშრომში [74] წარმოდგენილია მიდგომა პროცესის შაბლონების მინიჭებისთვის და მათი ურთიერთდამოკიდებულების ავტომატურად განსაზღვრის მიზნით. წარმოდგენილმა მეთოდმა მოახდინა სამშენებლო სამუშაოების პროცესების მოდელირება, როგორც პროცესის შაბლონები და გამოიყენა ისინი BIM მონაცემებთან ასოცირების საფუძველზე სხვადასხვა სცენარების დასამუშავებლად. მიუხედავად შემოთავაზებული მოდელის უპირატესობებისა, აუცილებელია უფრო მოქნილი შაბლონების დაზუსტება. მაგალითად, სივრცითი ურთიერთობები და შენობის საინფორმაციო მოდელების სხვა თვისებები შეიძლება იყოს გათვალისწინებული. გარდა ამისა, საჭიროა შაბლონების ავტომატური აღმოჩენა და მინიჭება.

ნაშრომში [73] შეიქმნა ჩარჩო, რომელიც გამოიყენება BIM მოდელის განრიგის ავტომატურად შესაქმნელად. ეს სისტემა ორიენტირებულია მონაცემთა გაცვლაზე ifcXML-ის გამოყენებით. შემოთავაზებული პროცესი დაყოფილია ხუთ ეტაპად:

1. BIM პროექტირების მიღება;
2. BIM მონაცემების ანალიზი;
3. გაანალიზებული მონაცემების სამუშაო მონაცემებად გარდაქმნა;
4. კალენდარული გეგმის შექმნა;
5. გაწმენდის პროცესი.

მიუხედავად იმისა, რომ შემოთავაზებულ მეთოდოლოგიას შეუძლია სწრაფად შექმნას მშენებლობის კალენდარული დაგეგმვა-გრაფიკი, არსებობს რამდენიმე შეზღუდვა. მშენებლობის გრაფიკის შექმნა შემოიფარგლება ძირითადი შენობის კომპონენტების რაოდენობით. ტექნიკა ასევე განიცდის თავად ifcXML ფორმატის შეზღუდვას. მოდელები, რომლებიც შემოწმდა ამ ტექნიკის გამოყენებით, არის მარტივი BIM ობიექტები შეზღუდული რაოდენობით დეტალებით.


### 1.3. სამუშაო სივრცის დაგეგმარება

სამუშაო ადგილი არის ტერიტორია, სადაც მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. მშენებლობის დროს შეზღუდულ სამუშაო სივრცეში ჩართულია შრომისტი მუშახელი, საინჟინრო აღჭურვილობა, სამშენებლო მასალები, დროებითი და მუდმივი ნაგებობები. სამუშაო სივრცის მოთხოვნამ შეიძლება გამოიწვიოს სამუშაო პროცესის გადაკვეთა, ამიტომ აუცილებელია სამუშაო ადგილების ეფექტიანად ორგანიზება (სურ. 1.) [63].



სურ. 1. სამუშაო სივრცე

ნაშრომში [98] წარმოდგენილია სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო სხვადასხვა ტიპის სამუშაო ადგილების ემპირიული კლასიფიკაციის სისტემა. სამშენებლო მოედანზე სამუშაოებზე დაკვირვებით დადგინდა, რომ სამშენებლო დავალების შესრულებისას საჭიროა სხვადასხვა „ტიპის“ სივრცე. სივრცითი საჭიროებები იყოფა ორ კატეგორიად: ზონებად და ბილიკებად. ზონები არის სივრცეები, რომლებიც დაკავებულია აქტიური საქმიანობით საქმიანობის პერიოდში. ბილიკები არის სივრცეები, რომლებიც საჭიროა მასალების, ადამიანებისა და სხვა რესურსების გადაადგილებისთვის. ამ ორი კატეგორიიდან გამომდინარე, იდენტიფიცირებულია სამუშაო ადგილის 12 ტიპი (ნახ. 1.).



**ნახ. 1. სამუშაო სივრცის ტიპები**

ნაშრომში [40, 41] ავტორები ვარაუდობენ, რომ სამშენებლო სამუშაო ადგილები არსებობს 12 განსხვავებული ფორმით, რომლებიც შეიძლება დაიყოს 3 ჯგუფად: მაკრო და მიკრო დონე და ბილიკები. მაკრო დონე მოიცავს იმ სივრცეებს, რომლებიც დიდია და განლაგებულია სამშენებლო მოედანზე შედარებით სტატიკურ მდგომარეობაში, როგორცაა მასალების შესანახი ადგილები. მიკრო დონე ეხება იმ სფეროებს, რომლებშიც უშუალოდ მიმდინარეობს სამუშაოები სამშენებლო პროდუქციის შესაქმნელად, მაგალითად, ადამიანების, აღჭურვილობისა და დაცული უსაფრთხოების სფეროები. ეს სივრცეები ასევე შეიძლება შეიცავდეს შენობის კომპონენტებს. ბილიკები არის სივრცეები, რომლებიც საჭიროებენ სივრცეს ადამიანებისა და მანქანების გადასაყვანად მაკრო და მიკრო დონის სივრცეებს შორის.

შემუშავებულია კომპიუტერიზებული მეთოდი სამუშაო ადგილების ზოგადი კონსტრუქციის მეთოდის მოდელში წარმოდგენისთვის. მან შეაჯამა 3 საერთო ატრიბუტი სხვადასხვა სახის სამუშაო სივრცის წარმოსადგენად:

1. საცნობარო ობიექტი, რომელსაც ეხება სივრცე;
2. სივრცის ორიენტაცია მის საცნობარო ობიექტთან მიმართებაში;
3. სივრცის ზომა ან მოცულობითი პარამეტრები, როგორცაა სიგრძე, სიგანე და სიმაღლე.


ნაშრომი [93]-ის ავტორების შექმნილია მეთოდი, სადაც სამშენებლო ობიექტზე გამოყენებული სამუშაო ადგილები კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

- მთლიანი ფართობი - ეს არის სამშენებლო მოედნის მთლიანი ფართობი;
- სამშენებლო მასალებისთვის სივრცე - ეს არის შენობის კომპონენტების მიერ დაკავებული სივრცე;
- სამონტაჟო სივრცე - ეს არის დროებითი ნაგებობების მიერ დაკავებული სივრცე;
- ხელმისაწვდომი სივრცე - ეს არის სხვაობა მთლიან სივრცესა და პროდუქტის სამშენებლო მასალებისთვის სივრცისა და სამონტაჟო სივრცის ჯამს შორის.

ნაშრომში [63] მოცემულია იერარქიულ სტრუქტურა საჭირო სამუშაო სივრცისთვის, რომელშიც სამუშაო შეიძლება შეიცავდეს მრავალ დავალებას და ასევე მოითხოვს სხვადასხვა სამუშაო სივრცეს და ბილიკებს (ნახ. 2.). გაკეთდა მცდელობა დაემატებინა სამუშაო სივრცის მიკრო დონის გამოყენების უფრო დინამიური სურათი CAD-ის გამოყენებით მეთოდის გამოყენებით. Microsoft Project-ისა და AutoCAD-ის ინტეგრაციით, მშენებლობის დამგეგმავს შეუძლია ხელით განავითაროს სამშენებლო მოედნის სივრცითი განლაგება. სამშენებლო მოედანზე არსებული ადგილების აღსანიშნავად, თითოეული სამუშაოსთვის განისაზღვრა რესურსები, სივრცის მოთხოვნების ჩათვლით, რომლებიც ინტეგრირებული იყო 2D ნახაზებთან. საჭირო სივრცე მიიღება ორიგინალური პროექტის განრიგიდან და იყოფა იერარქიულ სტრუქტურად.

ნაშრომში [93] შემოთავაზებული იქნა პროგრამული პაკეტი, რომელიც საშუალებას იძლევა ხელით განსაზღვროს ხელმისაწვდომი ზონები. ეს ტექნიკა საშუალებას აძლევდა მშენებლობის დამგეგმავის ინტერაქტიულად მონიშნოს ტერიტორიები, რომლებიც არ არის დაკავებული ძირითადი


სამუშაოებით ან დროებითი სამუშაოებით. თანმიმდევრულად საჭირო რესურსების სივრცეები შეიძლება მიენიჭოს ხელით დახატულ ზონებს.



ნახ.2. სამუშაო სივრცის იერარქიულ სტრუქტურა

საჭირო სამუშაო სივრცის დინამიურად აღწერა, ე. ი. სამუშაო სივრცის კომპლექტების განსაზღვრა და დროთა განმავლობაში მათი შეცვლა რთული პრობლემაა, რადგან არსებობს მრავალი ალტერნატიული სტრატეგია სამუშაო სივრცის გამოყენებისას გაშვების დროს.

ავტორმა [79] თავის კვლევაში გადაწყვიტა შეექმნა სამშენებლო სამუშაო ადგილი დაფუძნებული აპროქსიმაციის მრუდის AE საფუძველზე, რომელიც იყენებს GE ყუთს სამუშაო სივრცის წარმოსადგენად (ნახ. 3).



ნახ. 3. მიახლოების კონვერტი (AE)

ნაშრომში [85] ავტორებმა სამუშაო სივრცე დაყვეს სამონტაჟო, საწარმოო, სატრანსფერო, უსაფრთხოების და სატვირთო სივრცედ,




სამუშაოს მახასიათებლებისა და რესურსის გამოყენების ტიპის მიხედვით. დროებითი ნაგებობები, რომლებიც კვლევის ყურადღების ცენტრში იყო, მოიცავდა მასალების ჩასატვირთად, გამაგრების დამზადებას, დაცვას, უსაფრთხოების მოწყობილობების დამონტაჟებას და შესაბამისი აღჭურვილობის განთავსებას.

სამუშაო [112] განსაზღვრავს სამშენებლო სამუშაო ადგილს, როგორც რესურსების ერთობლიობას, რომელიც მოიცავს შენობის კომპონენტებს: სივრცეებს, შენობის გეგმას, ხალხს, აღჭურვილობასა და მასალებს.

ნაშრომის [54, 55] ავტორებმა შემოგვთავაზეს სამუშაოებისთვის საჭირო სხვადასხვა ტიპის სამუშაო ადგილების ჩართვა, რომლებიც ეფუძნება [43, 97, 98]-ში აღწერილ კლასიფიკაციას. მათ განსაზღვრეს ეს სამუშაო ადგილები, როგორც ადგილები ადამიანებისთვის, აღჭურვილობისთვის, მასალების, ნამსხვრევებისა და უსაფრთხოებისთვის.

ავტორებმა დააკავშირეს ID კლავიშების გამოყენებით საჭირო სამუშაო ადგილი კონკრეტულ სამუშაოსთან, ობიექტების ყველა 3D კომპონენტის ავტომატური სინქრონიზაციის გზით. სამუშაოს ID ემთხვევა 3D კომპონენტის ID-ს. შემდეგ განისაზღვრება და მოწმდება შესაბამისი სამუშაო სივრცის მოთხოვნები. საჭირო სამუშაო ადგილების გრაფიკული წარმოდგენისთვის გამოყენებული იქნა ბადეზე დაფუძნებული წარმოდგენა. სამშენებლო მოედანი დაყოფილი იყო უჯრედებად, თითოეულს საჭირო სამუშაო ადგილი მიეკუთვნებოდა ქსელის უჯრედების სერიას (ნახ. 4.).




**ნახ. 4. სამშენებლო მოედნის დაყოფა უჯრედებად**

ნაშრომი [86] გვთავაზობს სამუშაო სივრცის ორ ტიპად დაყოფას, რომლებიც ჰყოფს ობიექტის სივრცეს და ზოგად სივრცეს რესურსების შერჩევის ნიმუშისა და სამუშაო მახასიათებლების შესაბამისად. ობიექტის სივრცე, როგორცაა საძირკველი, სვეტი ან ფილა, არის სივრცე, რომელსაც აქვს მასთან დაკავშირებული ინდივიდუალური სამუშაო. საერთო ფართი არის სამუშაო სივრცე, რომელიც საერთოა სამუშაოების უმეტესობისთვის მაგალითად, ყალიბებისა და აარმატურის წარმოებისთვის, მიწოდებული მასალების, აღჭურვილობისა და სამშენებლო უბნიდან მიღებული ნარჩენების შესანახად.

ნაშრომში [46] სამუშაო ადგილები დაიყო შემდეგ კატეგორიებად: ობიექტებისთვის ძირითადი სივრცეები, დამხმარე სივრცეები და უსაფრთხოების ზონები.

ავტორებმა ასევე წარმოადგინეს სხვადასხვა ტიპის სამუშაო სივრცის გენერირებისა და განაწილების პროცესი. ეს პროცესი იწყება რესურსების გამოყოფით თითოეული ტიპის სამუშაოსთვის, მშენებლობის მეთოდის დადგენის შემდეგ. მომხმარებელი შეიყვანს სამუშაო სივრცის სავარაუდო ზომასა და ტიპს, რათა შექმნას სამუშაო სივრცის შეზღუდვის ველი, მშენებლობის მეთოდის საფუძველზე. ადრე განსაზღვრული ყველა სხვადასხვა ტიპის სამუშაო სივრცე შეიძლება მინიჭებული იყოს რამდენიმე გზით, რომლებიც მიიღება სამუშაო სივრცის ატრიბუტების რედაქტირებით, როგორცაა მისი მოცულობა, ფორმა და განლაგების პოზიცია.

ნაშრომში [84] გამოყენებულია შემოსაზღვრული ჩარჩოს კონცეფცია (ნახ. 5.), რომელიც გამოიყენება 3D გრაფიკების გამოთვლით გეომეტრიაში 3D ფორმის სამუშაო სივრცის შესაქმნელად. სამუშაო სივრცის ფორმა იქმნება თითოეული კომპონენტის მხოლოდ მინიმალური და მაქსიმალური კოორდინატთა მნიშვნელობების (X, Y და T) გამოყენებით, რომლებიც დაკავშირებულია თითოეულ სამუშაოსთან YW8 4D მოდელში.



ნახ. 5. შემოსაზღვრული ჩარჩო

საშუალო სივრცის დაგეგმვის ზოგიერთი კვლევის მიმოხილვა ნაჩვენებია ცხრილი 1.-ში ანალიზმა აჩვენა, რომ თითქმის ყველა წარმოდგენილი მიდგომა მოითხოვს დეტალური მონაცემების შეყვანას და მონაცემთა შეყვანის სახელმძღვანელო მეთოდს.

ცხრილი 1.

საშუალო სივრცის დაგეგმვის შესახებ კვლევების მიმოხილვა

წარსული კვლევები	გეგმის დეტალიზაციის დონე	მონაცემთა შეყვანის მეთოდი	კონფლიქტის ასახვა გამომსვლელ მონაცემებზე (გრაფიკზე)	ჯამური გრაფიკის მეთოდი
Thabet & Believeau [1997]	საშუალო	ხელის მეთოდი	მხოლოდ ვიზუალიზაცია	2D
Riley & Sanvido [1997]	საშუალო	ხელის მეთოდი	მხოლოდ ვიზუალიზაცია	2D
Akbas [2004]	დაბალი	ხელის და ავტომატური მეთოდი	ვიზუალიზაცია და კონფლიქტის გადაწყვეტა	2D
Dawood & Mallasi [2006]	საშუალო	ხელის მეთოდი	მხოლოდ ვიზუალიზაცია	3D
Vinch & N0111 [2006]	საშუალო	ხელის მეთოდი	მხოლოდ ვიზუალიზაცია	2B
Ionße1^ [2006]	საშუალო	ხელის მეთოდი	მხოლოდ ვიზუალიზაცია	3D
EltabcH	მაღალი	ხელის	ვიზუალიზაცია	2B

[2013]		მეთოდი	და კონფლიქტის გადაწყვეტა	
Dongji ძრ. [2013]	საშუალო	ხელის მეთოდი	ვიზუალიზაცია და კონფლიქტის გადაწყვეტა	3B

#### 1.4. მშენებლობის კალენდარული გეგმის ოპტიმიზაციის მოდელები და მეთოდები

არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირების მართვის ძირითად მიზნებს წარმოადგენს დროისა და ღირებულების ოპტიმიზაცია. თანამედროვე პირობებში აღინიშნება კონკურენციის ზრდა, ამიტომ აუცილებელია ტექნიკურმა მომხმარებელმა ეფექტიანად მოაწყოს სამშენებლო პროექტები, რათა მაქსიმალური სარგებელი მიიღოს დროისა და რესურსების მინიმალური ხარჯვით [35]. გარდა ამისა, დღესდღეობით მშენებლობის სერიოზული პრობლემაა მშენებლობის ვადების შეუსრულებლობა [11, 21, 24, 31, 36]. ეს იწვევს პროექტის განხორციელების ღირებულების ზრდას და შესაბამისად, მშენებლობის მონაწილეთა მოგების დაკარგვას.

პროექტის თავდაპირველი გრაფიკი (კალენდარული გეგმა) შესაბამისი შეიძლება არ იყოს მინიმალური დროისა და ჯამური ღირებულების შემცირების მისაღწევად. ოპტიმიზაციის სირთულეები წარმოიქმნება, რადგან ასობით სამუშაო პროექტისათვის ამ სამუშაოების შესრულების სხვადასხვა ვარიანტი არსებობს, მაგალითად, სხვადასხვა სამშენებლო ბრიგადების ან აღჭურვილობის გამოყენება.

ეს ქმნის ინჟინრებისთვის კომბინატორული ძიების პრობლემებს საუკეთესო სამშენებლო ბრიგადების ან საუკეთესო ტექნიკა-აღჭურვილობის განსაზღვრისას, რათა დაასრულდეს პროექტი სამიზნე დროის მინიმალური ღირებულებით.

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, მრავალი კვლევა ჩატარდა სამშენებლო დაგეგმარების პროექტის ოპტიმიზაციის პრობლემის გადასაჭრელად. გამოყენებული მეთოდებიდან გამომდინარე.

ეს კვლევები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად [78]:

- მათემატიკური პროგრამირების საფუძველზე;
- ევრისტული მეთოდების საფუძველზე;
- ევოლუციური ალგორითმების საფუძველზე.

თითოეული ჯგუფის უპირატესობები და უარყოფითი მხარეები ნაჩვენებია ცხრილი 2.-ში.

ცხრილი 2.

**სამშენებლო გეგმის ოპტიმიზაციის მეთოდებს შორის შედარება**

	ევრისტული მეთოდები	მათემატიკური პროგრამირება	გენეტიკური ალგორითმები
უპირატესობები	უბრალოდ გაგება დროის ეკონომია დამუშავებაზე მისაღები გადაწყვეტილებები	• უზრუნველყოფს ოპტიმალურ გადაწყვეტას მცირე ზომის პროექტებისთვის	შეუძლია გადაწყვეტოს მასშტაბური პროექტები იძლევიან ოპტიმალური გადაწყვეტის გარანტიას. იძლევიან შესაძლო გადაწყვეტილებებ ის დიაპაზონს
ნაკლოვანები	არ უზრუნველყოფს ოპტიმალურ გადაწყვეტას არ იძლევა შესაძლო გადაწყვეტილებების დიაპაზონს	ძნელია ფორმულირება მასშტაბური პროექტების მოგვარება შეუძლებელია	დიდი დრო სჭირდება არ უთითებენ, თუ როდის მიიღებენ საერთო ოპტიმალურ გადაწყვეტილებას

მათემატიკური პროგრამირების მოდელები პრობლემას გარდაქმნის მათემატიკურ მოდელად და იყენებენ წრფივი პროგრამირების, მთელი რიცხვებით პროგრამირების ან დინამიკური პროგრამირების მეთოდებს პრობლემის გადასაჭრელად

ოპტიმიზაციის პრობლემების გადასაჭრელად დაინერგა მთელი რიცხვებით პროგრამირების 3 ტიპის მოდელი:

- დროსა და ღირებულებას შორის წრფივი დამოკიდებულებით;
- ნაწილობრივ წრფივი დამოკიდებულებით;
- დისკრეტული დამოკიდებულებით;

დაინერგა ძირითადი მოდელის კონცეფცია პროექტის მთლიანი ღირებულების შესამცირებლად, პროექტის მაქსიმალური დასაშვები ხანგრძლივობის გათვალისწინებით. გამოყენებული იყო მათემატიკური პროგრამირების მოდელი და აშენდა სამიზნე ფუნქცია ისე, რომ პროექტის მთლიანი ღირებულება მინიმალური იყო, ხოლო პროექტის დასრულების დრო სასურველ დროზე ნაკლები, ამავე დროს სრულდებოდა სამუშაოების თანმიმდევრობის მოთხოვნები.

ნაშრომში [18] შემოთავაზებულია მათემატიკური მოდელი და პროექტის ღირებულების შეზღუდვით შესასრულებელი სამუშაოების მინიმიზაციის მეთოდი, რომლებიც გამოიყენება შესასრულებელი სამუშაოებისა ან მათი კომპლექსების მოცემული ალტერნატიული ვარიანტებით ქსელური მოდელების პროექტებისათვის.

ნაშრომში [17] აღწერილია პროექტირების ხარჯების შემცირებისა და სამუშაო დროის შეზღუდვების მოდელი და მეთოდი. ამ მეთოდების გამოყენებით გამოთვლების ავტომატიზაციისთვის, შემუშავებული იქნა „Project Optimum“ პროგრამული უზრუნველყოფა. ამ პროგრამული უზრუნველყოფის დახმარებით, მომხმარებელს შეუძლია განსაზღვროს პროექტის ეტაპების შესრულების ალტერნატიული ვარიანტების ოპტიმალური კომბინაცია ერთ-ერთი კრიტერიუმის მიხედვით: ან დრო ან ღირებულება. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ხანგრძლივობის გრაფიკული წარმოდგენისათვის, ასევე მათი პროგრამაში ურთიერთკავშირებისათვის იგებოდა განტის დიაგრამა.

ნაშრომში [92] წარმოადგენილია მათემატიკური მიდგომა, რომელიც დაფუძნებულია მთელ რიცხვთან პროგრამირებაზე, ფულის დროებითი

ფულადი ღირებულების კონცეფციის დამატებით, კრიტიკული გზის ხანგრძლივობის შესამცირებლად. ფულის დროებითი ღირებულების კონცეფცია დიდ გავლენას ახდენს დიდი კაპიტალის დაბანდების პროექტების ოპტიმალურ შედეგებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ როცა პროექტის დასაწყისში მუშაობის ხანგრძლივობა მცირდება, ინვესტიციები განხორციელდება პროექტის დასაწყისიდან ბოლომდე. როდესაც სამუშაო ხანგრძლივობა მცირდება პროექტის ბოლოს, ინვესტიცია გაცილებით მცირე პერიოდით განხორციელდება. მათ ჩამოაყალიბეს მოდელი, რომ იპოვონ ყველაზე იაფი ხერხი სამუშაო დროის შესამცირებლად, ფულის დროებითი ღირებულების საფუძველზე.

ოპტიმიზაციის პრობლემების აღწერილ მოდელებში ერთ-ერთი უდიდესი სირთულეა დამუშავებული პარამეტრებისა და მრავალი განტოლების რაოდენობა. ნაშრომში მოცემულია მათემატიკური მოდელი, რომელშიც შეზღუდვები ემყარება არა სამუშაოების რაოდენობას, არამედ ქსელში ბილიკების რაოდენობას. როდესაც ბილიკების რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე სამუშაოების რაოდენობა, განტოლებების რაოდენობაც ნაკლები იქნება, ვიდრე წინა მოდელებში, ამრიგად, გადაწყვეტის დრო და გამოთვლების სიმარტივე წარმოადგენს ამ მოდელის უპირატესობებს.

მათემატიკური პროგრამული მოდელების ძირითადი უარყოფითი მხარეებია ფორმულირების სირთულე და დიდ პროექტებთან გამკლავების შეუძლებლობა.

ევრისტული მეთოდები ეძებს გზებს ინფორმაციის ინტერპრეტაციისთვის თითოეული ცდისათვის, ხოლო შემდეგ კი შეარჩევენ მეთოდებს, რომლებიც მიდიან გამოთვლით ალგორითმთან საერთო გადაწყვეტის მოსაძებნად.

[77] ნაშრომში გამოყენებული იყო ევრისტული მეთოდი დროისა და ღირებულების ოპტიმიზაციის პროექტისთვის. მეთოდიკა ემყარება „მაქსიმალური ნაკადის მინიმალური ჭრის“ „maximal flow-minimum cut“ თეორიას. ამ მეთოდიკაში, დაგეგმარების პროცედურა განსაზღვრავს

კრიტიკულ გზებს ქსელში. სამუშაო ტევადობა არის იმ ღირებულების ზრდა, რომელიც საჭიროა სამუშაოს ხანგრძლივობის შესამცირებლად დროის ერთეულში. თითოეულ კრიტიკულ გზაზე განისაზღვრება მინიმალური ტევადობით მუშაობა. ეს სამუშაოები არის მინიმალური ჭრის (ღირებულება) ნაკრები. ალგორითმი შეკუმშავს მინიმალური ღირებულების სამუშაოების ერთობლიობას, ციკლი განმეორდება გაჩერების კრიტერიუმამდე ან სანამ არ მიიღწევა კალენდარული გეგმის მაქსიმალური შეკუმშვა.

ევრისტული მეთოდები ადვილად გასაგებია და შესაბამისად, უფრო ადვილად განსახორციელებელია, მაგრამ ოპტიმალური გადაწყვეტის პოვნა არაა გარანტირებული.

ევოლუციური ალგორითმები ხელოვნური ინტელექტის მიმართულებაა, რომელიც ეფუძნება ევოლუციური ბიოლოგიისა და მოსახლეობის გენეტიკისგან ნასესხებ პრინციპებსა და კონცეფტუალურ აპარატი. გენეტიკური ალგორითმები GA წარმოადგენენ ოპტიმიზაციის მეთოდს, რომელიც დამყარებულია ბუნებრივი შერჩევის კონცეფციასა და გენეტიკაზე. გენეტიკური ალგორითმები ძირითადად ემსახურებიან გადაწყვეტის მოძებნას ძებნის ძალიან დიდ, რთულ სივრცეებში [22].

ნაშრომში [65] GA-მოდელი წარმოდგენილია ერთი მიზნით, რომ პროექტის ვარიანტებში დასრულების სხვადასხვა დროით მოხდეს საერთო ღირებულების მინიმიზირება და პარეტო-ფრონტის მიღება. [56] ნაშრომში დამუშავებულია მრავალკრიტერიული მოდელი სამშენებლო ბაქნის დაგეგმვისთვის, იმისათვის, რომ ღირებულების ოპტიმიზაციაში ჩაიდოს ერთდროულად უსაფრთხოების საკითხებიც. [121] ნაშრომში შემოთავაზებული იყო მრავალკრიტერიული GA-მოდელი დრო-ღირებულების ოპტიმიზაციის ამოცანის გადასაწყვეტად. მათ ასევე განიზიდას არამკვეთრი სიმრავლის თეორიები მოდელის პრაქტიკულობის ასამაღლებლად. სხვა ნაშრომებში [123] შემუშავებულია სისტემა-პროტოტიპი მრავალმიზნობრივი GA-მოდელის საფუძველზე, რომელიც



აღჭურვილია ადაპტაციური წონადობით. [115]-ის ავტორებმა კომპრომისის ამოცანის გადასაწყვეტად პროექტის ღირებულების, დროისა და რესურსებს შორის გამოიყენეს გენეტიკური მოდელი სტოქასტიკური უკმარზომილი დახარისხებით.

[37] ნაშრომში წარმოდგენილია მოდელი რომელიც შეიცავს გენეტიკური ალგორითმების მრავალმიზნობრივ მოდელში „LOB“ ბალანსირების ხაზის და „GPM“-ის კრიტიკული გზის მეთოდის ძირითად კონცეფციებს. მოდელი შემუშავებული იყო რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციის შემსუბუქებისათვის ტიპურ სამშენებლო პროექტებში, იმისათვის, რომ მოხდეს პროექტის ღირებულებისა და ხანგრძლივობის ერთდროული მინიმიზაცია მისი ხარისხის მაქსიმიზაციის დროს.

[44, 45] ნაშრომებში შესრულებულია ექსპერიმენტული ჰიბრიდული მეტა-ევრისტიკული გენეტიკური ალგორითმის კვლევა იმისათვის, რომ გაიზომოს ძირითად პარამეტრებს შორის ურთიერთქმედება, როგორებიც არის კროსოვერი, მუტაცია და პოპულაციის ზომა. ექსპერიმენტმა გვაჩვენა, რომ მოდელის პარამეტრების გაუმჯობესების ხარჯზე ოპტიმალური გადაწყვეტა გაანგარიშების მოკლე ვადებში მიიღება.

[61] ნაშრომში მოყვანილია მრავალკრიტერიული გენეტიკური ალგორითმი კომპრომისის ამოცანის გადასაწყვეტად დროსა და ღირებულებებს შორის. მიდგომა ეძებს ლოკალურად პარეტოს ოპტიმალურ ან ლოკალურად უკმარზომილის მიჯნას, სადაც ერთდროულადაა ოპტიმიზირებული პროექტის დრო და ღირებულება.

[101] ნაშრომის ავტორებმა შეიმუშავეს ალგორითმი შეზღუდული რესურსების მდგომარეობაში პროექტის დროსა და ღირებულებას შორის კომპრომისის ამოცანის გადასაწყვეტად გადაწყვეტის მიღების მულტიინდექსის მეთოდის გამოყენებით გენეტიკური ალგორითმის საფუძველზე.

ნაშრომში [1] შემოთავაზებული იყო სამუშაოთა დაგეგმვის ამოცანის გადაწყვეტის მეთოდი ევოლუციური და იმიტაციური მოდელების

ინტეგრაციის საფუძველზე. ამოცანის გადასაწყვეტად შემუშავებული იყო გენეტიკური ოპტიმიზაციის ინტელექტუალური აგენტი, გენეტიკური ალგორითმების ევოლუციური მეთოდის მარეალიზებელი. იმიტაციური მოდელის დანიშნულებაა ინდივიდუალურ-გადაწყვეტათა ვარგისიანობის ფუნქციის შეფასება საპროექტო სამუშაოების მიხედვით საკუთარი და სუბმოიჯარეთა რესურსების განაწილების დინამიური ხასიათის.

[119] ნაშრომში შემოთავაზებულია გენეტიკური ალგორითმის საფუძველზე ოპტიმიზაციის მოდელი პროექტის დროსა და ღირებულებას შორს კომპრომისის ამოცანის გადასაწყვეტად სამუშაოთა რესურსის უწყვეტობისადმი სხვადასხვა მოთხოვნების გათვალისწინებით.

კვლევის ზოგიერთი მნიშვნელოვანი პარამეტრები ოპტიმიზაციის დაგეგმვისათვის ევოლუციური ალგორითმის გამოყენებით ნაჩვენებია ცხრილი 3.-ში.

როგორც ცხრილშია ნაჩვენები, მკვლევარების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გენეტიკური ალგორითმები GA.

დეტერმინირებულ მოდელებში ყველა ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს გადაწყვეტის მიღების სიტუაციის განვითარებაზე, ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრულია და მათი მნიშვნელობები ცნობილია გადაწყვეტის მიღების მომენტში.

სტოქასტიკური მოდელი ვარაუდობს განუსაზღვრელობის ელემენტის არსებობას, ითვალისწინებს სიტუაციის განმსაზღვრელი ფაქტორებისა და პარამეტრების მნიშვნელობათა ალბათურ განაწილებას.

**კვლევები პროექტის კალენდარული გეგმის ოპტიმიზაციის შესახებ**

წარსული კვლევები	მეთოდი	პრობლემის ტიპი	გადაწყვეტა
Feng и др. (1997)	GA	დეტერმინული	უკმარზომილი გადაწყვეტების ჯგუფი
Li & Love (1997)	GA	დეტერმინული	საუკეთესო გადაწყვეტა
Hegazy (1999)	GA	დეტერმინული	საუკეთესო გადაწყვეტა
Feng и др. (2000)	GA	სტოქასტიკური	უკმარზომილი გადაწყვეტების ჯგუფი
Leu и др. (2001)	არამკაფიო ლოგიკა და GA	სტოქასტიკური	საუკეთესო გადაწყვეტა
Zheng и др. (2004)	GA და ადაპტიური წონა	დეტერმინული	უკმარზომილი გადაწყვეტების ჯგუფი
Yang (2007)	PSO	დეტერმინული	უკმარზომილი გადაწყვეტების ჯგუფი
Rahimi & Iranmanesh (2008)	PSO	დეტერმინული	საუკეთესო გადაწყვეტა
Xiong & Kuang (2008)	ACO	დეტერმინული	უკმარზომილი გადაწყვეტების ჯგუფი
Zhang & Li (2010)	PSO	დეტერმინული	საუკეთესო გადაწყვეტა
Christodoulou (2010)	ACO	სტოქასტიკური	საუკეთესო გადაწყვეტა
Ghorbanali (2011)	GA	დეტერმინული	უკმარზომილი გადაწყვეტების ჯგუფი
Zhang и др. (2013)	GA	დეტერმინული	უკმარზომილი გადაწყვეტების ჯგუფი

დეტერმინირებული მოდელები ერთის მხრივ უფრო გამარტივებულს წარმოადგენენ, რამდენადაც განუსაზღვრელობის ელემენტის საკმარისად სრულად გათვალისწინების საშუალებას არ იძლევიან. მეორეს მხრივ, ისინი საშუალებას იძლევიან გავითვალისწინოთ მრავალი დამატებითი ფაქტორი, ხშირად მიუწვდომელი სტოქასტიკური მოდელებისათვის.

ზოგიერთ გამოკვლევებში შედეგები უკმარზომილი გადაწყვეტების ჯგუფს წარმოადგენენ, სხვებში კი ამოცანის ერთ გადაწყვეტას წარმოადგენს.

პროექტის დაგეგმარების ოპტიმიზაციის ამოცანა ეკუთვნის რთული სისტემების მართვის მრავალკრიტერიულ ამოცანათა კლასს, რომელთა გადაწყვეტის ძებნის დრო ექსპონენციალურად იზრდება ამოცანის განზომილებისაგან დამოკიდებულებით. დაგეგმარების ამოცანის გადაწყვეტის კლასიკურ მეთოდებს მრავალი ნაკლი აქვთ. მაგ. კომბინირებული მეთოდის გამოყენება, ასევე, მათემატიკური პროგრამირება დაკავშირებულია მნიშვნელოვნად ხანგრძლივ გამომანგარიშებასთან დიდი განზომილების ამოცანების კვლევისას. ამას გარდა, მოცემული მეთოდები განიცდიან სიძნელეებს ოპტიუმის ძებნაში შეზღუდვების დინამიური სისტემის არსებობისას, რომელიც დაგეგმარების ყოველ ნაბიჯზე იცვლება [27]. გენეტიკური ოპტიმიზაციის გამოყენება საშუალებას გვაძლევს გადავლახოთ წინა მეთოდების გამოკვეთილი ნაკლი, მათ შორის, მივაღწიოთ გადაწყვეტის ძიების დროის შემცირებას, ამოცანის განზომილებიდან კვადრატულ დამოკიდებულებამდე [1, 19, 26].

იმისათვის, რომ GA გამოვიყენოთ ეფექტიანად, აუცილებელია შევიმუშაოთ პრობლემის წარმოდგენის შესაბამისი სქემები, ინტელექტუალურად შევასრულოთ გენეტიკური ოპერატორების შერჩევა (ამორჩევა მშობლების, კროსოვერის, მუტაცია) და ავაწყოთ დაკავშირებული პარამეტრები. ზოგიერთი კვლევა, რომლებიც მიმართულია იმაზე, თუ როგორ შევარჩიოთ გენეტიკური ოპერატორები და პარამეტრების აწყობა იმისათვის, რომ ვიმოქმედოთ ალგორითმზე, წარმოდგენილია სამუშაოებში [2, 34, 42, 70].

კოდირების ხერხის არჩევა ევოლუციური ალგორითმების გამოყენებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. მნიშვნელოვნად მოსახერხებელია კოდირება მოვახდინოთ გენში არა მთელი რიცხვის, არამედ ნივთიერად. ნივთიერი კოდირება საშუალებას გვაძლევს გავთავისუფლდეთ კოდირების დეკოდირების ოპერაციისაგან,

რომელიც მთელ რაოდენობაში კოდირებაში გამოიყენება, ასევე გავზარდოთ მოძებნილი გადაწყვეტის სიზუსტე. პოპულაციის დაწყებითი რაოდენობისათვის არ არსებობს განსაზღვრული რიცხვის მკაფიო შერჩევის წესი, ე.ი. შეიძლება ვთქვათ, რომ ის გაგანსხვავდება სხვადასხვა პარამეტრებისთვის. პოპულაციის დაწყებითი რაოდენობისათვის სხვადასხვა ცდებში (გაანგარიშებებში) რეკომენდირებულია სხვადასხვა რიცხვების გამოყენება [42].

წრფივი რანჟირება საუკეთესო ფუნქციაა შეგუებადობის ფუნქციისთვის (ცხრ. 4.). სელექციის მეთოდისთვის რეკომენდირებულია გამოვიყენოთ ტურნირის ფუნქცია ან რულეტის ბორბალი (ცხრ. 5.). კროსოვერებისთვის რეკომენდირებულია ორი წერტილის მეთოდი, ხოლო მუტაციისთვის – ერთწერტილიანი მუტაცია.

კროსოვერისთვის რეკომინდირებულია ალბათობის სიდიდის გამოყენება 0,7-დან 0,9-მდე. კროსოვერის მეთოდებთან მიმართებაში რეკომენდირებულია ორი წერტილის მეთოდი (ცხრ. 6.).

ცხრილი 4.

**შეგუებადობის ფუნქციის რანჟირება**

რანჟირება	შეგუებადობის ფუნქცია
1	წრფივი რანჟირება
2	ცვლადი მასშტაბურობა
3	პროპორციული
4	წრფივი გადაადგილება
5	რანჟირება

ცხრილი 5.

**სელექციის ფუნქციის რანჟირება**

რანჟირება	სელექციის ფუნქცია
1	ტურნირი
2	რულეტის ბორბალი
3	თანაბარი
4	ნარჩენი
5	სტოქასტიკური თანაბარი

*კროსოვერის მეთოდების რანჟირება*

რანჟირება	კროსოვერის მეთოდი
1	ორი წერტილი
2	ერთი წერტილი
3	შუალედური
4	ევრისტიკული
5	არიტმეტიკა

მუტაციისთვის შემჩნეული იყო, რომ ოპტიმალური გადაწყვეტის მიღწევა პოპულაციის რაოდენობისგან დამოკიდებულებით შეიძლება მოხდეს მუტაციის მეთოდების გამოყენებით მისი ალბათობის ზრდადობის ან კლების მიხედვით. მუტაციის მეთოდებთან მიმართებაში რეკომენდირებულია ერთწერტილიანი მუტაცია (ცხრ. 7.).

*მუტაციის მეთოდების რანჟირება*

რანჟირება	მუტაციის მეთოდი
1	ერთი წერტილი
2	ცოცვადობა
3	გაუსისეული
4	ცვლა
5	ინვერსია

მიუხედავად მრავალი ცდისა, იმისათვის, რომ გამოვიკვლიოთ გენეტიკური ალგორითმის პარამეტრებისა და ფუნქციების საუკეთესო სიდიდეები, არ არსებობს ერთეული საუკეთესო ოპერატორი, რომელიც კარგი იქნებოდა გამოყენების ყველა სხვადასხვა ტიპებისათვის. ამ ოპერატორების ამორჩევა დამოკიდებულია პრობლემის ძიების სივრცის სტრუქტურასა და გამოყენების ხასიათზე. ოპერატორების ერთი ტიპი შეიძლება კარგია ერთი პრობლემის ან გამოყენების ტიპისათვის და შეიძლება არ ვარგოდეს გამოყენების სხვა ტიპისათვის.

## 1 თავის დასკვნები

1. არსებობს მშენებლობის კალენდარული დაგეგმარების მრავალი თანამედროვე მეთოდი და საშუალება, რომელიც გვხვდება რთული საპროექტო ამოცანის გადაწყვეტაში, მაგრამ მშენებლობის დაგეგმარება ჯერ ისევ შრომატევად პროცესს წარმოადგენს, რომელიც ბევრ დროს გვართმევს.
2. გამოვლენილია მშენებლობის კალენდარული დაგეგმარებისთვის მონაცემთა ფორმირების ავტომატიზაციის აუცილებლობა. შენობის კომპონენტებზე BIM-ში შენახული ზუსტი ინფორმაციის გამოყენება საშუალებას მოგვცემს პროექტის სამუშაოთა სახეობები უფრო ეფექტიანად განვსაზღვროთ, გავიანგარიშოთ მათი ხანგრძლივობა, გამოვიყენოთ მოწესრიგების წესი, და ბოლოს მოვახდინოთ დაგეგმარება.
3. არსებობს აუცილებლობა ალგორითმების შემუშავებაში, რომლებიც წყვეტენ სპეციალიზებულ ამოცანებს მათი ინტეგრირებულ სისტემებში ჩართვის შესაძლებლობით.
4. არსებობს ოპტიმიზაციის მოქნილი მოდელის შექმნის აუცილებლობა, რომელიც მხედველობაში იღებს სამუშაოთა თანმიმდევრობის სხვადასხვა ტიპებს, სამუშაოთა ხანგრძლივობის შეზღუდვას, მინიმალურად ამცირებს პროექტის საერთო ღირებულებას და დროს მთელი პროექტის შესასრულებლად.
5. არსებობს გადაწყვეტილების მიღების სცენარების ფორმალიზაციის აუცილებლობა პროექტის შესრულების დროისა და ღირებულების ოპტიმიზაციისას.
6. არსებობს პრობლემების წინასწარი იდენტიფიკაციის აუცილებლობა, რომელიც ეხება სამუშაო სივრცეებს, რომ დაცული იქნეს სამშენებლო სამუშაოების უსაფრთხოება, შემცირდეს მომუშავეთა შორის კონფლიქტები, შემცირდეს მოცდენების დრო, გაუმჯობესდეს სამუშაოთა ხარისხი და შემცირდეს პროექტის განხორციელების გეგმიდან გადახრა.

## **თავი 2. მშენებლობის კალენდარული დაგეგმარების ავტომატიზაციის ძირითადი მეთოდოლოგიური მიდგომები**

არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირების და მისი გენეტიკური ალგორითმების, შენობის ავტომატიზებული პროექტირების CAIP და ინფორმაციული მოდელირების BIM თეორიის ძირითადი წარმოდგენები. ასევე, წარმოდგენილია მშენებლობის 4D მოდელის ფორმირების ავტომატიზაციის მეთოდოლოგია შენობის ინფორმაციული მოდელის მონაცემთა საფუძველზე და სამუშაო სივრცის ვიზუალიზაციის 4D მოდელი. განხილულია მშენებლობის პროცესის, პროექტის შესრულების ვადებისა და ღირებულების ოპტიმიზაციის მეთოდოლოგია, დაფუძნებული გენეტიკურ ალგორითმებზე.

### **2.1. არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირების მართვის ძირითადი წარმოდგენები**


არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირება შეზღუდულია დროის, თანხისა და ხარისხის პარამეტრებით. ეს პროექტები მაღალ რისკს შეიცავენ. მისი მართვა მდგომარეობს გეგმის და მისი მონიტორინგის დამუშავებაში. გეგმა დგება სამუშაოთა განსაზღვრისათვის, რომლებიც საჭიროა პროექტის შედეგის მისაღწევად, ადამიანური რესურსისა და დანადგარების შესარჩევად, რომლებიც ამ სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო, დროის განსაზღვრისათვის, იმ დროს როდესაც შრომითი რესურსი და მანქანა-დანადგარები მუშაობით დაკავებულნი არის [83, 94, 108].

არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირების პროფესიული მართვის საფუძველს წარმოადგენს მისი როგორც კონსტრუქციული ინფორმაციული ობიექტის გაგება, რომლის ყოველი ელემენტი ემორჩილება ლოგიკურ მსჯელობას და ფორმალურ წესებს. პროექტირების ფუნქციის რთული კომპლექსის მართვის სისტემის ასეთი გაგება წინ წამოწევს პროექტის



დაყოფას, პროექტის დეკომპოზიციას, რომელიც ხორციელდება გარკვეული პრინციპების დაცვით. ამ პრინციპების თანახმად შესაძლებელია არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის მართვის ნებისმიერი ფუნქციის დეკომპოზიცია, ხოლო დეკომპოზიციის სტრუქტურა და დონე, ანუ პროექტის დეტალიზაციის ხარისხი დამოკიდებულია მშენებლობაში მისი რეალიზაციის მიზნებსა და ამოცანებზე.


დროს, ღირებულებასა და ხარისხს საპროექტო სამკუთხედი ეწოდება, რადგან ერთ-ერთ ამ ელემენტში ცვლილების შეტანისას იცვლება სხვა ორი (ნახ. 6.).



**ნახ. 6. საპროექტო სამკუთხედი**

თუ სამშენებლო კომპანიები პროექტების მართვის ტექნიკას ვერ იყენებენ, მაშინ ხდება ვადების მნიშვნელოვანი დარღვევა, ბიუჯეტის გადაჭარბება და დაგეგმილი შედეგების მიუღწევლობა. [23, 25].

არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის მართვა არის ძირითადი პროცესების შესრულება (ნახ. 7.). პირველი ეტაპი არის პროექტის ინიცირების ეტაპი, ხდება მისი განსაზღვრა და დასაბუთება. მეორე ეტაპი მოიცავს პროექტის დაგეგმვას, რაც მოიცავს მოქმედების საუკეთესო ხერხის განსაზღვრას დასახული მიზნების მისაღწევად. მესამე და მეოთხე ეტაპები მოიცავს პროექტის შესრულებას და კონტროლს. დამამთავრებელი ეტაპი კი არის პროექტის დახურვა [32].



**ნახ. 7. არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტების მართვის ძირითადი პროცესები**


მშენებლობის დაგეგმარება მიმდინარეობს პროექტის რეალიზაციის მთელი ვადის განმავლობაში. პროექტის სიცოცხლის ციკლის დასაწყისში ჩვეულებრივ მუშავდება წინასწარი გეგმა, ე.ი. პირველი დაახლოება იმ საკითხის გადაწყვეტასთან, რომლის შესრულებაც იქნება საჭირო პროექტის რეალიზაციისას. პროექტის ფორმალური და დეტალური დაგეგმვა იწყება მისი გახსნის გადაწყვეტის მიღების შემდეგ [72].

მშენებლობის დაგეგმარება წარმოადგენს ამოცანათა სისტემატიზებულ გადაწყვეტას, რომელიც მიმართულია დასახული მიზნის მისაღწევად. დაგეგმარების ეტაპზე განისაზღვრება პროექტის რეალიზაციის პარამეტრები (პროექტის ამოცანები, ბიუჯეტი და ვადები), მათ რიცხვში მისი შესრულების ხანგრძლივობა მთლიანად და ცალკეული ნაწილების (ქვეპროექტები), ფინანსირების, მატერიალური და შრომითი რესურსების საჭიროება [29].

ანსხვავებენ გეგმების რამდენიმე დონეს: სტრატეგიული გეგმები, წინასატენდერო გეგმები, მშენებლობის მოკლევადიანი გეგმები, მშენებლობის გრძელვადიანი გეგმები და სხვ. [60]. ყველა ეს გეგმა მუშავდება ოთხი ძირითადი ეტაპის შესრულების გზით:

- პროექტის სამუშაო ელემენტების დაყოფა სამუშაოებად;
- სწორი თანმიმდევრობის გამოვლენა, რომელთა მეშვეობითაც ეს სამუშაოები უნდა შესრულდეს;
- სამუშაოს წარმოდგენა;


რესურსების, დროისა და ფინანსური დანახარჯების შეფასება სამუშაოთა ცალკეული სახეობისათვის, დაგეგმარების პროცესის საწყისი მონაცემები და გამოსავალი შედეგები ნაჩვენებია ნახ. 8.-ზე.



**ნახ. 8. დაგეგმარების პროცესის საწყისი მონაცემები და გამოსავალი შედეგები**

მნიშვნელოვანია დაგეგმარება პროექტის ადრეულ ეტაპზე მოვახდინოთ, რომ განვსაზღვროთ შესაძლო შეცდომები, მოვამზადოთ შესაძლო გადაწყვეტები და ადამიანებს დავუნიშნოთ სამუშაოები, სწორად შერჩეული ტექნიკის სახეობებით [116].

მშენებლობის დაგეგმარება – ეს განმეორებადი პროცესია, სადაც გეგმები შეიძლება შეიქმნას და შეფასდეს არაერთხელ, ვიდრე დამაკმაყოფილებელ გეგმას არ მივიღებთ. დაგეგმვის პროცესი ნაჩვენებია ნახ. 9.-ზე.



ნახ. 9. დაგეგმარების პროცესი

დაგეგმვის პროცესის ძირითადი ამოცანები შეიცავს:

- პროექტის მიზნების განსაზღვრა და მათი აღწერა;
- ტექნოლოგიური სტადიების განსაზღვრა (პროექტისთვის ამორჩეული უნდა იყოს რეალიზაციის ტექნოლოგია, პროექტის განვითარების სტადიის განმსაზღვრელი);
- სამუშაოთა სიის განსაზღვრა, მათი თანმიმდევრობისა და პროგნოზირებადი ხანგრძლივობის განსაზღვრა;
- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, სამუშაოს თითოეული სახეობისთვის ხარჯთაღრიცხვის დანახარჯების მიბმა;
- კალენდარული დაგეგმვა.

კალენდარული დაგეგმარება მშენებლობაში მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და რთულ, შრომატევად და საპასუხისმგებლო ამოცანას წარმოადგენს. კალენდარული გეგმების ხარისხი უშუალო გავლენას ახდენს სამშენებლო ორგანიზაციის მნიშვნელოვან მაჩვენებლებსა და შედეგებზე. ამით აიხსნება მაღალი მოთხოვნები კალენდარული დაგეგმარების მოდელებისა და მეთოდებისადმი [3].

კალენდარული დაგეგმარების განვითარების მიზნებს პროექტების სირთულე და მათი განხორციელების ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობის წარმოშობა წარმოადგენს [33].

კალენდარული გეგმის სწორად შედგენა პროექტის შესრულების წარმატების ალბათობას ზრდის [30], [106].

კალენდარული გეგმა სამშენებლო ამოცანებისა და დოკუმენტაციის სახეობიდან გამომდინარე, შეიძლება დაიყოს 4 სახეობად [14] (ნახ. 10.).

კრებსითი კალენდარული გეგმა

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი – მოპ)


ობიექტის კალენდარული გეგმა

სამუშაოთა წარმოების პროექტი – სნპ

მუშაო კალენდარული გეგმები

ოპერატიული დაგეგმვა – ოდ

საათობრივი კალენდარული გეგმები, (ტექნოლოგიური რუკები – ტრ)



ნახ. 10. კალენდარული გეგმების სახეობები

კრებსითი კალენდარული გეგმა ობიექტების აშენების რიგობითობას განსაზღვრავს, ე.ი. თითოეული ობიექტის დაწყებისა და დასრულების ვადას, მომზადებული პერიოდის ხანგრძლივობას და მთლიანობაში მთელი მშენებლობის ხანგრძლივობას.

ობიექტის კალენდარული გეგმა კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოთა თითოეული სახეობის შესრულების ვადებსა და რიგითობას განსაზღვრავს მისი აშენების დასაწყისიდან ექსპლუატაციაში ჩაბარებამდე. ჩვეულებრივ, ასეთ გეგმას დაყოფენ თვეების ან დღეების მიხედვით ობიექტის სირთულისა და სიდიდისაგან დამოკიდებულებით.

სამუშაო კალენდარული გეგმები არის ოპერატიული დაგეგმვის ელემენტი, რომელიც მშენებლების მთელ პერიოდს მოიცავს.

საათობრივი კალენდარული გეგმები გამოიყენება ტექნოლოგიური და შრომითი პროცესების რუკებში, მაგ. შრომითი რესურსების ოპტიმალური დატვირთვის ფორმირებისათვის.


Microsoft Project и Primavera – ცნობილი პროგრამები მშენებლობის დაგეგმვისათვის. ამ პროგრამებს გააჩნიათ მსგავსი ფუნქციონალები და იყენებენ დაგეგმვის კლასიკურ ინსტრუმენტებს, როგორებიცაა კრიტიკული გზის მეთოდი და განტის დიაგრამა. ამავე დროს, ეს ინსტრუმენტები საშუალებას არ გვაძლევენ დავინახოთ როგორ შესრულდება პროექტის სამუშაოები და როგორი შედეგები იქნება მიღებული [16].

## **2.2. სამშენებლო პროექტის კალენდარული გეგმის ოპტიმიზაციის ამოცანის დასმა**

სამშენებლო პროექტის სამუშაოთა რეალიზაცია ითხოვს სხვადასხვაგვარ რესურსებს: შრომითი რესურსებს, მანქანა-მექანიზმებს და სხვ. სამუშაოთა წარმოების მეთოდების ამორჩევა და რესურსების განსაზღვრა დაგეგმვის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, ისინი არსებითად მოქმედებენ კალენდარული დაგეგმარების გადაწყვეტის ამორჩევაზე. სამუშაოს ხანგრძლივობის და ასევე სამუშაოს ღირებულების შესაფასებლად გამოიყენება ინფორმაცია რესურსების საჭირო ტიპებსა და მათ რაოდენობაზე.

მრავალ დაგეგმილ სამუშაოს აქვს მათი რეალიზაციის ალტერნატიული ხერხი. სამუშაოთა შესრულების სხვადასხვა შესაძლო

ხერხების კომბინაცია გენერირებას ახდენს პროექტის მრავალი ალტერნატიული კალენდარული გეგმების თავისი ხანგრძლივობით და ღირებულებებით. სამშენებლო სამუშაოთა შესრულების ხერხების საუკეთესო კომბინაციის განსაზღვრა რთულ ამოცანას წარმოადგენს (ნახ. 11.).



**ნახ. 11. სამუშაოს შესრულების „ღირებულება-ხანგრძლივობის“ ალტერნატიული ვარიანტები**

ეს ამოცანა ხასიათდება შემდეგი პირობებით:


- არსებობს სამუშაოთა რიგი, რომლებიც უნდა შესრულდეს;
- არსებობს რესურსების საკმაო რაოდენობა სამუშაოთა შესრულებისთვის;
- ზოგიერთი სამუშაო შეიძლება შესრულდეს სხვადასხვაგვარი ხერხებით, სხვადასხვაგვარი რესურსების გამოყენებით, მათი კომბინაციებით და რაოდენობით;
- ოპერაციების შესრულების ზოგიერთი ხერხი ზოგჯერ უკეთესია, უფრო იაფია, დროის ნაკლებ დანახარჯს ითხოვს და სხვ.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მოვებნოთ სამშენებლო სამუშაოთა შესრულების ხერხების საუკეთესო კომბინაცია, რომლის დროსაც პროექტის კალენდარული გეგმა ოპტიმალურ ხანგრძლივობას და ღირებულებას მიაღწევს, ე. ი. საჭიროა პროექტის ოპტიმიზაცია მისი განხორციელების დროისა და ღირებულების კრიტერიუმებით, სამუშაოთა

ან მათი კომპლექტების შესრულების მოცემული ალტერნატიული ვარიანტების გათვალისწინებით (ნახ. 12.).

პროექტის საერთო ღირებულება ირიბი და პირდაპირი ხარჯების ჯამია. პირდაპირი ხარჯები ჩვეულებრივ დაკავშირებულია სამუშაო მოედანზე პროექტის კომპონენტების აშენების ხარჯებთან. ისინი მოიცავს პროექტის შესრულებისათვის გამოყენებულ ყველა რესურსის ღირებულებას, მაგალითად, მასალების, დასაქმებული შრომითი რესურსის, მანქანა-დანადგარების და ა. შ. ირიბი ხარჯები ჩვეულებრივ წარმოადგენენ ზედნადებ ხარჯებს, ისეთებს, როგორცაა ხარჯები პროექტის მართვასა და კონტროლზე, ადმინისტრირებასა და კონსულტაციებზე.

პროექტის შეფერხება



ნახ. 12. ოპტიმალური გადაწყვეტა

გეგმიური გადაწყვეტების მრავალვარიანტულობა და ტრადიციული მეთოდებით კალენდარული გეგმის საუკეთესო ვარიანტების ძებნის სირთულე გულისხმობს დაგეგმვის პრაქტიკაში ვარიანტების შედარების მეთოდების აქტიური დანერგვის აუცილებლობას. ვარიანტების შედარების მეთოდის რეალიზება შესაძლებელია სცენარული მოდელირების საშუალებით. სცენარული მოდელირების მიზანი მდგომარეობს იმის გამოვლენაში, თუ როგორ გავლენას ახდენს შენობებისა და მისი



ელემენტების ძირითადი პარამეტრების ცვლილება სამშენებლო სამუშაოთა ღირებულებაზე შენობის მთელი სიცოცხლის ციკლის განმავლობაში [5].

პროექტის ოპტიმიზაციის მოცემული ამოცანა დროისა და ღირებულების კრიტერიუმებით მოიცავს შემდეგ ქვეამოცანებს:

- მონაცემთა საინფორმაციო ბაზასთან დაკავშირებული შენობის 3D მოდელის პროექტირება;
- კალენდარული გეგმის შემუშავება;
- გენეტიკური ალგორითმის ბაზაზე კალენდარული გეგმის ოპტიმიზაციის პროგრამის შექმნა;
- სამუშაოთა სამუშაო სივრცეების ორგანიზაციისა და ვიზუალიზაციისთვის 4D მოდელის შემუშავება.


### 2.3. გენეტიკური ალგორითმების თეორია

გენეტიკური ალგორითმები GA ბუნებრივი შერჩევისა და გენეტიკის კონცეპტიაზე დაფუძნებულ ოპტიმიზაციის მეთოდს წარმოადგენს.

გენეტიკური ალგორითმის GA დახმარებით ამოცანის გადასაწყვეტად აუცილებელია მისი მონაცემები წარმოვადგინოთ ქრომოსომაში გენების სახით (კოდირება). ამისათვის საჭიროა, განისაზღვროს ამოცანის რომელი პარამეტრების აწყობაა უპირველესად აუცილებელი.

ძირითადი გენეტიკური ალგორითმის ბლოკ-სქემა გამოსახულია ნახ. 13.-ზე.

საწყისი პოპულაცია იქმნება შემთხვევითი სახით საწყისი ქრომოსომების რაიმე რაოდენობიდან. მათი შეფასებისათვის შეიძლება „შეგუების ფუნქცია“, რომლის შედეგადაც თითოეულ ქრომოსომას მიეკუთვნება განსაზღვრული მნიშვნელობა (შეგუებადობა), რომელიც განსაზღვრავს მოცემული ქრომოსომებით წარმოდგენილი ორგანიზმის გადარჩენის ალბათობას [9].



ნახ. 13. გენეტიკური ალგორითმის ეტაპები

შეგუებადობის მიღებული მნიშვნელობებისაგან დამოკიდებულებით შეირჩევა რეკომბინაციაზე (გამრავლებაზე) დაშვებული ქრომოსომები (სელექცია-შერჩევა). ამ ქრომოსომებისაგან გამოიყენებიან „გენეტიკური ოპერატორები“ (უმეტეს შემთხვევაში „კროსინგოვერი“ – crossover და „მუტაცია“ mutacion), ასეთი სახით შემდეგი „თაობის“ შემქმნელი. შემდეგ თაობებში ინდივიდუალები ასევე შეფასდებიან, იმისათვის, რომ შემდგომ მოახდინოს სელექცია, ამგვარად, მოდელირება იტერაციული „ევოლუციური პროცესი“, გახანგრძლივებული სიცოცხლის რამდენიმე ციკლით (თაობებით), ვიდრე არ შესრულდება ალგორითმის შეჩერების კრიტერიუმი [7, 15].

ამგვარი კრიტერიუმი შეიძლება იყოს:

- გლობალური ან სუბოპტიმალური გადაწყვეტის პოვნა;
- ევოლუციაზე დაშვებული თაობების რიცხვის ამოწურვა;
- ევოლუციაზე დაშვებული დროის ამოწურვა.

ქვემოთ მოყვანილია გენეტიკური ალგორითმების რამოდენიმე მოდელი [109].

- უბრალო მოდელი: პირველად აღწერილი იყო გოლდბერგის მიერ ჰოლანდის შრომების საფუძველზე. ალგორითმი ახდენს შემთხვევით გენერირებას ქრომოსომების თანმიმდევრობების პოპულაციის ალტერნატიული მოწესრიგებული და მოუწისრიგებელი გადაწყვეტების. შემდეგ წარმოებს ქრომოსომების თანმიმდევრობის კოპირება და მათი ნაწილების გადანაცვლება. შემდგომში ალგორითმი დაწყებითი პოპულაციისადმი მრავალ მარტივ ოპერაციას უკეთებს რეალიზებას და ახალი გადაწყვეტების გენერირებას ახდენს.
- გენიტორის მოდელი: მოცემულ მოდელში გამოიყენება შერჩევის განსაკუთრებული სტრატეგია. დასაწყისში პოპულაცია ინიციალიზირდება და მისი ინდივიდუალები შეფასდება. შემდეგ ორი ინდივიდუალი შემთხვევითი სახით შეირჩევა, მათი შეჯვარებით მიიღება მხოლოდ ერთი შთამომავალი, რომელიც შეფასდება და შედარებით ნაკლებად შეგუებული ინდივიდუალის ადგილს დაიკავებს. ამის შემდეგ იტერაცია მეორდება. ამგვარად, თითოეულ ნაბიჯზე პოპულაციაში განახლდება მხოლოდ ერთი ინდივიდუალი.
- ჰიბრიდული მოდელი: მოცემულ მოდელში გაერთიანებულია გენეტიკური ალგორითმების GA უპირატესობა კლასიკური მეთოდების უპირატესობებთან, ისინი საშუალებას გვაძლევენ მოვძებნოთ კარგი გადაწყვეტა, მაგრამ ოპტიმალური გადაწყვეტის პოვნა უფრო რთულ ამოცანად გვევლინება ალგორითმის მუშაობის პრონციპების სტოქასტიკურობის გამო. საწყის ეტაპზე GA შეიძლება გამოვიყენოთ გლობალური ექსტრემუმის ირგვლივ ძებნის სივრცის ეფექტიანი შევიწროებისთვის, დამატებით, უკეთესი ინდივიდუალისთვის საჭიროა გამოვიყენოთ ერთ-ერთი ოპტიმიზაციის „კლასიკური“ მეთოდებიდან.
- კუნძულოვანი მეთოდი: მოცემულ მოდელში მუშაობა მიმდინარეობს პარალელურად ორ პოპულაციასთან. ამისათვის, პოპულაცია დაიყოფა რამდენიმე ქვეპოპულაციად. თითოეული მათგანი ცალკე ვითარდება რომელიღაც გენეტიკური ალგორითმის დახმარებით. შეიძლება

ანალოგია ვიპოვოთ ინდივიდუალების განსახლებასთან ცალკეულ იზოლირებულ კუნძულებზე. დაახლოებით თითოეული 5 თაობის მიგრაცია ხდება, ე.ი. კუნძულები ერთმანეთში ცვლიან რამოდენიმე კარგ ინდივიდუალს. რამდენადაც კუნძულების დასახლება დიდი არ არის, ქვეპოპულაციები მიდრეკილი იქნებიან ადრეული კრებადობისადმი. გენეტიკური ალგორითმები სტოქასტიკურია, ამიტომ მისი სხვადასხვა ამუშავებისას პოპულაცია შეიძლება შეერთდეს სხვადასხვა კარგ გადაწყვეტასთან. კუნძულოვანი მოდელი საშუალებას გვაძლევს ალგორითმი ავამუშაოთ ერთბაშად რამდენიმე ჯერზე პარალელურად და შევათავსებადოთ სხვადასხვა კუნძულების „მიღწევები“ საუკეთესო გადაწყვეტის მისაღებად.

## 2.4. ავტომატიზებული პროექტირების სისტემა CAIP

არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირება  ეს არის პროცესი, რომელიც აღწერს ობიექტის საწყისი მდგომარეობას და საბოლოო გარდაქმნას და შესრულებულია კომპლექსური კვლევითი, გაანგარიშებითი და საკონსტრუქტორო ხასიათის სამუშაოების საფუძველზე [8].

პროექტირებას, რომლის დროსაც ყველა საპროექტო გადაწყვეტას ან მათ ნაწილს იღებენ ადამიანისა და კომიუტერის ურთიერთქმედებით უწოდებენ ავტომატიზებულს, ხელით პროექტირებისაგან განსხვავებით, როცა ავტომატური გამომთვლელი მანქანა გაანგარიშებისა და გადაწყვეტების მისაღებად არ გამოიყენება. ადამიანი-მანქანის სისტემა, რომელიც ავტომატიზებული პროექტირების რეალიზებას ახდენს, თავად წარმოადგენს ავტომატიზებული პროექტირების სისტემას CAIP [94].

CAIP მოიცავს შემდეგ ძირითად ამოცანებს:

- პროექტირების პროცესის ანალიზს, საპროექტო ამოცანების ალგორითმიზაციას მათემატიკური მოდელირების ბაზაზე, ოპტიმიზაციას, დისკრეტულ მათემატიკას და ხელოვნურ ინტელექტს;

- პროგრამული კომპლექსების დამუშავებას პროექტირების ამოცანების გადასაწყვეტად;
- ტექნიკური საშუალებების შერჩევას, მომხმარებლის ინტერფეისი შემუშავებას, ავტომატიზებული პროექტირების მეთოდის შექმნას, მომხმარებლების სწავლებასა და ავტომატიზაციის საშუალებათა ექსპლუატაციას.

საორგანიზაციო-ტექნოლოგიური პროექტირება (სტპ)  სამშენებლო დოკუმენტაციის შემუშავება, რომელიც შეიცავს საორგანიზაციო, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ გადაწყვეტებს სამშენებლო ობიექტის ექსპლუატაციაში დადგენილ ვადებსა და აუცილებელი ხარისხით შეყვანაში.

საორგანიზაციო-ტექნოლოგიური დოკუმენტაციის (სტდ)

შემადგენლობა  ეს არის:

- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი (მოპ);
- სამუშაოთა წარმოების პროექტი (სწპ);
- ტექნოლოგიური რუკა (ტრ);
- სამუშაო პროცესის რუკა (სპრ);
- მშენებლობის ობიექტების კომპლექტაციის უნიფიცირებული ნორმატიულ-ტექნოლოგიური დოკუმენტაცია (კუნტდ);

სნპ-ს საწყისი მასალები:

- დავალება შემუშავებაზე, გაცემული სნპ დამკვეთის მიერ;
- მოპ;
- აუცილებელი სამუშაო დოკუმენტაცია;
- მასალების, კონსტრუქციების, დანადგარების მოწოდების, სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების, მომუშავე კადრებით უზრუნველყოფის პირობები;
- მოქმედ სამშენებლო საწარმოთა ტექნიკური გამოკვლევის მასალები და შედეგები.

სნპ შემადგენლობა:

- სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა;

- ობიექტის მშენებლობის გენგეგმა;
- ტექნოლოგიური რუკები ძირითადი სამშენებლო-სამონტაჟო და სპეციალური სამუშაოების წარმოებაზე;
- უწყისები შრომითი, მატერიალური რესურსების მოთხოვნების (მომუშავე კადრები, მანქანა-მექანიზმები, სამშენებლო მასალები, ნახევარფაბრიკატები, კონსტრუქციები, დანადგარები და ა.შ.);
- სამშენებლო-სამონტაჟო და სპეციალური სამუშაოების წარმოების მეთოდები;
- მომუშავეთა შრომის ორგანიზება;
- შრომისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას;
- ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

მშენებლობის ორგანიზაციის ეტაპის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს კალენდარული გეგმა, დადგენილი მიღებული საორგანიზაციო-ტექნოლოგიური სქემის და შესაბამისი თანმიმდევრობითი გადაწყვეტის, სამუშაოთა შესრულების ვადების დროში ურთიერთდაკავშირების საფუძველზე. გაანგარიშებული კალენდარული გეგმის შედეგს წარმოადგენს ასევე ობიექტზე სამშენებლო ნაკეთობებისა და მასალების შემოტანის გრაფიკი, ობიექტზე ძირითადი სამშენებლო მანქანების და მომუშავეთა კადრების მოძრაობის გრაფიკი [8].


პროდუქციის სასიცოცხლო ციკლი, ეს დროში გაწეილი პროცესია, რომელიც თავის თავში შეიცავს სხვადასხვა ეტაპებს, პროექტირებიდან უტილიზაციამდე. ყველა ეტაპზე წარმოიშვება ავტომატიზაციის საშუალებათა გამოყენების მოთხოვნა, დაფუძნებული კომპიუტერების გამოყენებაზე, რომელთა დანიშნულებაა პროდუქციის თვისებებსა და თანხლებ მოვლენებზე სრული აუცილებელი ინფორმაციის გადამუშავებისა და გამოყენების უზრუნველყოფა.

პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ეტაპზე გამოიყენება ავტომატიზაციის სხვადასხვა საშუალება ან ავტომატიზებული სისტემები

(ას) □ სისტემები, შემდგარი პერსონალისა და მისი მოქმედების ავტომატიზაციის საშუალებათა კომპლექსისგან, რომლებიც დადგენილი ფუნქციების შესრულების საინფორმაციო ტექნოლოგიების რეალიზებას ახდენენ.

მშენებლობაში ავტომატიზებული პროექტირების ამოცანების გადაწყვეტისას წარმოიქმნება სხვადასხვა ინფორმაციის დიდი მოცულობა, პროექტირების პროცესის თანმხლები მის ყველა ეტაპზე. შესაბამისად, წარმოიშვება აუცილებლობა ინფორმაციის სისტემატიზაციის, შენახვის, დამუშავებისა და გადაცემის როგორც ობიექტის პროექტირების ქვესისტემებს შორის, ისე სისტემასა და გარე არეს შორის. მსგავსი ოპერაციების განხორციელების ინსტრუმენტს წარმოადგენს საინფორმაციო უზრუნველყოფა [8].

პროგრამული უზრუნველყოფა (პუ) □ პროგრამის და პროგრამული დოკუმენტების ერთობლიობაა, რომლის დანიშნულებაც ავტომატიზებული სისტემის შრომისუნარიანობის გამართვა, ფუნქციონირება და შემოწმება. პროგრამულ უზრუნველყოფას ჰყოფენ საერთო (სისტემურად) და სპეციალურ (გამოყენებადად) პროგრამებად (ნახ. 14.).



**ნახ. 14. პროგრამული უზრუნველყოფის შემადგენლობა**

## 2.5. შენობის ინფორმაციული BIM მოდელირება

შენობის ინფორმაციული მოდელირება - BIM (Building Information Modeling) - ეს არის გენერაციის პროცესი შენობის მონაცემთა მართვის შესახებ მისი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. BIM-ი არის შენობის ფიზიკური და ფუნქციური თვისებების და მახასიათებლების ციფრული გამოსახულება.

BIM ტექნოლოგია გულისხმობს შენობის ზუსტი ვირტუალური მოდელის აგების ციფრული სახით. ინფორმაციული მოდელირება არის პროექტირების, მშენებლობის, აღჭურვის, ექსპლუატაციისა და სარემონტო სამუშაოების მიმართ კომპლექსური მიდგომა, რომელიც გულისხმობს პროექტირების პროცესში მთელი არქიტექტურულ-კონსტრუქციული, ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სხვა სახის ინფორმაციის შეგროვებას და კომპლექსურ დამუშავებას, შენობა და მასთან დაკავშირებული ობიექტები განიხილება, როგორც ერთიანი ობიექტი წარმოდგენილი პარამეტრული (მონაცემთა, ცოდნათა ბაზის ფორმატით) ჩანაწერით ინფორმაციის კომპიუტერულ მატარებელზე. მოდელების გამოყენება ამსუბუქებს პროექტირების პროცესს ყველა ეტაპზე, უზრუნველყოფს სრულყოფილ ანალიზს და კონტროლს. კომპიუტერული მოდელები ფლობენ კონსტრუქციის ზუსტ გეომეტრიას და ყველა აუცილებელ მონაცემს მასალათა შესყიდვის, კონსტრუქციების დამზადებისა და სამშენებლო სამუშაოთა წარმოებისათვის [52] [20, 28, 67] (სურ. 2.).



სურ. 2. შენობის ინფორმაციული BIM მოდელირება



მნიშვნელოვანია, რომ CAD და BIM პროგრამული პაკეტები აღარ განიხილება, როგორც მხოლოდ კომპიუტერული გრაფიკა, არამედ ოპტიმალური პროექტირების და მართვის უალტერნატივო საშუალება [199].

პროექტების კატეგორიების მიხედვით დაჯგუფებულია ფირმა Autodesk-ის პროგრამული პაკეტები და CAD და BIM პაკეტების კლასიფიკაცია გამოყენების სფეროს მიხედვით (ცხრილი 8. და ნახ. 15.).

ცხრილი 8.

**Autodesk-ის პროდუქტები, რეკომენდებული პროექტების კატეგორიის მიხედვით:**

**1. მანქანათმშენებლობა და სამრეწველო წარმოება**

კატეგორია 1.1: ნაწარმის 2D-ნახაზები, ელექტრული სქემები	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ AutoCAD</li> <li>▪ AutoCAD Mechanical</li> <li>▪ AutoCAD Electrical</li> </ul>
კატეგორია 1.2: ნაწარმის 3D მოდელი	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ AutoCAD</li> <li>▪ Autodesk Inventor</li> <li>▪ Autodesk Fusion 360</li> </ul>
კატეგორია 1.3: ინჟინრული ანალიზი და ანგარიშები	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ Autodesk Inventor Professional</li> <li>▪ AutodeskSim 360</li> <li>▪ Autodesk Moldflow</li> <li>▪ Autodesk Simulation Mechanical</li> <li>▪ Autodesk Simulation CFD</li> <li>▪ Autodesk Simulation Composite</li> <li>▪ Autodesk Simulation DFM</li> <li>▪ Autodesk ForceEffect</li> <li>▪ Autodesk ForceEffect Motion</li> <li>▪ Autodesk Force Effect Flow</li> </ul>
კატეგორია 1.4: სამრეწველო დიზაინი	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ Autodesk Alias Design</li> <li>▪ Autodesk Alias Surface</li> <li>▪ Autodesk Alias Automotive</li> <li>▪ Autodesk Fusion 360</li> <li>▪ Autodesk Maya</li> <li>▪ Autodesk 3ds Max</li> </ul>

**2. არქიტექტურა/მშენებლობა**

კატეგორია 2.1: საცხოვრებელი სახლების არქიტექტურა	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ Autodesk Revit</li> <li>▪ AutoCAD Architecture</li> <li>▪ AutoCAD</li> </ul>
კატეგორია 2.2: საზოგადოებრივი და საწამოლო შენობების და ნაგებობების არქიტექტურა	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ Autodesk Revit</li> <li>▪ AutoCAD Architecture</li> <li>▪ AutoCAD</li> </ul>
კატეგორია 2.3: სატრანსპორტო ნაგებობები (ხიდები, გვირაბები, რკინიგზები და სხვა ხაზოვანი ნაგებობები	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ AutoCAD Civil 3D</li> <li>▪ InfraWorks</li> <li>▪ AutoCAD</li> </ul>
კატეგორია 2.4: გარე საინჟინრო კომუნიკაციები, მილსადენები	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ AutoCAD Plant 3D</li> <li>▪ AutoCAD P&amp;ID</li> <li>▪ AutoCAD Civil 3D</li> </ul>


	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ AutoCAD</li> </ul>
კატეგორია 2.5: გის, კარტოგრაფია, ტერიტორიის გეგმარებითი გადაწყვეტა	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ AutoCAD Map 3D</li> <li>▪ InfraWorks</li> </ul>
კატეგორია 2.6: პროექტის მართვა (საპროექტო დოკუმენტაციის ფორმირებისა და გამოშვების პროცესის ორგანიზაცია და თანხლება)	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ Autodesk Vault</li> </ul>

### **3. გრაფიკა და ანიმაცია**

კატეგორია 3.1: 2D გრაფიკა, ჩანახატები, ესკიზები, სამოსის დიზაინი	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ Autodesk Sketchbook</li> </ul>
კატეგორია 3.2: ინტერიერის და გარემოს ვიზუალიზაცია	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ Autodesk 3ds Max</li> <li>▪ Autodesk Maya</li> <li>▪ Autodesk MotionBuilder</li> </ul>
კატეგორია 3.3: პროცესებისა და ობიექტების ანიმაცია (ფიზიკური, ტექნოლოგიური, სამრეწველო წარმოების, არქიტექტურის და მშენებლობის)	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ Autodesk 3ds Max</li> <li>▪ Autodesk Maya</li> <li>▪ Autodesk MotionBuilder</li> </ul>
კატეგორია 3.4: კომპიუტერული ანიმაცია, კომპიუტერული მულტიპლიკაცია, ანიმაცია კინოფილმებისთვის, ტელევიზიისთვის და კომპიუტერული თამაშებისთვის	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ Autodesk 3ds Max</li> <li>▪ Autodesk Maya</li> <li>▪ Autodesk MotionBuilder</li> </ul>
კატეგორია 3.5: 3D-სკულპტურა, პერსონაჟები კომპიუტერული თამაშებისა და კინოფილმებისთვის	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ Autodesk Mudbox</li> <li>▪ Autodesk Softimage</li> </ul>


### **4. ეკოლოგიურად რაციონალური პროექტირება**

კატეგორია 4.1: ეკოლოგიურად-რაციონალური პროექტირება მანქანათმშენებლობაში	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ Autodesk Inventor</li> <li>▪ Autodesk Moldflow</li> <li>▪ Autodesk Simulation Mechanical</li> <li>▪ Autodesk Simulation CFD</li> <li>▪ Autodesk Simulation Moldflow</li> <li>▪ Autodesk Simulation Composite</li> <li>▪ Autodesk ForceEffect</li> <li>▪ Autodesk ForceEffect Motion</li> </ul>
კატეგორია 4.2: ენერგეტიკულად ეფექტური შენობების პროექტირება	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ Autodesk Revit</li> <li>▪ Autodesk Ecotect Analysis</li> <li>▪ Autodesk Robot Structural Analysis</li> </ul>




**ნახ. 15. მონაცემთა ბაზის სრულად გამოყენების ტენდენცია BIM პაკეტებში**

არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის პროფესიული მართვის საფუძველს წარმოადგენს მისი როგორც სტრუქტურული ინფორმაციული ობიექტის გაგება, რომლის ყოველი ელემენტი ემორჩილება ლოგიკურ მსჯელობას და ფორმალურ წესებს. არქიტექტურული პროექტის ფუნქციის რთული კომპლექსის მართვის სისტემის ასეთი გაგება წინ წამოწევს პროექტის დაყოფას და პროექტის დეკომპოზიციას, რომელიც ხორციელდება გარკვეული პრინციპების დაცვით. ამ პრინციპების თანახმად შესაძლებელია არქიტექტურული პროექტის მართვის ნებისმიერი ფუნქციის დეკომპოზიცია, ხოლო დეკომპოზიციის სტრუქტურა და დონე, ანუ პროექტის დეტალიზაციის ხარისხი დამოკიდებულია მშენებლობაში მისი რეალიზაციის მიზნებსა და ამოცანებზე [120]. მაგალითისათვის შეგვიძლია განვიხილოთ პროექტის ხარისხის მართვა დროითი პარამეტრებით. შეიძლება გამოვყოთ შესაბამისი დეკომპოზიციის ელემენტები და დონეები (ნახ. 16.).



ნახ. 16. პროექტის ხარისხის მართვა ფუნდამენტური დროებრივი პარამეტრების მიხედვით

ასეთი დეკომპოზიციების რეალიზაცია მოითხოვს რიგი აუცილებელი მოთხოვნების შესრულებას, კერძოდ, პირდაპირი ძალისხმევისა და უკუკავშირის (კიბერნეტიკის ე. ი. ოპტიმალური მართვის ფუნდამენტური კატეგორიების) კორექტულ გააზრებას საწარმოო-შემოქმედებითი პროცესის ყველა ეტაპზე. ნებისმიერ შემოქმედებით-საწარმოო სფეროში, მათ შორის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის დარგის დროებრივ-ტექნოლოგიურ პროცესში: ანალიზი-სინთეზი-შეფასება პირობითად ბოლო ეტაპს შეფასებას გადამწყვეტი როლი ენიჭება [150], (ნახ. 17.).



ნახ. 17. ოპტიმალური მართვის ფუნდამენტური კატეგორიები

### **მოდელის ფორმალური მახასიათებლები (მოდელების კლასიფიკაცია).**

ექსპერტების დამოკიდებულება პროექტის მახასიათებლებისადმი არის სწორედ ის მიმართება, რომელიც ობიექტის პარამეტრებსა და მის ხარისხის არგუმენტებსა და ფუნქციის მნიშვნელობის სავარაუდო მათემატიკური ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. აპრიორი დასაშვებია, რომ პრინციპულად შესაძლებელია ხარისხის რაოდენობრივი განსაზღვრა მისი ცალკეული (დიფერენცირებული) მაჩვენებლების შეფასებისა და მათი ე. წ. „შედეგების“. პრაქტიკულად უმეტეს შემთხვევაში, საქმე გვაქვს წრფივ და ადიტიურ მოდელებთან, თუმცა, რასაკვირველია არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ყველა შესაძლო შემთხვევაში, უნდა გავითვალისწინოთ ამ დაშვებების აპროქსიმაციის ხარისხი. კერძოდ, ურთიერთგამომრიცხავი ალტერნატიული ხასიათი: წრფივი - არაწრფივი, ადიტიური - არაადიტიური, სტატიკური - დინამიკური, დეტერმინისტული - სტოქასტიური [109].

### **მოდელების ტიპები.**

კონკრეტულ მოდელებში რეალიზებულია ხარისხის შეფასების მეთოდების მახასიათებლების გარკვეული კომბინაციები. ცალკეული მოდელი შეიძლება დახასიათდეს სწორედ ამ კომბინაციის კონკრეტული მნიშვნელობებით (კორტეჟით). მაგალითად:

ექსპეტრული (ექსპერტების ჯგუფი – 1-10, 14, ერთი ექსპერტი – 1-10);  
სიციოლოგიური (მომხმარებელთა მოთხოვნების სტატისტიკური დამუშავება – 3, 4, 6-9, 11-14, მომხმარებელთა მოთხოვნები სუბუალოდ გამოვლენა – 2, 4, 7-9, 11-14);

დიფერენცირებული (ერთი მაჩვენებლით შეფასება – 1-4, 7-8, 10, 14);  
ეკონომიკური (ეკონომიკური მაჩვენებლით შეფასება – 1-8, 10, 14, დაყვანილი ეკონომიკური მაჩვენებლით შეფასება – 1-6, 8-11, 14);  
შეზღუდვებით (ერთი არაეკონომიკური მაჩვენებლით შეფასება – 1-10, 13);  
კომპლექსური (ფუნქციური მოდელით შეფასება – 1-4, 6, 10, 12-14, „ღირებულება/ეფექტურობა“ – 1-4, 6, 8-13, დიხოტომიური შკალით შეფასება


- 1-5, 7-11, არადიხოტომიური შკალით შეფასება - 1-5, 7-1, ქვალიომეტრიული მეთოდით შეფასება - 1-14); ეკონომიკურ-მათემატიკური (წრფივი პროგრამირების მეთოდი - 2-14, არაწრფივი პროგრამირების მეთოდი - 3-14); არამკვეთრი სიმრავლეების მეთოდი (ლინგვისტური ცვლადებით შეფასება - 3-14) (ცხრილი 9.)

ცხრილი 9.

**ხარისხის შეფასების მეთოდების მახასიათებლების მიხედვით**

მოხერხებული							სარწმუნო								
პრაქტიკული			უნივერსალური				მკაფიო			ჭეშმარიტი					
1. არაშრომატევადი	2. ოპერატიული	3. გაუმჯობესებადი	4. რაოდენობრივი	5. ცალსახა	6. გლობალური	7. მოქნილი	8.	ერთკრიტერიუმანი	9. შედარებადი	10. განმეორებადი	11.	ყოველისმომცველი	12. მგონობიარე	13. მონოტონური	14. ზუსტი

გავრცელებულია ხარისხის შეფასების პროცედურა, როდესაც შესაფასებელი ობიექტი ეტალონს. n-განზომილებიან სივრცეში „მანძილი“ ეტალონამდე შეიძლება გამოდგეს ხარისხის საზომ კრიტერიუმად (რაც ნაკლები, მით უკეთესი; ეს მანძილი აუცილებელი არაა გაგებული იყოს როგორც ევკლიდური). ოპტიმიზაციის მეთოდებს და ხარისხის შეფასების პროცედურებს შორის მსგავსება ინტუიციურად მისაღებია. მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს, რომ ერთი ფორმულით, რაც არ უნდა რთული იყოს იგი, ზოგად შემთხვევაში ვერ აღიწერება მრავალპარამეტრიანი ოპტიმიზაციის პროცედურა (ნახ. 2. 13.) [104].



**ნახ. 18. წრფივი დეკომპოზიციის მოდელი**  
**1. მიზნის ფუნქცია; 2. „გლობალური შეზღუდვები“;**  
**3. ლოკალური შეზღუდვები; 4. თავისუფალი წევრები**

წრფივი და ადიტიური დამოკიდებულებების შემთხვევაში მოდელი შეიძლება წარმოვადგინოთ გამოსახულებებით:

$$\sum_{i=1}^n C_i X_i \rightarrow \max \quad (1.1.)$$

$$\sum_{i=1}^n a_i X_i \leq A_j \quad (1.2.)$$

$$b_{ik} X_i \leq B_k \quad (1.3.)$$

სადაც,  $X_i$  - ცლადია, რომლის მნიშვნელობა ინტერპრეტირებულია, როგორც სტრუქტურული ელემენტის (ობიექტის) არსებობა, რაოდენობა ან სიმძლავრე;

$C_i$  - ერთეული ობიექტის ღირებულება (ფასეულობა);

$a_i$  და  $B_k$  - სტრუქტურული ელემენტის მახასიათებლებია. თავისუფალი წევრები და შეესაბამება  $A_j$ ,  $B_k$  - სტრუქტურულ-ტერიტორიულ ერთეულებში მათი ფუნქციური გამოყენების სხვადასხვა ვარიანტების ნორმას, რესურსებს (ტერიტორია და სხვ.) და ლიმიტებს (მინიმუმი, მაქსიმუმი, გრადაცია).

მიზნის ფუნქციას და შეზღუდვების სისტემას აქვს ფიზიკური (ეკონომიკური) ინტერპრეტაცია, თუმცა კრიტერიუმად შეიძლება გამოყენებული იქნას ინტეგრალური ხარისხის ცნება (სამომხმარებლო

ხარისხი/საწარმოო დანახარჯები). ასევე ეკონომიკური ეფექტიანობის ნაცვლად შესაძლებელია მიღებული იყოს სოციალური ეფექტიანობა. ამ შემთხვევაში საჭიროა ეკონომიკურად ძნელად ინტერპრეტირებადი დაშვებებისა და პრიორიტეტების ჩამოყალიბება. ხარისხის შეფასების შემდგომი განვითარება შესაძლებელია თანამედროვე მიდგომებისა და ხედვების საფუძველზე, მათ შორის როგორცაა კატასტროფების და ქაოსის თეორია, კვაზირეგულარული სტრუქტურების ფორმალიზმი და სხვა.

პრაქტიკაში ხარისხის შეფასების პროცედურა მრავალფეროვანია, მაგრამ მასში შეიძლება დავინახოთ საერთო თვისებები და განმასხვავებელი ნიშნები.

4D-BIM გამოიყენება მშენებლობის დაგეგმვასთან დაკავშირებული მოვლენების მოდელირებისთვის. BIM- ის მეოთხე განზომილება პროექტის მონაწილეებს საშუალებას მისცემს, მიიღონ და განიხილონ თავიანთი საქმიანობის თანმიმდევრობა მთელი საპროექტის ციკლის განმავლობაში. უზრუნველყოფს თანამშრომლების კომუნიკაციის და რისკების შესახებ ინფორმაციის მიღებას. მოდელის უპირატესობაა: დაგმარების ოპტიმიზაცია და გუნდური კოორდინაციის შესაძლებლობა.

5D BIM (შენობის ინფორმაციის 5-განზომილებიანი მოდელირება) გამოიყენება ბიუჯეტის შემუშავების და ხარჯების ანალიზისთვის. BIM- ის მეხუთე განზომილება, რომელიც დაკავშირებულია 3D (გეომეტრიულ) და 4D (დროებრივ) პარამეტრებთან, პროექტირების მონაწილეებს საშუალებას აძლევს განიხილონ თავიანთი საქმიანობისა და შესაბამისი ხარჯების დინამიკა. 5D BIM ტექნოლოგიის გამოყენებით შესაძლებელია პროექტების შეფასების დაზუსტება, მასალების, ადჭურვილობის ხარჯისა და სამუშაო ძალის პროგნოზირება. უპირატესობები: 5D სიმულაციური მოდელების მეშვეობით შესაძლებელია ეფექტიანი, ეკონომიკური და სტაბილური საპროექტო პროცესის უზრუნველყოფა.




6D BIM მოდელირება განკუთვნილია ენერჯის მოხმარების ანალიზისთვის. ის სიმულაციური მოდელების მეშვეობით უზრუნველყოფს ენერჯის მოხმარების შემცირებას.

7D BIM მოდელირება შეესაბამება შენობის და მისი ფუნქციურ-სტრუქტურული კომპონენტების მდგომარეობას მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. ობიექტის ოპერირებისა და შენარჩუნების დროს. BIM- ის მეშვეობით განზომილება მონაწილეებს საშუალებას მისცემს მიიღონ და აკონტროლონ სათანადო აქტივების მონაცემები, როგორც კომპონენტის სტატუსი, სპეციფიკაციები, რემონტი, გარანტიები და სხვა. უპირატესობები - სიმულაციური მოდელების მეშვეობით აქტივების მართვის ოპტიმიზაცია.

ობიექტის ნებისმიერი გარდაქმნა (მოდულიზაცია) ძალისმიერ მოქმედების (ენერგეტიკული ზემოქმედების) შედეგთან შეიძლება იყოს ასოცირებული; ხოლო რიგი, CAD სისტემებში გამოყენებული მოდიფიცირების ბრძანებებისა (კერძოდ, სივრცითი გარდაქმნების მოდიფიკატორები) უშუალოდ რაიმე ფიზიკური პროცესის იმიტაციას წარმოადგენს.


აღნიშნული გარემოება სულ უფრო და უფრო ფართო გამოყენების არეალს უქმნის ინფორმაციული ტექნოლოგიების, კერძოდ, კომპიუტერული გრაფიკის საშუალებებს სხვადასხვა სამეცნიერო-პოპულარულ, სარეკლამო, საწარმოო-შემოქმედებით სფეროებში. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ ფაქტორის შემეცნებითი მნიშვნელობის გათვალისწინება განათლების სფეროში (მოდელირება და ვიზუალიზაცია)

CAD და BIM პაკეტების ადაპტაციის პრინციპული შესაძლებლობები არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირების მართვის სრულყოფისათვის მოცემულია ნახ. 19.-ზე



ნახ. 19. არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირების მართვის სქემა

განზომილება, როგორც მოდელის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი და მისი ასოციაციები მათემატიკურ ობიექტებთან (სტრუქტურებთან) (ნახ. 20.).



ნახ. 20. მოდელის განზომილება

განზომილების ცნების განზოგადოება და მისი გამოყენების პერსპექტივაა ფრაქტალური განზომილება. ფრაქტალის მანდელბროტისეული პირველადი განსაზღვრება ასეთია: ეს არის სიმრავლე, რომლის ჰაუსდორფული (ფრაქტალური) განზომილება მეტია მის ტოპოლოგიურ განზომილებაზე. ამ, ერთი შეხედვით, ფორმალურ და არათვალსაჩინო განსაზღვრებას აქვს უდიდესი შემეცნებითი მნიშვნელობა.

ვინც ფრაქტალობის პრინციპს მეტნაკლებად გაცნობილია, ინტუიციურად დათანხმება, რომ ნაცნობ 3-განზომილებიან სამყაროში, (რომელშიც ხაზი 1-განზომილებიანია, სიბრტყე - 2, ხოლო სხეულები - 3), არსებობს ფრაქტალები, რომლებსაც განზომილების მიხედვით შუალედური მდგომარეობა უჭირავთ, ე.ი. წილადი განზომილება აქვთ. არსებობს ფრაქტალების განზომილების გამოთვლის რამდენიმე ხერხი. ყველაზე უფრო პოპულარულია ჰაუსდორფის მეთოდი (კვადრატებით დაფარვა). აქ მთავარია გავერკვათ სამ თითქოს არც თუ ისე უცხო სიდიდეში (მოცემულია ქართულ, ინგლისურ, გერმანულ, რუსულ ტრანსკრიპციებში):

ფრაქტალის მათემატიკური ცნება განსაზღვრავს მას როგორც სიმრავლეს წილადი განზომილებით. ფრაქტალური განზომილების წილადი მნიშვნელობა ახასიათებს სივრცის ფრაქტალური სტრუქტურით შევსების ხარისხს, მაშინ, როდესაც ლაკუნარობის მნიშვნელობა წარმოადგენს ფრაქტალის არაერთგვაროვანი სტრუქტურის ზომას. რთული სივრცობრივი ორგანიზაციის სტრუქტურების რაოდენობრივი დახასიათება ფრაქტალური განზომილების მეშვეობით შეიძლება იყოს ამ სტრუქტურების მორფოლოგიური სირთულის მაჩვენებელი. ამგვარად, განისაზღვრება ბუნებრივი მორფოგენეზი (ბუნებრივი, ქემმარტი ფორმების რთული სივრცული ორგანიზაცია) ფრაქტალურ სტრუქტურებთან შედარებით. უნდა აღინიშნოს, რომ არქიტექტურული ფორმები უფრო რეგულარულია, ვიდრე ბუნებრივი, მოიცავენ ვარიაციების ნაკლებ რაოდენობას.

საერთოდ, განზომილების ცნება შეიძლება სხვადასხვაგვარად განისაზღვროს (ე. ი. ერთი და იგივე სიმრავლისთვის, ობიექტებისთვის შეიძლება განისაზღვროს არა ერთი, არამედ რამდენიმე სხვადასხვა განზომილება). სხვადასხვა განზომილების განხილვის აუცილებლობა გამომდინარეობს ობიექტების ტოპოლოგიური სირთულიდან. ჩვეულებრივ, მრუდის (წირის) ზომა განისაზღვრება მისი სიგრძით, ზედაპირის ზომა - მისი ფართობით, სამგანზომილებიანი სხეულის სიდიდე - მისი

მოცულობით. ფრაქტალური სტრუქტურისთვის ასეთი მიდგომა გამოუყენებელია. მაგალითად, უმარტივესი ფრაქტალის სიგრძე - კანტორის სიმრავლე - უდრის 0, კოხის ფიფქის (მრუდის) სიგრძე კი (უწყვეტი შეკრული მრუდი, რომელიც საზღვრავს საბოლოო ფართობს) უდრის უსასრულობას. ამავე დროს კანტორის სიმრავლის მეტრული ზომადობა (ან ზომადობა ქაუსდორფის გაგებით (ქაუსდორფის ზომადობა) უდრის  $\ln 2 / \ln 3 \approx 0,63$ , კოხის ფიფქის მეტრული ზომადობა კი უდრის  $\ln 4 / \ln 3 \approx 1,26$ . სერპინსკის კვადრატულ ხალიჩას გააჩნია ქაუსდორფის განზომილება  $\ln 8 / \ln 3 \approx 1,89$ . ქაუსდორფის განზომილება - მეტრულ სივრცეში სიმრავლის ზომადობის განსაზღვრის ბუნებრივი მეთოდია და სრულიად შეთანხმებულია ჩვენ ჩვეულ წარმოდგენებთან ზომადობის შესახებ რეგულარული (გლუვი) სიმრავლეების შემთხვევაში. მაგალითად, სამგანზომილებიან ევკლიდურ სივრცეში საბოლოო სიმრავლის ქაუსდორფის ზომადობა უდრის ნულს, გლუვი მრუდის ზომადობა - ერთს, გლუვი ზედაპირის ზომადობა - ორს და ნულოვანი მოცულობის სიმრავლის ზომადობა - სამს. ფრაქტალური სიმრავლეებისთვის (რომლებიც ასახავენ არაგლუვ მრავალფეროვნებას, გააჩნიათ არარეგულარული სტრუქტურა) ქაუსდორფის განზომილება შეიძლება დებულობდეს წილად მნიშვნელებს [125].

საზოგადოდ, სისტემურ მიდგომას, როგორც თანამედროვე პარადიგმას წინ უნდა უძღოდეს: მონაცემთა კვანტიფიკაცია, პარამეტრიზაცია, მონაცემთა პირველადი სტატისტიკური დამუშავება, ჰიპოტეზების სტატისტიკური შემოწმება, ოპტიმიზაციის რაოდენობრივი მოდელები; ამ მეთოდის გამოყენების მიზეზ-შედეგობრივი განპირობებულობა და თვით ობიექტის სისტემური ხასიათი, მისი ცხადად გამოხატული იერარქიული სტრუქტურა.

**ფრაქტალების ძირითადი ტიპები: ალგებრული, გეომეტრიული და სტოქასტიური.**

ალგებრული ფრაქტალები ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფია. ფორმირდება არაწრფივი პროცესების შედეგად n-განზომილებიან სივრცეში. უფრო კარგადაა შესწავლილი 2-განზომილებიანი პროცესები.

გეომეტრიული ფრაქტალები ყველაზე უფრო თვალსაჩინოა. ამ კლასის ფრაქტალები ფორმირდება შემადგენელი ტეხილის ციკლურად ცვლით შესაბამისი მასშტაბის ე. წ. „ტეხილ გენერატორზე“ (3-განზომილების შემთხვევაში „ზედაპირ-გენერატორზე“).

სტოქასტიური ფრაქტალები ჩნდება იტერაციულ პროცესში პარამეტრების ალბათური ცვლილებების შემთხვევაში. გამოსაყენებელია ბუნების (ცოცხალი და არამარტო), კერძოდ რელიეფის, წყლის ზედაპირის მოდელირებაში [126], [127], [128].

#### **სივრცულ-დროებრივი მოდელირების პრიორიტეტები:**

1. სივრცულ-დროებრივი კონტინუუმის გაგება მოიცავს ადამიანთა საწარმო-შემოქმედებითი მოღვაწეობის ყველა სფეროს (ყოველ შემთხვევაში, დღეისათვის ჩამოყალიბებულ შემეცნებით თუ პრაქტიკული საქმიანობის ასპექტში). მაგრამ სივრცული (გეომეტრიული) კომპონენტის გამორჩეულად განხილვა „მიღებელია“ მისი უფრო მეტი თვალსაჩინოებისა და „აღქმადობის“ გამო. ცნობილია, რომ პროექტირების სისტემები (მათ შორის ავტომატიზირებული) ორიენტირებულია გეომეტრიულ გარდაქმნებზე, როგორც ზოგადი, ასევე სპეციალური გაგებით.

2. ისტორიულ ასპექტში პერსონალიზაციის თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესო სფეროს, კერძოდ, პროექტირების სრულყოფის პრობლემატიკის განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით ისეთ ავტორიტეტებს, როგორებიცაა: კ. მონჟი (მხაზველობითი გეომეტრია), ფ. კლანი (გეომეტრიული გარდაქმნების ჯგუფების თეორია, „ერლანგენის „პროგრამა“, ნ. ვინერი (ოპერაციათა გამოკვლევის მოდელები და მეთოდები, „კიბერნეტიკა“, ანუ კავშირი და მართვა), ბ. მანდელბროტი („ბუნების ფრაქტალური გეომეტრია“). თუ გავიხსენებთ რომ, რომ ამ მათემატიკოსების ინტელექტუალური ძალისხმევა ძირითადად ინიცირებული იყო სამხედრო

გამოწვევებით, შეგვიძლია შემოგთავაზოთ მეტაფორა: განვითარების მშენებლობის პროექტირების სრულყოფის ფრონტი ამ პერსონების მიერ დასმული ისტორიული ნიშანსვეტებით დაკვალულ ღერძზე გადის.

3. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ კომპიუტერული გრაფიკის რედაქტირების ყველა ბრძანება პრინციპში სამი ოპერაციის - გადაადგილება, ბრუნვა, მასშტაბირება (Move, Rotate, Scale) მოდიფიკაცია ან კომპოზიციას.

4. არქიტექტურულ-სამშენებლო ნიმუშების ფრაქტალური გეომეტრიის ასპექტში სპეციფიკურ ანალიზზე და ფორმათწარმოქმნის და კომპოზიციის ფრაქტალური გეომეტრიის დებულებები ინტერპრეტირებულია იქნება ფართო საზოგადოებისთვის გასაგები ცნებებით და კატეგორიებით, ასევე გეომეტრიული გარდაქმნების თვალსაჩინო, მაგრამ გონივრულ ფარგლებში, მათემატიკურად მკაცრად განსაზღვრული ფორმალიზმით [120],[121].

ინფორმაციული მოდელი ფორმირდება შენობის გეომეტრიული მოდელის შექმნისას, ხოლო შემდეგ პროექტირების მთელი პროცესის მანძილზე გამოიყენება და ივსება სხვადასხვაგვარი ინფორმაციით [8].

შენობის ინფორმაციული მოდელი BIM არის კომპიუტერული დამუშავებისთვის გამოყენებადი, არსებული ან დასაპროექტებელი ობიექტების შესახებ ინფორმაცია. ეს არის ამ ობიექტის მონაცემთა ბაზა მართული შესაბამისი კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით. ამ ინფორმაციის საშუალებით შესაძლებელია:

- კონკრეტული საპროექტო გადაწყვეტილების მიღება;
- კვანძებისა და კომპონენტების გაანგარიშება;
- ობიექტის საექსპლუატაციო თვისებების პროგნოზირება;
- საპროექტო დოკუმენტაციის შექმნა;
- ხარჯთაღრიცხვის და მშენებლობის გეგმის შედგენა;
- მასალების და აღჭურვილობის შეკვეთა და წარმოება;
- რეალიზაციის მენეჯმენტი;
- ობიექტის მართვა მისი მთელი არსებობის ციკლის განმავლობაში;

- ობიექტის, როგორც კომერციული საქმიანობის ობიექტის მართვა;
- ობიექტის რეკონსტრუქციის ან რემონტის მართვა;
- ობიექტის დანგრევა და უტილიზაცია;
- ობიექტთან დაკავშირებული სხვა მიზნების განხორციელება.

შენობის ინფორმაციული მოდელი სტრუქტურულად შეიცავს:

- სამშენებლო ობიექტებს, რომლებიც ციფრული მოდელის სახით არიან წარმოდგენილი, დაკავშირებულნი გრაფიკასთან, ატრიბუტებსა და ბმების პარამეტრულ პირობებთან;
- კომპონენტებს, რომლებიც სამშენებლო მოდელის ქცევას აღწერენ;
- შესათანხმებელ მონაცემებს, მაგალითად, 3D-დან 2D-ზე გადასასვლელად წარმოდგენილი ცვლილების განსახორციელებლად, 2-მიმართულებიანი ასოციაციური კავშირების ყველა სახის პრეზენტაციაზე;
- მართვის მონაცემები, რომლებიც ყველა სახის მონაცემებს კოორდინირებას უწევენ [142], [143].

შენობის ინფორმაციული მოდელის გამოყენების ერთ-ერთ მიმართულებას იმიტაციური მოდელირება და შენობის მშენებლობის პროცესის ანალიზი წარმოადგენს. სამშენებლო პროექტი რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას წარმოადგენს, რომელშიც მონაწილეობს ათეულობით ორგანიზაცია და ასეულობით და მეტი ადამიანი. ასეთი სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მონაწილეთა კოორდინაციის უზრუნველყოფა, რაც კალენდარულ-ქსელური გრაფიკის გარეშე, რომელიც მშენებლობის რეალობას ასახავს, გამწვანებულია. კალენდარულ-ქსელურ გრაფიკზე ნებისმიერ გრაფიკულ ფორმაში (ჰანტის დიაგრამა, „მუშაობა კვანძებში“, „მუშაობა რკალებზე“) სივრცე არ ჩანს (XYZ). ამიტომ რთული ტენოლოგიის დაპროექტება, მაგალითად, მსხვილგაბარითული დანადგარების მონტაჟი, მხოლოდ გრაფიკის დახმარებით, გამწვანებულია. უნდა ჩაირთოს „წარმოსახვა“. არსებობს იარაღები, რომელიც ამის გაკეთების საშუალებას გვამძლევს. ის შეიძლება

იწოდებოდა 4D პროექტირებად და დაფუძნებული იყვის BIM-ის გამოყენებაზე [8].


ინფორმაციული 4D მოდელი ფორმდება სამშენებლო სამუშაოების კალენდარულ-ქსელური გრაფიკის სამუშაოთა გაერთიანებით საპროექტო სამგანზომილებიანი მოდელის შესაბამის ელემენტებთან. 4D მოდელის გამოყენება შეიძლება როგორც მშენებლობის ვირტუალური მოდელირებისთვის, ისე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების რეალური მსვლელობის ცოდნისთვის.

BIM-ის გამოყენება შეიძლება სხვადასხვაგვარ გამოყენებით სფეროში:

- მშენებლობის კალენდარული გეგმა: შენობის მოდელის დაკავშირება პროექტის კალენდარულ გეგმასთან მომხმარებლებს მშენებლობის პროცესის მოდელირების და სამშენებლო მოედანზე შენობის ვირტუალური სახის ჩვენების საშუალებას აძლევს;
- ღირებულების შეფასება: BIM-ის მომხმარებლებს შეუძლიათ მოახდინონ ღირებულების ზუსტი და საიმედო შეფასება შენობის მოდელიდან ავტომატურად მიღებული მონაცემების საფუძველზე, მათ შორის, მიიღონ სწრაფი შეფასება პროექტში ცვლილებების ხარჯებზე;
- შეჯახებების გამოვლენა: პროექტის ყველა განყოფილებიდან კონსტრუქციები შეიძლება გაერთიანდეს და გამოიკვილოს, ამგვარად, გეომეტრიული შეჯახებები არქიტექტურულ, სტრუქტურულ და MEP სისტემებს შორის იქნება გამოვლენილი, შემოწმებული და შეცვლილი. სხვადასხვა დამპროექტებლებს შორის კოორდინაცია ძლიერდება, ხოლო შეცდომების გაპარვის ალბათობა მნიშვნელოვნად მცირდება. ამგვარად, მშენებლობის პროცესი ჩქარდება, ხარჯები მცირდება, იურიდიული დავების ალბათობა მინიმიზირდება, ასევე პროექტის დასრულების ვადა მცირდება.

BIM-ი შეიძლება იყოს: 3D, 4D - დროსთან ინტეგრაცია, 5D - ღირებულების ჩართვა და „nD“-მდე (ტერმინი, რომელიც მოიცავს ნებისმიერ სხვა ინფორმაციას, ნახ. 21.).





ნახ. 21. BIM-ის ზომები

3D BIM მოდელი მოიცავს ყველა სივრცით თანაფარდობას, ტოპოლოგიურ ინფორმაციას და გეომეტრიას, მაგალითად შენობის კომპონენტების სიგრძეს, სიგანესა და სიმაღლეს.

4D BIM მოდელი უმატებს 3D მოდელის კალენდარულ გეგმას მეოთხე განზომილებას. 4D მოდელი აკავშირებს 3D ელემენტს პროექტის რეალიზაციის დროსთან, იმისთვის, რომ მომხმარებლებს მიაწოდონ 4D არეში პროექტის ვირტუალური სიმულაცია [52].


5D BIM მოდელი შედის მე-5 განზომილების დამატებაში □ ღირებულება 4D მოდელის მონაცემებში. 5D BIM მოდელი აკავშირებს მონაცემებს ხარჯებზე სამუშაოთა მოცულობასთან, რომლებიც გენერირდება 3D მოდელიდან პროექტის ღირებულების უფრო ზუსტი შეფასების უზრუნველსაყოფად [79].

BIM-ის საშუალებით მშენებლობის დაგეგმვის მეთოდები შეიძლება დავეყოს 2 კატეგორიად [68], [142], [143].

3D BIM-ის 4D თავისებურებების ჩართვის გამოყენება პროექტირების პროგრამაში. ეს მეთოდი გამოიყენება 4D გამოსახულების შესაქმნელად ინსტრუმენტების საშუალებით, რომლებიც ავტომატურად ფილტრავენ ობიექტებს პარამეტრების ნაკრების საფუძველზე. Revit პროგრამა ფლობს ერთ-ერთ ასეთ ინსტრუმენტს, რომელიც ობიექტებს ჰყოფს რამდენიმე დროის ეტაპად მოცემული მოთხოვნების შესაბამისად. მომხმარებელს

შეუძლია გამოიყენოს ფილტრი, იმისათვის, რომ დაათვალიეროს ობიექტების მდგომარეობა გარკვეულ ეტაპზე. 4D ფუნქციის ეს ტიპი გამოიყენება მშენებლობის ფაზისა და მოდელის 3D გამოსახულების დასაკავშირებლად, მაგრამ ის არ უზრუნველყოფს პირდაპირ ინტეგრაციას პროექტის კალენდარულ გეგმასთან.

3D BIM-ის და კალენდარული გეგმის მონაცემთა იმპორტი სპეციალიზებულ 4D დანართში. წინამდებარე მეთოდის შეზღუდვამ პროგრამული უზრუნველყოფის შემმუშავებლები აიძულა მოემუშაოთ ინსტრუმენტი, რომელთაც შეუძლიათ სამშენებლო წარმოების დაგეგმარების ფუნქციის სრული ინტეგრირება 3D მოდელთან. ეს ინსტრუმენტები ამაღლებენ 4D მოდელირების წარმადობას და დამგეგმავს აძლევენ ბევრ შესაძლებლობას 4D მოდელის აწყობისთვის. ეს მეთოდიკა ითხოვს BIM დანართიდან შენობის 3D მოდელის და დაგეგმარების დანართიდან პროექტის გეგმის მონაცემების იმპორტირებას, ისეთების, როგორც არის MS Project და Primavera. შემდგომში დამგეგმავი აკავშირებს 3D მოდელის კომპონენტებს სამუშაოებთან პროექტის სამშენებლო გეგმიდან, რათა საბოლოოდ მოხდეს 4D მოდელის ფორმირება (ნახ. 22.).



**ნახ. 22. 3D BIM-ის და კალენდარული გეგმების მონაცემების იმპორტი**

4D BIM ტექნოლოგიის გამოყენების უპირატესობები:

- ობიექტზე სამუშაოთა წარმოების შერჩეული ტექნოლოგიის კორექტირების ვიზუალური ასახვა;

- დაგეგმვის სტადიაზე პროექტირების შეცდომების გამორიცხვა;
- ობიექტის მშენებლობის მსვლელობის ვიზუალური ასახვა;
- ობიექტზე სამუშაოთა შესრულების მსვლელობის ანიმირებული ანგარიშების ფორმირება 3D მოდელის გამოყენებით.

მართალია BIM ტექნოლოგიამ თავისი უპირატესობა აჩვენა, სახეზეა მრავალი ცალ-კეული პროგრამა, რომლებიც აიოლებენ არქიტექტურულ-სამშენებლო ამოცანების გადაწყვეტას, მაგრამ არსებობს აუცილებლობა მათ შორის ინტეგრირებული ავტომატიზაციის შემუშავებისთვის.

BIM ტექნოლოგიის ზრდა მსოფლიოში რეგიონების მიხედვით (სურ. 3.).



სურ. 3. BIM -ის ზრდის ტემპი მსოფლიოში რეგიონების მიხედვით

## 2.6. მშენებლობის პროექტირების და კალენდარული დაგეგმარების ინტეგრირებული ავტომატიზაციის მეთოდის შემუშავება

**მშენებლობის 4D მოდელის შექმნის ავტომატიზაცია.**

მშენებლობის 4D მოდელს შეუძლია პროექტის 3D მოდელის ანიმაციით ვიზუალიზაცია, რომელიც აგებულია მშენებლობის კალენდარული გეგმების შესაბამისად. მშენებლობის მსვლელობის ყოველდღიური ანალიზი ეშვებება სხვადასხვა პრობლემის და


კონფლიქტების აღმოჩენას. მაგრამ, ინფორმაციის ფორმირება და შეკრება, 4D ანიმაციისთვის აუცილებელია და დიდ დროს მოითხოვს.

მშენებლობის 4D მოდელის ფორმირების ავტომატიზაციისთვის ახალი მეთოდის შემუშავებისთვის გაანალიზებული და გათვალისწინებული იყო შემდეგი შენიშვნები სამეცნიერო ლიტერატურიდან:

1. მოდელირების 4D პროგრამები ითხოვს მშენებლობის პროცესის ვიზუალიზაციის პროგრამასთან კალენდარული გეგმის კავშირის უზრუნველყოფას. ეს ნიშნავს, რომ თუ კალენდარული გეგმა მზად არ არის, მაშინ 4D მოდელირება და ვიზუალიზაცია არ შეიძლება შესრულდეს;
2. 4D მოდელის ფორმირების არსებული პროგრამული უზრუნველყოფა ითხოვს ხელით შრომის მნიშვნელოვან მოცულობას. დგება საკითხი ინფორმაციის ავტომატიზირებულ გადაცემაზე პირდაპირ შენობის მოდელიდან კალენდარული დაგეგმარების პროგრამულ უზრუნველყოფაში;
3. აღნიშნულია, რომ არსებობს კომპიუტერული მეთოდის შემუშავების აუცილებლობა. სხვადასხვა სტანდარტული პროგრამული პროდუქტების და მშენებლობის 4D მოდელის ფორმირების ზოგიერთი ამოცანის ავტომატური შესრულების ინტეგრაციისთვის.

შესაბამისად, კვლევის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გავამარტივოთ დაგეგმვის და მშენებლობის 4D მოდელის შედგენის პროცესი მშენებლობის პროცესის ვიზუალიზაციისთვის დაგეგმარების ადრეულ სტადიაზე.

ნახ. 23.-ზე მოცემულია მშენებლობის 4D მოდელის შედგენის ავტომატიზაციისთვის შემოთავაზებული მეთოდის სქემა. ეს მეთოდიკა შეიძლება 4 ძირითად ეტაპად დავეყოთ: შენობის მოდელირება, დაგეგმარება, კალენდარული გეგმის გაანგარიშება და 4D მოდელის ფორმირება.



ნახ. 23. მშენებლობის 4D მოდელის შედგენის ავტომატიზაციის სქემა

### შენობის მოდელირება.

CAD-სისტემები, ფართოდ გამოყენებული CAIP-ში, კონსტრუქციის ელემენტებს ასახავენ ხაზების საშუალებით, რომლებიც ელემენტის მხოლოდ გეომეტრიას განსაზღვრავენ. BIM-სისტემა გულისხმობს სტრუქტურის თითოეული ელემენტის, როგორც პარამეტრული ობიექტის შექმნას, რომელიც გეომეტრიული ზომების გარდა უამრავ სხვა ატრიბუტს ფლობს. ამასთანავე, თითოეულმა ელემენტმა BIM-ის შემადგენლობაში „იცის“ როგორ შეეფარდება შენობის სხვა ელემენტებს და მთლიანად მთელ პროექტს. ეს უპირატესობა განსაზღვრავს BIM-ის შერჩევას მშენებლობის ობიექტის 3D-მოდელის ფორმირებისათვის.

ამ ეტაპზე იქმნება შენობის ინფორმაციული მოდელი, რომელიც თავის თავში მოიცავს 3D მოდელის და ყველა კომპონენტებისთვის იდენტიფიკაციურ პარამეტრებს (კონსტრუქციის ელემენტების). მომხმარებელმა უნდა შექმნას კომპონენტის ID იდენტიფიკაციური ნომერი შენობის ყველა კატეგორიის კომპონენტებისთვის. ID კომპონენტი ინიშნება თითოეული კომპონენტისთვის ან კომპონენტთა ჯგუფისთვის და

უკავშირდება პროექტის სამუშაო კალენდარული გეგმის ID-ს. ID კომპონენტი შეიძლება გამოვიყენოთ მშენებლობის ფაზის ამ ეტაპის განსაზღვრისათვის, მას შეუძლია ასევე დაადგინოს მშენებლობის თანმიმდევრობა, როცა რამდენიმე შენობა არსებობს ან საჭიროა დიდი შენობის დაყოფა რამდენიმე მცირე ნაწილად.

შენობის აგებული 3D მოდელი ექსპორტირდება ინფორმაციული მოდელის ანალიზის პროგრამულ უზრუნველყოფაში შენობის მოდელის სხვადასხვა კომპონენტების რამდენიმე ავტომატიზებული ამოღებისთვის და კომპონენტების კატალოგის შესადგენად.

### **დაგეგმარება.**

დაგეგმარების პროცესი თავის თავში რამდენიმე ბიჯს მოიცავს: სამუშაოთა განსაზღვრა, აუცილებელი რესურსის შეფასება, სამუშაოთა ხანგრძლიობის ანგარიში და მათი თანმიმდევრობის განსაზღვრა.

მონაცემები შენობის მოდელის სხვადასხვა კომპონენტის რაოდენობაზე ექსპორტირდება პროგრამაში ელექტრონულ ცხრილებთან მუშაობისთვის. ეს შენობის მოდელის კომპონენტების გაანალიზების საშუალებას იძლევა დეტალიზაციის სხვადასხვა დონეზე.

შენობის კომპონენტების რეორგანიზაციისთვის მონაცემთა იერარქიულ მოდელში ფორმირებულია სამუშაოთა სტრუქტურულ დეკომპოზიცია, განსაზღვრულია დეკომპოზიციის 4 დონე, იმისთვის, რომ ავსახოთ შენობის კომპონენტებსა და მათ სამუშაოთა შორის ურთიერთკავშირი.

სამუშაოთა ავტომატური იდენტიფიკაციის, მათი ხანგრძლივობის და თანმიმდევრობის გამოთვლის მიზნით შემუშავებულ იქნა დამატებითი მაკროსი. ის საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ და მოვახდინოთ მშენებლობის პროექტის სამუშაოების ყველა სახეობის დადგენა და დავაკავშიროთ ის წარსულის ანალოგიური პროექტების ისტორიული მონაცემების სხვა ცხრილთან. ასეთი კავშირი გვეხმარება ავტომატურად დავადგინოთ რესურსი, გამოვიანგარიშოთ სამუშაოთა ხანგრძლივობა

გამომუშავების (წარმადობის) ძველი ნორმების გამოყენებით და განვსაზღვროთ მათ შორის დამოკიდებულება:

$$D_i = \frac{Q_i}{R_i} \quad (2.1.)$$


სადაც  $D_i$  - i სამუშაოს ხანგრძლივობა;

$Q_i$  - i სამუშაოს მოცულობა;

$R_i$  - დღე-ღამეში გამომუშავებული i სამუშაოს ნორმა.

### კალენდარული გეგმის გაანგარიშება.

კალენდარული გეგმის გაანგარიშებისთვის საჭიროა შემდეგი შემავალი მონაცემები: სამუშაოთა შეკრება, სამუშაოებს შორის ურთიერთკავშირი, თითოეული სამუშაოს ხანგრძლივობა. ეს მონაცემები ექსპორტირდება პროექტების მართვის პროგრამულ უზრუნველყოფაში სამუშაოთა დაწყებისა და დასრულების თარიღის გამოსათვლელად. სამუშაოთა დაწყების და დასრულების თარიღების მიღებული მონაცემები ინახება CSV ფაილის ფორმატში (ნახ. 24.).




ნახ. 24. სამუშაოების შემადგენელი დეკომპოზიცია

### მშენებლობის 4D მოდელის ფორმირება.

მოცემულ ეტაპზე წარმოებს 3D მოდელის კომპონენტების ავტომატური კავშირი 4D მოდელის შესაქმნელად სამუშაოთა პარამეტრებთან (ნახ. 25.).

სამშენებლო სამუშაოების კალენდარული გეგმა CSV ფაილის ფორმატში იმპორტირდება ვირტუალური რეალობის ფორმატში. ერთდროულად XML ფაილის ფორმატში იმპორტირდება მშენებლობის პროცესის ვიზუალიზაციისათვის მოდელის კომპონენტების ჯგუფების მონაცემები.



ნახ. 25. მშენებლობის 4D მოდელი

## 2.7. სამუშაო სივრცის 4D მოდელირება

არსებობს მოთხოვნილება პროექტების მოკლე კალენდარული გეგმების ფორმირებაში (პროექტის შესრულების დროის დაჩქარება). შესაბამისად, გენერალური შემსრულებლები იძულებულნი არიან დროის ერთეულში შესრულებული სამუშაოს მოცულობა გაზარდონ სამუშაოს შესრულებისთვის რესურსების გაზრდის ხარჯზე და სამუშაოთა დიდი რაოდენობის დაგეგმვის ხარჯზე, რომლებიც ერთდროულად სრულდება. ამასთანავე, მრავალ სამშენებლო მოედანზე არსებობს სამუშაოთა შესრულებისთვის საკმაოდ შეზღუდული სივრცე. მშენებლობის ინტენსიურობის გაზრდამ შეიძლება მიგვიყვანოს სამუშაო სივრცეების კონფლიქტამდე, რომელშიც ერთი სამუშაოსთვის სივრცის მოთხოვნა იკვეთება საქმიანობის სხვა სახის სივრცის მოთხოვნებთან.

სამუშაოთა კალენდარული გეგმა უშვებს სხვადასხვა სამუშაოთა პარალელურ მიმდინარეობას, მაგრამ არ იხილავს სამშენებლო წარმოების სამუშაო ზონებს, რამაც შეიძლება სამუშაო სივრცეების გადაკვეთა



გამოიწვიოს. აუცილებელია წინასწარ განჭვრეტილი იყოს წარმოქმნილი პრობლემა, სამშენებლო სამუშაოთა უსაფრთხოება რომ ავამაღლოთ, დავწიოთ მომუშავეთა შორის კონფლიქტები, შევამციროთ მოცდენის დრო, გავაუმჯობესოთ სამუშაოთა ხარისხი, ასევე შევამციროთ პროექტის განხორციელების ვადიდან გადახრა.

ბოლო წლებში მკვლევარები დიდ ინტერესს იჩენენ სამუშაო სივრცეების დაგეგმვის ამოცანებისადმი. მაგრამ, მრავალი მათგანი განიხილავდნენ სამუშაო სივრცეების მოთხოვნას მხოლოდ სამუშაოთა საწყისი მონაცემების სახით და იძლეოდნენ მათ ხელით. სამუშაო სივრცეებთან ასეთი მუშაობა შეიძლება ძალიან მძიმე და რთული ამოცანა იყოს მონაცემთა მომზადების თვალსაზრისით. სხვა კვლევებში მეტი ყურადღება ექცეოდა სამუშაო სივრცეების მოდელირებას, იმისათვის, რომ სამუშაო სივრცეების განსაზღვრის პროცესი ავტომატიზებული იყოს. კვლევის კიდევ ერთ მიმართულებად იქცა სივრცითი მოთხოვნების აღრიცხვის მექანიზმის შემუშავება დაგეგმვის არსებულ მეთოდებში პროექტის ვიზუალიზაციის და მართვისთვის 4D-არეს რეალიზაციის მიზნით. მაგრამ, დამუშავებები მიმდინარეობდა გეომეტრიული ინფორმაციის საფუძველზე იმპორტირებულის არა BIM არედან.

სამუშაო სივრცე წარმოადგენს ზონას, სადაც სამშენებლო სამუშაო ხორციელდება. წინამდებარე კვლევებში თავდაპირველად განხილული იყო სამუშაო სივრცის ტიპი, რომელიც მხედველობაში იღებს ტექნოლოგიურ ზონასთან დაკავშირებულ სივრცეს. შემოთავაზებული მოდელი უზრუნველყოფს ზონების სხვადასხვაგვარი ტიპების გენერაციას. მოცემულ კვლევაში სამუშაო სივრცეები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

1. ადამიანებისთვის: ეს მუშებისთვის აუცილებელი სამუშაო სივრცეა, იმისთვის, რომ შენობის კომპონენტები აშენონ უსაფრთხოდ და პროდუქტიულად. ასეთი სივრცე საშუალებას იძლევა შემცირდეს შრომის ნაყოფიერების დანაკარგები და მინიმიზირებული იყოს უბედური შემთხვევები.

2. დანადგარებისთვის: ეს სამუშაო სივრცეა, ტექნიკური დანადგარების უსაფრთხო მანევრირებისთვის განკუთვნილი.
3. დამხმარე სივრცეები: ეს სამუშაო სივრცეა, აუცილებელი მასალების შენახვისთვის, მასალების გადაცემისა და მუშების გადაადგილებისთვის ერთი ზონიდან მეორეში.
4. უსაფრთხოების ტექნიკის ზონები: ეს ზონებია, რომლებიც საშუალებას გვაძლევს უზრუნველყოთ უსაფრთხო დაცილება ორ სამუშაო ზონას შორის უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, ისეთის, როგორცაა შეჯახება რესურსებს შორის და ტრავმები საგნების ვარდნისას.

სამუშაო სივრცეებს 3 განზომილება აქვთ, ამავდროულად ამ სივრცეების ზომები დროში იცვლება, ხოლო თვით სივრცე თავის ადგილმდებარეობას იცვლის. შესაბამისად, არსებობს იმის მოთხოვნა, რომ ვაკონტროლოთ ეს სამუშაო სივრცეები სამგანზომილებიან ვიზუალურ რეჟიმში და დროში, რომ განვსაზღვროთ სამუშაო სივრცეების კონფლიქტები.


სამუშაო სივრცეების გენერაცია ორ დონედ იყოფა: სამუშაო სივრცეების ფორმირება და სამუშაო სივრცეები განაწილება. სამუშაო სივრცეების ფორმირება ეს არის სამუშაო სივრცეების ფორმების და ზომების შექმნის პროცესი. სამუშაო სივრცეების განაწილება არის სამუშაო სივრცეების ადგილმდებარეობის განსაზღვრა.

ნახ. 26.-ზე შემოთავაზებულია მოდელი სამუშაო სივრცეების 2 ფორმის გამოყენებას სამუშაო სივრცის შესაფერისი ფორმა მუშაობისთვის შეირჩევა შენობის შეკავშირებული კომპონენტების ტიპის შესაბამისად.

სამუშაო სივრცის ფორმა „1“ შემოთავაზებულია შენობის კომპონენტის ირგვლივ სამუშაო ზონის განსაზღვრისთვის, მაგალითად სვეტებისთვის. ეს ფორმა ასევე გამოიყენება სამუშაო ზონის სახით, რომელიც საჭიროა შენობის კომპონენტის ქვეშ ან ზემოთ, მაგალითად სართულშორისი გადახურვისთვის.

სამუშაო სივრცის ფორმა „2“ შემოთავაზებულია სამუშაო ზონის განსაზღვრისთვის, რომელიც საჭიროა შენობის კომპონენტის ერთ მხარეს, მაგალითად, კედლისთვის.


სამუშაო სივრცის ზონა იქმნება ამორჩეული ფორმის და მნიშვნელობებისგან  $x$  და  $y$  დამოკიდებულებით, მომხმარებლის მიერ განსაზღვრული.



*ნახ. 26. სამუშაო სივრცეების ფორმები*


ნახ. 27.-ზე წარმოდგენილია შემოთავაზებული მოდელის სქემა. მოდელი იყენებს მონაცემებს სხვადასხვა წყაროებიდან:

- 3D მოდელი შენობის საინფორმაციო მოდელიდან BIM;
- მონაცემები დაგეგმისთვის პროგრამული უზრუნველყოფიდან, ისეთის როგორც MS Project, Primavera და სხვ.
- მონაცემები მშენებლობის მიმდინარეობისას სამუშაო სივრცეების საჭირო ზომებზე. პროცესი იწყება რესურსების (ადამიანების, მანქანა-დანადგარების) განაწილებიდან და სამუშაო სივრცეების აუცილებელი ტიპის გამოვლენიდან თითოეული სამშენებლო სამუშაოსთვის. სამუშაო სივრცეების ზომა განისაზღვრება მომხმარებლით განსაზღვრული მნიშვნელობის გათვალისწინებით ან ასაგები კონსტრუქციის ზომით (შენობის საინფორმაციო მოდელის კომპონენტი). სამუშაო სივრცის სამგანზომილებიანი ფორმა იქმნება შემზღუდავი ჩარჩოს გამოყენებით.



**ნახ. 27. სამუშაო სივრცეების მოდელირების სქემა**

სამუშაო სივრცეები შენდება მუშაობასთან დაკავშირებული 3D-მოდელისა და შენობის კომპონენტების ადგილმდებარეობაზე ინფორმაციის საფუძველზე. მოთხოვნილი სამუშაო სივრცის განსაზღვრა კონკრეტული სამუშაოებისთვის მიიღწევა პროექტის ყველა 3-განზომილებიანი კომპონენტის ავტომატური სინქრონიზაციის ხარჯზე უნიკალური ID-ს (კომპონენტების იდენტიფიკატორი) დახმარებით. ეს ნიშნავს, რომ 3-განზომილებიანი კომპონენტის ID დაემთხვევა მუშაობის ID-ს და ასევე 3-განზომილებიანი სამუშაო სივრცის ID-ს (3D შემზღვევადი ჩარჩოსი), როგორც ნაჩვენებია ნახ. 28.-ზე.




**ნახ. 28. კონკურენტული სამუშაოს მოთხოვნადი სამუშაო სივრცეების სტრუქტურა**

შემოთავაზებული მოდელი არ ითვალისწინებს სხვაობას მომუშავეთა, დანადგარებისა ან მასალების სივრცეებს შორის. სამუშაო სივრცე მოცემულ კვლევაში განიხილება როგორც მუშაობისთვის აუცილებელი საერთო ფართი.

მოთხოვნების სამუშაო სივრცეებისადმი დროთა განმავლობაში იცვლება, ამიტომ შემუშავებული მეთოდიკა აკავშირებს შექმნილ სამუშაო სივრცეებს მშენებლობის კალენდარულ გეგმასთან, სამუშაო სივრცე 4 რეჟიმში რომ აისახოს. კალენდარული გეგმა განსაზღვრავს შენობის თითოეულ კომპონენტთან შესაბამისი თითოეული მუშაობის დაწყებას და დამთავრებას. 4D ანიმაცია აჩვენებს შენობის რომელი კომპონენტი შენდება დროის მოცემულ მომენტში, შესაბამისად, როგორი სამუშაო სივრცეებია აქტიური. სამუშაოთა პარალელურად მიმდინარეობისას სამუშაო სივრცეების „კონფლიქტი“ შეიძლება განვსაზღვროთ ვიზუალურად 4D გრაფიკზე. შესაძლებელია გადამკვეთი სივრცეების ავტომატური გამოყოფა ფერით.

იმისათვის, რომ შევამციროთ ან ავირიდოთ კონფლიქტი პარალელურ სამუშაოებს შორის, შეიძლება შემოთავაზებული იქნას სტრატეგიები. პირველ როგში უნდა განვიხილოთ სამუშაოები კრიტიკულ გზაზე და მათი სამუშაო სივრცეები. იმისათვის, რომ წინააღმდეგობაში არ

ვიყვეთ სხვა სამუშაოებთან. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ საჭიროა მშენებლობის სხვა მეთოდი გამოვიყენოთ (ვარიანტი). არაკრიტიკული სამუშაოებისთვის შეიძლება გამოვიყენოთ მათი სათადარიგო დრო სამუშაოების უფრო გვიან დროზე გადასატანად ან სამუშაოს შეწყვეტა (ნახ. 29.).



ნახ. 29. კონფლიქტის გადაწყვეტა

## 2.8. სამშენებლო პროექტის კალენდარული გეგმის ოპტიმიზაცია

პირველად შემუშავდება კალენდარული გეგმა, რომელმაც შეიძლება არ უზრუნველყოს სამუშაოს ოპტიმალური დაწყება ან დასრულება. ამას გარდა, დამკვეთები მიისწრაფიან მაქსიმალურად შეამცირონ პროექტის ღირებულება და მისი ხანგრძლივობა ფინანსირების შემცირების მიზნით და შემოსავლების გასაზრდელად. მონაწილეებისთვის ხარჯების მინიმიზაცია ასევე ზრდის ნამატს, ხოლო პროექტის ადრეულად დასრულება ამცირებს ინფლაციის რისკსა და მუშების არასაკმარისობას. პროექტის გენგეგმამ რა თქმა უნდა, უნდა გაითვალისწინოს დროისა და ღირებულების ოპტიმიზაცია ერთდროულად.

სამუშაოს შეიძლება ჰქონდეს შესრულების რეჟიმების სხვადასხვა ალტერნატივა, რომლებსაც შეუძლიათ ჩაერთონ შესაძლო კომბინაციები ადამიანების, დანადგარების, მეთოდებისა და ტექნოლოგიების

რიცხოვნების. სამუშაოს თითოეული სახეობისათვის ხერხის შერჩევა განსაზღვრავს დროსა და დანახარჯებს ამ მუშაობის განხორციელებაზე და მოქმედებს პროექტის საერთო ხანგრძლივობასა და ღირებულებაზე. სამუშაოების შესრულების სხვადასხვა შესაძლო ხერხების კომბინაცია წარმოქმნის პროექტის მრავალ ალტერნატიულ გეგმებს თავისი ხანგრძლივობითა და ღირებულებებით. სამშენებლო სამუშაოების შესრულების საუკეთესო სტრატეგიის განსაზღვრა პრობლემური ხდება. პროექტის ამ ალტერნატიული გეგმების ნაკრები რთული ხდება, რამდენადაც პროექტის სამუშაოთა რიცხვის გაზრდით ალტერნატივების რიცხვი ექსპონენციალურად იზრდება. მაგალითად, პროექტის შესაძლო ალტერნატიული გეგმების რიცხვის, რომელიც მხოლოდ 10 სამუშაოსგან და მხოლოდ მშენებლობის ორი ხერხისაგან შედგება, შეიძლება 1024 მიაღწიოს.

ამ პრობლემის გადასაწყვეტად ლიტერატურის მიმოხილვაში შემოთავაზებული იყო ოპტიმიზაციის მრავალი მეთოდი, მაგალითად, ევრისტიკული მეთოდი, მათემატიკური პროგრამირების მეთოდები, ევოლუციური ალგორითმები, მათ შორის გენეტიკური ალგორითმი.

ორიგინალური გენეტიკური ალგორითმი GA, ჯონ ჰოლანდის შექმნილი, საკმაოდ მარტივია პროგრამული რეალიზაციისთვის, მაგრამ დროში დანახარჯიანი. მრავალი თანამედროვე გენეტიკური ალგორითმების პროგრამაა, რომლებიც ხსნიან მრავალ დიდ და რთულ ამოცანებს, იყენებენ ორიგინალური გენეტიკური ალგორითმის მოდიფიცირებულ ვერსიებს. მშენებლობის მართვის პრობლემების გადასაწყვეტად შეიძლება გენეტიკური ალგორითმებიც ასევე წარმატებით გამოვიყენოთ.

ალგორითმი GA უფრო მოქნილია, ვიდრე სხვა ოპტიმიზაციის არაწრფივი მეთოდი. არ არსებობს რაიმე განსაზღვრული მათემატიკური შეზღუდვა შეთავსებადობის ფუნქციის თვისებებზე. ის შეიძლება იყოს დისკრეტული, მულტიმოდალური და სხვ. გენეტიკურ ალგორითმებში ქრომოსომები ერთმანეთს შორის ცვლიან ინფორმაციას და მთელი


პოპულაცია გადაინაცვლებს ოპტიმალური გადაწყვეტის მიმართულებით. რამდენადაც GA იცავს შესაძლო გადაწყვეტების პოპულაციას, მას დიდი შანსი აქვს გლობალური ოპტიმუმის მოძებნაზე სხვა მეთოდებთან შედარებით. ამგვარად მოცემული კვლევის მიზნისთვის ოპტიმიზაციის შერჩეულ მეთოდათ GA გვევლინება.

ზოგიერთი კვლევა პროექტის გეგმების ოპტიმიზაციისთვის პრობლემის გადაწყვეტას ცდილობდა ან მხოლოდ დროის მინიმიზაციით, ან მხოლოდ ღირებულების. სხვა კვლევები დროისა და ღირებულების მრავალკრიტერიულ პრობლემას ერთდროულად განიხილავდნენ.

პირველი კვლევები თვლიდნენ, რომ სამუშაოთა ღირებულებები (პირდაპირი ამონარიდები) სამუშაოთა ხანგრძლივობის წრფივ ფუნქციას წარმოადგენს ნახ. 30. ქვედა ნორმალური ხანგრძლივობით, ხოლო ზედა კრიტიკული ხანგრძლივობით შემოსაზღვრული. ბოლო წლების განმავლობაში შესწავლილი იყო სამუშაოთა ღირებულების ფუნქციის სხვა ფორმები, მაგალითად, მრუდხაზოვანი, უწყვეტი და დისკრეტული.

რამდენადაც დისკრეტული თანაფარდობა სამუშაოს შესრულების დროსა და მის ღირებულებას შორის რეალური პროექტისთვის წარმოადგენს შედარებით წარმოსახვით ვერსიას, მშენებლობის გეგმის ოპტიმიზაციის პრობლემა დისკრეტული თანაფარდობით შედარებით პრაქტიკულ ვერსიას წარმოადგენს. ამგვარად, მოცემული კვლევა კონცენტრირდება დისკრეტულ ვერსიაზე.

სამუშაოს ღირებულება



სამუშაოს ხანგრძლივობა

ნახ. 30. ღირებულების დამოკიდებულება სამუშაოს ხანგრძლივობაზე




მშენებლობის გეგმის ოპტიმიზაციის მოდელების გამოყენების ამოცანის სირთულის გამო, ლიტერატურაში ძირითადად შემოიფარგლებიან მცირე დემონსტრაციული მაგალითებით სამუშაოთა მცირე რაოდენობით, მნიშვნელოვნად მცირეთი, ვიდრე რეალურ სამშენებლო პროექტებში არსებობს.

ამ კვლევაში პროექტის ღირებულების და დროის ანალიზისთვის, იმისათვის რომ მისი გეგმის ოპტიმიზირება მოვახდინოთ, შემოთავაზებულია გამოვიყენოთ შენობის საინფორმაციო მოდელში BIM შენახული მონაცემები და გენეტიკური ალგორითმები GA პროექტის მართვის პროგრამულ უზრუნველყოფასთან დინამიკური ინტეგრაციით.

შემოთავაზებული მოდელის სქემა წარმოდგენილია ნახ. 31.-ზე. ამ მოდელში არსებობს აუცილებელი მონაცემების წარმოდგენისთვის ორი შესაძლებლობა. ერთ-ერთი შესაძლებლობიდან BIM-ის 3D მოდელის გამოყენებაა. ყველა აუცილებელი გეგმიური მონაცემები გადაცემული იქნება სამუშაოს პროგრამაში ელექტრონული ცხილებით, შემდეგ კი - ოპტიმიზაციის ალგორითმში.

შემდეგი შესაძლებლობა მდგომარეობს ოპტიმიზაციის პროგრამაში ინფორმაციის უშუალოდ შეტანაში. ეს მონაცემები თავის თავში მოიცავს პროექტში ყველა სამუშაოს, თითოეული სამუშაოს წინამორბედს, დღეში ირიბ დანახარჯებს, ასევე თითოეული სამუშაოს შესრულების სხვადასხვა რეჟიმებისთვის ხანგრძლივობას და ღირებულებას (პირდაპირი დანახარჯები).

უნდა აღვნიშნოთ, რომ პროექტის თითოეული ხანგრძლივობისთვის საერთო ღირებულება ირიბი და პირდაპირი დანახარჯების ჯამია. ამოცანის ამოხსნაში ცვლადების სამუშაოს თითოეული სახეობისთვის მშენებლობის რეჟიმები წარმოადგენს (ალტერნატიული). ოპტიმიზაციის პროცესში თითოეული სამუშაოსათვის მიზნობრივი ფუნქციისა და შეზღუდვების დაკმაყოფილების მიზნით შერჩეული იქნება ერთი საუკეთესო რეჟიმი.



**ნახ. 31. პროექტირების ინტეგრირებული ავტომატიზაციის და კალენდარული დაგეგმარების სქემა**

მეთოდულში შემოთავაზებულია 3 შესაძლო მიზნობრივი ფუნქცია. პირველი მიზნობრივი ფუნქცია იყენებს მცნებას „ბოლო ვადა“ (პროექტის შესასრულებლად გახანგრძლივების მოთხოვნა), ე.ი. არსებობს შეზღუდვა პროექტის გახანგრძლივებაზე, ხოლო მოდელი ცდილობს მოახდინოს შესაბამისი ღირებულების მინიმიზირება.

მეორე მიზნობრივი ფუნქცია იყენებს ბიუჯეტის მცნებას (პროექტის მინიმალური ღირებულება). მოდელი ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ღირებულება და მისი შესაბამისი მინიმალური ხანგრძლივობა.

მესამე მიზნობრივი ფუნქცია იყენებს მცნებას „შეკუმშვა“ (მინიმალური ხანგრძლივობა), ე.ი. არსებობს აუცილებლობა პროექტის შესრულების დროის შემცირების მის მინიმალურ დონემდე, ხოლო მოდელი ცდილობს შეამციროს შესაბამისი ღირებულება.

შეზღუდვები მეთოდულში განსაზღვრავს ყველა თანაფარდობას სამუშაოებს შორის და ზღუდავს საერთო ხანგრძლივობას ან პროექტის ღირებულებას მოთხოვნების შესაბამისად.

მეთოდთა აგებს თანაფარდობებს მიზნობრივ ფუნქციას, შეზღუდვებს, ცვლად გადაწყვეტებსა და ცნობილ მონაცემებს შორის. ოპტიმიზაციის ამოცანა განსაზღვრავს ცვლადების სიდიდეებს, რომლებიც ამინიმიზირებენ მიზნობრივ ფუნქციას შეზღუდვების დაკმაყოფილებისას.

იმის მიუხედავად, რომ არსებობს კავშირების ოთხი ტიპი სამუშაოთა შორის (დასრულება-დაწყება; დაწყება-დაწყება; დასრულება-დასრულება; დაწყება-დასრულება), უმეტესობა ცნობილი მოდელებიდან განიხილავდა მხოლოდ კავშირს „დასრულება-დაწყება“. ზოგიერთი კვლევა ცდილობდა კავშირების მეტი რაოდენობის გათვალისწინებას, მაგრამ ისინი იხილავენ მხოლოდ ღირებულება-დრო უწყვეტ თანაფარდობას [38, 57].

მოცემულ კვლევაში შემუშავებულია დრკადი მეთოდთა, რომელიც განიხილავს კავშირს ყველა ოთხ ტიპს სამუშაოებისა და დამატებით ლაგს (გადათხრა) და დროის გადაფარვას შორის. იმისათვის, რომ GA ეფექტიანად გამოვიყენოთ, აუცილებელია შევიმუშაოთ მოხერხებული სქემა პრობლემის წარმოსადგენად (კოდირება), გავაკეთოთ არჩევანი შესაბამისი გენეტიკური ოპერატორების (შერჩევა, კროსოვერი, მუტაცია) და მათი პარამეტრების აწყობა.

ზოგიერთი კვლევა, ლიტერატურაში განხილული ფოკუსირდებოდა, იმაზე, თუ როგორ შეგვერჩია გენეტიკური ოპერატორები და მათი პარამეტრები, რომელთაც შეუძლიათ გავლენა მოახდინოს ალგორითმის შედეგზე გამოვლენილი იყო, რომ კოდირების გამოყენება პრობლემის წარმოსაჩენად რიცხვების საგნობრივი მნიშვნელობებით უკეთეს გადაწყვეტას იძლევა. პოპულაციის დაწყებითი რიცხვებისთვის სხვადასხვა ცდებში (გაანგარიშებებში) რეკომენდირებულია სხვადასხვა რიცხვის გამოყენება. შემჩნეულია, რომ წრფივი რანჟირება  $\square$  საუკეთესო ფუნქციაა შეგუებადობის ფუნქციისთვის (Fitness Function). სელექციის მეთოდისთვის რეკომენდირებულია ტურნირის ფუნქციის ან რულეტის ბორბლის გამოყენება. კროსოვერისთვის რეკომენდირებულია ერთწერტილიანი მუტაცია.

როცა ამოცანა ოპტიმიზაცია იწყებს მუშაობის რეჟიმის შემთხვევითი კომბინაციების ფორმირებას, პირველდაწყებითი გადაწყვეტები შეიძლება განუხორციელებელი იყოს. მაგალითად, პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება მეტი აღმოჩნდეს, ვიდრე პროექტის შესრულების უკიდურესი ვადა. ოპტიმიზაციის პროცედურა ბევრ დროს ხარჯავს, იმისათვის რომ მოძებნოს განხორციელებადი გადაწყვეტა, ხოლო შემდეგ მის გაუმჯობესებას იწყებს. იმისათვის, რომ ავირიდოთ მონაცემთა დამუშავების დაწყებითი დრო, ცვლადი გადაწყვეტები ოპტიმიზაციის პროცესის დაწყებისთვის უკვე გადაწყვეტების დაშვებების გათვალისწინებით იცვლება. როცა პოპულაცია ინიციალიზირდება, მეთოდიკა იწყებს სამუშაოს შედარებით შემჭიდროებულ რეჟიმთან მიახლოებულ მნიშვნელობათა საწყისი სიდიდეების შემთხვევით ამორჩევას.

ამას გარდა, მეთოდიკა საშუალებას არ გვაძლევს ვაწარმოთ ან დავამატოთ ორი ან მეტი ერთგვაროვანი ქრომოსომი პოპულაციაში. ეს თავისებურება პროგრამას აიძულებს ოპტიმალურ გადაწყვეტას მივაღწიოთ სწრაფად პოპულაციაში სხვადასხვაგვარობის შენარჩუნების გზით. მეორეს მხრივ, როდესაც პროგრამა გადაწყვეტას ემთხვევა, ის აწარმოებს ძალიან მსგავს ქრომოსომებს, რაც ერთნაირი ქრომოსომების შექმნასა და ლოკალურ ოპტიმუმში ჩავარდნის ალბათობას ზრდის. რამდენადაც ალგორითმი ერთნაირი ქრომოსომების არსებობას არ უშვებს, პროგრამა ორი ერთნაირი ქრომოსომის გენს არასოდეს არ შეცვლის, ეს კი აუმჯობესებს მოდელის ეფექტიანობას.

უმეტესობა არსებული GA-ს მეთოდიკები გამრავლების ეტაპზე შემდგომი სახით მუშაობენ: მშობლების შერჩევა, კროსოვერის მიღება შთამომავლობის შესაქმნელად, ახალი შთამომავლობის მისაღებად კროსოვერებიდან მიღებულ შთამომავლებთან მუტაციის გამოყენება. ზოგიერთი მოდელი მშობლების შერჩევის შემდეგ თავისი შთამომავლობის შესაქმნელად კროსოვერ ან მუტაციას იყენებს. არსებობს შეხედულება, რომ

კროსოვერიდან და მუტაციიდან ერთდროულად მიღებული შთამომავლები უკეთესია, ვიდრე ისინი რომლებიც მიიღებიან მხოლოდ ან კროსოვერიდან ან მუტაციიდან შემოთავაზებული მეთოდიკა მხედველობაში იღებს ყველა ამ შესაძლებლობას. ალგორითმიც ასევე ერთნაირ ქრომოსომებს ინფორმაციის გაცვლის საშუალებას არ აძლევს.

ამის გარდა, მეთოდიკა გვთავაზობს ალგორითმის გაუმჯობესებას, იმის გარანტიისთვის, რომ შთამომავლობა განხორციელებად გადაწყვეტებს ეკუთვნოდს. ეს მიმდინარეობს შთამომავლობაში მოთხოვნად დროსა და მიღებულ დროს შორის სხვაობის გაანგარიშების გზით და ამ სხვაობის შემდგომი განაწილებით კრიტიკული დროის მუშაობაზე.

პროექტის გეგმის ოპტიმიზაცია დაკავშირებულია პროექტის ვადისა და ღირებულებების შესაბამისობაში მოყვანით მოთხოვნადთან (კონტრაქტორებთან, სახელშეკრულებო ან სხვ.). შემოთავაზებული მეთოდიკა ოპტიმიზაციის 3 სცენარს წარმოადგენს:

1. პროექტის მოთხოვნადი ხანგრძლივობის მიღწევა;
2. პროექტის ღირებულების მინიმიზაცია;
3. პროექტის ხანგრძლივობის მინიმიზაცია.

მეთოდიკა იყენებს საწყის ეტაპზე გენეტიკურ ალგორითმს გლობალური ოპტიუმის ირგვლივ ძიების სივრცის ეფექტიან შევიწროებისთვის, ხოლო შემდეგ იღებს უკეთეს ინდივიდუალებს, იმისათვის, რომ გამოიყენოს შეკუმშვის ან შესუსტების (ან მოდუნების) მეთოდიკა.

## **2.9. სამშენებლო პროექტის ხანგრძლივობის დადგენა**

წარმოდგენილია სამუშაოს თითოეული სახეობისთვის ხანგრძლივობა/ღირებულება ურთიერთდაკავშირებულ მნიშვნელობათა ნაკრები (შესრულების რეჟიმების კრებული) და პროექტის მოთხოვნადი ხანგრძლივობა. თითოეული სამუშაოსათვის ინიშნება ერთ-ერთი მისი

შესაძლო რეჟიმებიდან იმგვარად, რომ პროექტის საერთო ღირებულება მინიმიზირებული იყოს (ნახ. 32.).

მიზნობრივი ფუნქცია წარმოდგენილია შემდეგ სახით:

$$\text{მინიმიზაცია } \sum_{i=1}^n \sum_{j=1}^{m_i} C_{ij} * K_{ij} + I * D + P * \sum_{i=1}^n \sum_{j=1}^{m_i} C_{ij} * K_{ij} \quad (2.2.)$$

$$\text{შეზღუდვისას } 0 < T \quad (2.3.)$$

სადაც,  $n$  – სამუშაოთა რიცხვი პროექტში;

$m_i$  სამუშაოთა ალტერნატივების რიცხვი;

$c_{ij}$  – პირდაპირი ხარჯები სამუშაოზე, როცა ალტერნატივა ირჩევა;

$K_{ij}$  – მუშაობის ბინარული ცვლადი, როცა  $y$  ალტერნატივა ირჩევა, მაშინ 1-ის ტოლია, სხვაგვარად  $K_{ij}$  ტოლია 0;

/ – პროექტზე დროის ერთეულში ირიბი ხარჯები;

$E$  – პროექტის შესრულების დრო;

$T$  – პროექტისთვის საჭირო დრო;

$P$  – ხარჯების ირიბი პროცენტი.

საერთო ღირებულების მინიმიზაციისას, თითოეულ სამუშაოს დანიშნული უნდა ჰქონდეს უნიკალური რეჟიმი (ალტერნატივა), პროექტის ზღვრული დრო დაცული უნდა იყოს და არ უნდა დაირღვეს წინარე შეზღუდვა. შეზღუდვები წარმოდგენილი ინდა იყოს შემდეგი სახით:

$$\text{კავშირი (დასრულება-დაწყება) } S_B \geq S_A + D_{AJ} + L_{AB} \text{ ტიპის} \quad (2.4.)$$

$$\text{კავშირი (დაწყება-დაწყება) } S_B \geq S_A + L_{AB} \text{ ტიპის} \quad (2.5.)$$

$$\text{კავშირი (დასრულება-დასრულება) } S_B + D_{BJ} \geq S_A + D_{AJ} + L_{AB} \text{ ტიპის} \quad (2.6)$$

$$\text{კავშირი (დაწყება-დასრულება) ტიპის } S_B + D_{BJ} \geq S_A + L_{AB} \quad (2.7.)$$


სადაც,  $S_B$  – B მუშაობის დაწყების დრო;

$S_A$  – A მუშაობის დაწყების დრო;

$D_{AJ}$  – A მუშაობის ხანგრძლივობა, როცა შეირჩევა ალტერნატივა;

$D_{Bj}$  – B მუშაობის ხანგრძლივობა, როცა შეირჩევა  $i$  ალტერნატივა;

$L_{AB}$  – შეჩერება ან ზედდება A და B მუშაობათა შორის.




ნახ. 32. პროექტის მოთხოვნადი ხანგრძლივობა

## 2.10. პროექტის ღირებულების მინიმიზაცია

თითოეული სამუშაო ინიშნება მისი შესაძლო რეჟიმებიდან ერთ-ერთზე ისეთი სახით, რომ მოხდეს პროექტის საერთო ღირებულების მინიმიზაცია მის მინიმალურ მნიშვნელობამდე და მოიძებნოს მისი შესაბამისი მინიმალური ხანგრძლივობა (ნახ. 33.).

მიზნობრივი ფუნქცია განისაზღვრება (2.2) განტოლების შესაბამისად. წინამდებარეს შეზღუდვა არ უნდა იყოს დარღვეული. შეზღუდვები განისაზღვრება (2.4), (2.5), (2.6) და (2.7) განტოლებების შესაბამისად.



ნახ. 33. პროექტის მინიმალური ღირებულება

## 2.11. პროექტის ხანგრძლივობის მინიმიზაცია

თითოეულ სამუშაოს ენიშნება მისი შესაძლო ერთ-ერთი რეჟიმი, ისე, რომ პროექტის საერთო ხანგრძლივობის მინიმიზაცია მოხდეს მის მინიმალურ მნიშვნელობამდე და მოვძებნოთ მისი შესაბამისი მინიმალური ღირებულება (ნახ. 34.).


მიზნობრივი ფუნქცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

$$\text{მინიმიზაცია } \sum_{i=1}^{zx} D_i \quad (2.8)$$

სადაც,  $x$  – სამუშაოების რაოდენობა კრიტიკულ გზაზე;

$D_i$  - კრიტიკული მუშაობის  $i$  ანგრძლივობა.

წინარეს შეზღუდვები არ უნდა იყოს დარღვეული. ისინი ასევე განისაზღვრება განტოლებათა (2.4), (2.5), (2.6) და (2.7) შესაბამისად.



ნახ. 34. პროექტის მინიმალური ხანგრძლივობა

## 2.12. სამშენებლო პროექტის კალენდარული გეგმის ოპტიმიზაცია გენეტიკური ალგორითმების ბაზაზე

დაწვრილებით აღწერილია პროექტის გეგმის ოპტიმიზაციის შემოთავაზებული მეთოდიკა გენეტიკური ალგორითმის გამოყენებით, ჩამოთვლილია მიზნის მისაღწევად გამოყენებული პროცესები.

### კოდირება.

გენეტიკური ალგორითმის გამოყენებით ოპტიმიზაციის ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა თავდაპირველად შევარჩიოთ ამოცანის პარამეტრების მნიშვნელობათა კოდირებისათვის შესაფერისი სტრუქტურა. რადგანაც ლიტერატურაში წარმოდგენილია, რომ ნივთიერებათა



რიცხვებით კოდირების გამოყენება უკეთეს გადაწყვეტას გვაძლევს, შემოთავაზებული მეთოდის კოდირების ამ ხერხს ეყრდნობა.

თითოეული ინდივიდუალური გადაწყვეტა ბჭკარის სახით სახელით ქრომოსომა. ქრომოსომა – გენების მოწესრიგებული თანმიმდევრობაა მათში კოდირებული ამოცანის პირობებისგან (მეზნის სივრცეში წერტილების რაოდენობაზე). მოცემულ კვლევაში ქრომოსომის სიგრძე დამოკიდებულია პროექტში სამუშაოთა რაოდენობაზე, ხოლო ქრომოსომის თითოეული გენი შეიცავს ერთ სამუშაოს და მისი ატრიბუტების ერთ ვარიანტს. ცხრ. 10.-ზე გამოსახულია კოდირების მეთოდი.

ცხრილი 10.

*ქრომოსომის სტრუქტურა*

A1	B3	C1	D4	E2
A 1				

□ პოპულაცია

GA-ს მუშაობის პირველ ეტაპზე დაწყებითი პოპულაცია უნდა ფორმირდეს შემთხვევით ინდივიდუალებზე (ქრომოსომა), რომელიც შესასწავლი პრობლემის ზოგიერთ შესაძლო გადაწყვეტას წარმოადგენს (არაოპტიმალურის).

ინდივიდუალები ინახებიან ფიქსირებული ზომის მასივში, რომელიც განისაზღვრება პოპულაციის ზომით (ცხრ. 11.). ეს ზომა წარმოადგენს შემსვლელ პარამეტრს, რომელიც შეიძლება შეიცვალოს. ექსპერიმენტის შემდეგ პოპულაციის სხვადასხვა ზომებიანი, შესაფერისი აღმოჩნდა 100. ეს მასივი ზრდის მიხედვით ისეთი სახით ხარისხდება, რომ ინდივიდუალური მინიმალური ღირებულებით/ხანგრძლივობით პირველ ადგილზე დგება. ეს ძალიან სასარგებლოა მეზნის ტექნიკისთვის, იმისათვის, რომ ვიპოვოთ ინდივიდუალების კარგი გადაწყვეტის დიაპაზონი შემდეგი კვლევისთვის.

თითოეული შექმნილი ინდივიდუალისთვის მეთოდის შემოწმებას აწარმოებს. თუ პოპულაციაში ერთნაირი ინდივიდუალია, მაშინ ახალი ინდივიდუალი შემთხვევითი სახით გადაფორმდება, გადაწყვეტის სხვადასხვაგვარობის შესანარჩუნებლად.

თითოეული გადაწყვეტისთვის წარმოებს შემოწმება განხორციელებადობაზე (დაშვება). თუ გადაწყვეტისთვის პროექტის მიღებული ხანგრძლივობა მეტია, ვიდრე მისი საბოლოო ვადა, მაშინ სამუშაოთა დაწყებითი სიდიდის სახით ალგორითმი იწყებს შემთხვევითი სახით ზოგიერთი დაჩქარებული რეჟიმის კრიტიკულ სამუშაოებს. ალგორითმის შედეგებით საწყისი პოპულაცია უნდა შეიცავდეს მხოლოდ განხორციელებად გადაწყვეტებს. ამგვარად, დროის ხარჯი ოპტიმალური გადაწყვეტის ძებნაზე შემცირებული იქნება.

ცხრილი 11.

*პოპულაციის შექმნა*

ქრომოსომა 1	A1	B3	C1	D3	E2
ქრომოსომა 2	A2	B2	C1	D4	E1
ქრომოსომა 3	A1	B1	C1	D1	E3
ქრომოსომა. 100					

□ **შეგუებადობის ფუნქცია**

თითოეული ქრომოსომისთვის განსაზღვრული უნდა იყოს შესაბამისი გადაწყვეტის მნიშვნელობა (ხარისხი). ასეთ მნიშვნელობას მოცემული ქრომოსომის (ინდივიდუალის) შეგუებადობა ეწოდება. შეგუებადობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს, იმიტომ, რომ სახელდობრ ის გვეხმარება შეფასებაში, თუ კონკრეტული ინდივიდუალი პოპულაციაში რამდენად ვარგისია ამოცანის შემდგომი გადაწყვეტისათვის. შეგუებადობაზე დამოკიდებული შრის ალბათობა, მოხდება თუ არა მოცემული ინდივიდუალი წყვილში შეჯვარებისთვის. ალგორითმის

თითოეული იტერაციისთვის თითოეული ინდივიდუალის შეგუებადობა გადის შეგუებადობის ფუნქციის შეფასებას.

თითოეული ინდივიდუალის შეგუებადობა პოპულაციაში გამოითვლება ალგორითმში პროექტის საერთო ღირებულების ინვერსიის დახმარებით მიზნობრივი ფუნქციის გამოყენებით. ინვერსიის გამოყენება უფრო მეტად ეფექტური აღმოჩნდა.

#### □ ინდივიდუალების შერჩევა

შერჩევა ქრომოსომის (მშობლების) ამორჩევას ნიშნავს კროსოვერის ან მუტაციის შესასრულებლად. ის შეგუებადობის ფუნქციით გამოთვლილი იმ ქრომოსომების ამორჩევაში მდგომარეობს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მომდევნო თაობის შთამომავლობის შექმნაში. ამგვარი ამორჩევა წარმოებს ბუნებრივი შერჩევის პრინციპების თანახმად, რომლის მიხედვითაც ინდივიდუალებს შეგუებადობის უდიდესი მნიშვნელობით გამრავლებაზე მეტი შანსი აქვთ.

გამრავლების შესაძლებლობის მისაღებად ნაკლებად შეგუებადი ინდივიდუალებისთვის შემუშავებულ ალგორითმში გამოიყენება ორი მეთოდი: რულეტის მეთოდი და რანჟირების მეთოდი.

პროპორციული ამორჩევის ძირითადი უპირატესობა რულეტის მეთოდის გამოყენებით იმაში მდგომარეობს, რომ ის საშუალებას აძლევს პოპულაციაში ყველა ინდივიდუალს მოხვდეს ამორჩევაში, რომლის ალბათობა მათ შეგუებადობაზეა დამოკიდებული. ამგვარად, პოპულაციის ნაირგვარობა ინახება. ამ მეთოდის ნაკლს წარმოადგენს ლოკალურ ოპტიმუმში გადაწყვეტის ნაადრევის კრებადობის რისკი დომინირებადი ინდივიდუალის შესაძლო არსებობის გამო, რომელიც ხშირად იმარჯვებს კონკურსში და შერჩევა როგორც მშობელი.

ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად გამოიყენება ინდივიდუალების რანჟირების მეთოდი მათი მიზნობრივი ფუნქციისაგან დამოკიდებულებით, რომლის დროსაც ინდივიდუალები მინიმალური ღირებულებით/ ხანგრძლივობით პირველ ადგილზე გადიან. საუკეთესო

ინდივიდუალებს მიეზიჭებათ რანგი 1 და მათ გამრავლებაში არ იყენებენ. დარჩენილი ინდივიდუალებიდან ადგენენ ჯგუფს ალგორითმში შემდგომი გამოყენებისთვის.

შემდეგ ჯგუფზე მშობლების შერჩევისთვის და კროსოვერის ან მუტაციის შესასრულებლად გამოიყენება რულეტის მეთოდი. რულეტის ბორბალი შეიცავს პოპულაციის თითოეული წევრისთვის თითო-თითო სექტორს.  $i$ -ული სექტორის ზომა დგინდება მოცემული ქრომოსომის შეგუებადობის ფუნქციის მნიშვნელობისადმი პროპორციულად (ნახ. 35.).


თითოეული ქრომოსომის  $p(1)$  ამორჩევის ალბათობა შემდეგი ფორმულით გამოისახება:

$$P_i = \frac{f_i}{\sum_{i=1}^n f_i} * 100\% \quad (2.9.)$$

სადაც,  $n$  – პოპულაციაში ინდივიდუალების რიცხვია

$f_i$  - ქრომოსომის ( $i$ ) შეგუებადობის ფუნქციის მნიშვნელობა.

შემდეგ შემთხვევითი რიცხვი გენერირდება. ქრომოსომა, რომლის სექტორში ეს რიცხვი შედის, შერჩეულად ითვლება.




ნახ. 35. რულეტის ბორბლის ტიპის შერჩევის ოპერატორი

#### □ კროსოვერი.

თაობიდან თაობაში, ინდივიდუალების კარგი მახასიათებელი მთელ პოპულაციაზე უნდა გავრცელდეს. შედარებით მეტად შეგუებული ინდივიდუალების შეჯვარებას იმასთან მივყავართ, რომ გამოიკვლევა

ძიების სივრცის მეტად პერსპექტიული უბნები. საბოლოო ჯამში, პოპულაცია შეიკრიბება ამოცანის ოპტიმალურ გადაწყვეტასთან.

კროსოვერი პოპულაციაში ორ ქრომოსომას (შეიძლება მეტის) შორის ქრომოსომის ნაწილების მიმოცვლას ახორციელებს. კროსოვერი შეიძლება ერთწერტილიანი ან მრავალწერტილიანი იყოს. მრავალი მკვლევარი თანხმდება, რომ ორწერტილიანი კროსოვერი – უფრო ეფექტიანია. ორწერტილიანი კროსოვერი შემდეგნაირად მოდელირდება. დასაწყისში შეარჩევენ პოპულაციიდან ორ მშობლიურ ინდივიდუალს, შემდეგ შემთხვევითი სახით ქრომოსომების შიგნით განისაზღვრება ორი წერტილი (გაწყვეტის წერტილი), რომელშიც ორივე ქრომოსომა სამ ნაწილად იყოფა და მიმოიცვლებიან შუა ნაწილთან. აღწერილი პროცესი გამოსახულია ნახ. 36.-ზე.



ნახ. 36. კროსოვერი (ორი წერტილი)

#### □ მუტაცია.

ჩვეულებრივ GA-ს რეალიზაციისას პირველად იყენებენ კროსოვერის ოპერატორს, შემდეგ კი მუტაციის ოპერატორს, თუმცა შესაძლებელია სხვა ვარიანტებიც. არსებობს აზრი, რომ მუტაციის ოპერატორი ძირითადად ამიეზო ოპერატორს წარმოადგენს. ცნობილია ალგორითმები, რომლებიც მუტაციის გარდა სხვა ოპერატორებს არ იყენებენ (კროსინგოვერი, ინვერსია და სხვ.).

მუტაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს გენების ფორმირებისათვის, რომლებიც წარმოდენილი არ იყო საწყის პოპულაციაში, და ამცირებენ ლოკალურ ოპტიმუმებთან შეკრებადობის რისკს. მუტაცია □ ქრომოსომის გარდაქმნის ოპერაციაა, რომელიც შემთხვევით შეცვლის მის ერთ ან რამდენიმე პოზიციას, გენებს. მუტაციის შედარებით

გავრცელებული სახეობა □ შემთხვევითი შეცვლა ქრომოსომის მხოლოდ ერთი გენის.

შემუშავებელ მეთოდში მუტაცია მოდელირდება შემდეგი სახით. ამორჩევა მშობლიური ინდივიდუალები (ქრომოსომები, შერჩევის ოპერაციით ამორჩეული) და მათი მემკვიდრეები კროსოვერის შემდეგ. თითოეულ ინდივიდუალს შემთხვევითი სახით შეერჩევა გენი, რომლის ადგილზეც ინიშნება ახალი გენი, შემთხვევით შერჩეული დაკავშირებული ალტერნატივების შესაძლო ვარიანტებიდან.

#### □ პოპულაციის განახლება.


კროსოვერის ოპერატორის და მუტაციის ოპერატორის შენდეგ ახალი ინდივიდუალები (შთამომავლები) ჩნდება. ყველა შექმნილი შთამომავალი ფასდება პროექტის ხანგრძლივობის საერთო ღირებულებით, იმისათვის, რომ განვსაზღვროთ ორი საუკეთესო შთამომავალი პოპულაციის განსახლებლად.

შემდეგში ეს შთამომავლები მოწმდება განხორციელებადობაზე. თუ ისინი განხორციელებადი არ არიან, მაშინ კრიტიკული მუშაობისთვის ალგორითმი შემთხვევითი სახით იწყებს ჩატარების რომელიმე დაჩქარებული ვარიანტების ამორჩევას, მოცემული ალტერნატივებიდან ამორჩევის გზით.

თუ შთამომავლები მიიღებიან პოპულაციაში სხვა ინდივიდუალების დუბლიკატებიდან, მაშინ ისინი გადაიყრება, რაც პოპულაციის ნაირგვარობის შენარჩუნებას ეხმარება მისი უცვლელი ზომის დროს.

თუ შთამომავლები პოპულაციაში სხვა ინდივიდუალებთან არ დუბლირებენ, მაშინ ისინი 1 რანგის ინდივიდუალებს ედარებიან. თუ შთამომავლები უკეთესები აღმოჩნდებიან, მაშინ 1 რანგის ინდივიდუალები შეიცვლება ამ შთამომავლებით. თუ შთამომავლები უკეთესები არ არიან ვიდრე 1 რანგის ინდივიდუალები, მაშინ ისინი შეედარებიან მშობლებს. თუ შთამომავლები მშობლებზე უკეთესია, მაშინ მშობლები შთამომავლებით

იცვლებიან, ე. ი. მშობლები პოპულაციიდან განირიდეებიან შემდეგ, მიღებული პოპულაცია ისევ ზრდადობის მიხედვით ხარისხდება (ნახ. 37.).



ნახ. 37. პოპულაციის განახლება

□ **შეჩერების კრიტერიუმები.**

პოპულაცია ექვემდებარება შეფასებას, შერჩევას, გამრავლებასა და განახლებას (ჩანაცვლებას) ვიდრე არ შესრულდება ალგორითმის გაჩერების პირობები. თუ გაჩერების პირობები (თაობების რიცხვი, დრო, საჭირო შედეგის მიღწევა) შესრულებულია, მაშინ ამოირჩევიან ინდივიდუალები შეგუებადობის ფუნქციის უკეთესი მნიშვნელობებით. თუ არა, მიმდინარეობს სელექციის ეტაპზე გადასვლა. საუკეთესო ინდივიდუალები ქმნის ჯგუფს შემდგომი განხილვისთვის. ეს ინდივიდუალები განიცდის კუმშვას ან მოდუნებას რათა მიღწეულ იქნეს ერთი საუკეთესო გადაწყვეტა.

□ **კუმშვა.**

ალგორითმში გამოყენებული მეთოდიკა დაფუძნებულია ქსელური გრაფიკის ყველაზე გრძელი გზის კუმშვაზე. კუმშვა გამოიყენება შემთხვევაში, როცა ქსელური გრაფიკის კუმშვისას პირდაპირი ხარჯების ზრდა ნაკლებია, ვიდრე ეკონომია, მიღებული ირიბი ხარჯების შემცირების გზით.

მიმდინარე პოპულაციაში საუკეთესო გადაწყვეტების კუმშვა მიმდინარეობს ან მუშაობისთვის, რომლებიც ამცირებენ პროექტის

ხანგრძლივობას და უზრუნველყოფენ მის საერთო მინიმალურ ღირებულებას, ან სამუშაოებისთვის, რომლებიც ამცირებენ პროექტის ხანგრძლივობას და ამავე დროს ამცირებენ მის საერთო ღირებულებას.

მოცემულ კვლევაში კუმშვა მიმდინარეობდა შემდეგნაირად:

1. განისაზღვრება კრიტიკული სამუშაოების ღირებულების ცვლილების შედარებით დაბალი სიჩქარით;
2. განისაზღვრება  $\Delta D$ -ს მაქსიმალური მნიშვნელობა კრიტიკული სამუშაოების ჯგუფების ხანგრძლივობის შესაკვეცად;
3. განისაზღვრება არაკრიტიკული გზის სიგრძე და გამოითვლება  $\Delta D_e$ -ს უფრო ეფექტიანი მნიშვნელობა, კრიტიკული სამუშაოების ჯგუფების ხანგრძლივობის შეკვეცის.

$$\Delta D_e = L_c - L_{nc} \quad (2.10.)$$

სადაც,

$L_c$  – კრიტიკული გზის სიგრძე;

$L_{nc}$  – ყველაზე გრძელი არაკრიტიკული გზის სიგრძე;

4. განისაზღვრება  $\Delta D_{op}$  ოპტიმალური მნიშვნელობა კრიტიკული სამუშაოების ჯგუფების ხანგრძლივობის შეკვეცის;

$$\Delta D_{op} = \text{მინიმუმი } \{\Delta D, \Delta D_e\} \quad (2.11.)$$

5. კრიტიკული სამუშაოების ჯგუფების ხანგრძლივობები ერთდროულად იკვეცებ  $\Delta D_{op}$ -ს მნიშვნელობაზე;
6. პროცედურა გრძელდება პროექტის საჭირო ხანგრძლივობის მიღებამდე ან სიტუაციამდე, როცა შემდგომი შემცირება შეუძლებელია.

□ **მოდუნება.**

მიმდინარე პოპულაციაში დასკვნით პროგრამაში საუკეთესო გადაწყვეტის სამუშაოებში გამოიყენება მოდუნების ოპერაცია. მიზანი □ ამოვირჩიოთ არაკრიტიკული სამუშაოების უფრო მაღალი ხანგრძლივობები, პროექტის შესრულების საერთო დროზე გავლენის გარეშე და იმავდროულად პროექტის საერთო ღირებულების შემამცირებელი. ამგვარად საბოლოო გადაწყვეტას უნდა ჰქონდეს პროექტის



შესრულების უმცირესი ღირებულება. მოდუნების მეთოდის შემდეგი სახით მოდელირდება:

1. არაკრიტიკული მოკლე გზის და ღირებულების ცვლილების უფრო მაღალი სიჩქარის განსაზღვრა;
2. არაკრიტიკული სამუშაოების ჯგუფების ხანგრძლივობის მოდუნების მაქსიმალური მნიშვნელობის  $\Delta D'_e$  განსაზღვრა;
3. არაკრიტიკული სამუშაოების ჯგუფების ხანგრძლივობის მოდუნების მაქსიმალური ეფექტური მნიშვნელობების გამოთვლა;

$$\Delta D'_e = L_c - L_{nc}' \quad (2.12.)$$

სადაც


$L_{nc}'$  – ყველაზე მოკლე არაკრიტიკული გზის სიგრძე;

4. არაკრიტიკულ სამუშაოთა ჯგუფების ხანგრძლივობის მოდუნების ოპტიმალური მნიშვნელობების განსაზღვრა:

$$\Delta D_{op}' = \text{მინიმუმი}\{\Delta D', \Delta D'_e\} \quad (2.13.)$$

5. არაკრიტიკულ სამუშაოთა ჯგუფების ხანგრძლივობის  $\Delta D_{op}'$  მნიშვნელობის მიხედვით მოდუნება ერთდროულად;
6. პროცედურა მანამ გრძელდება, ვიდრე შემდგომი მოდუნება.

შემოთავაზებული მეთოდის აღწერის სქემა მოდიფიცირებული განეტიკური ალგორითმების ბაზაზე ნაჩვენებია ნახ. 38.-ზე.



ნახ. 38. შემოთავაზებული მეთოდიკის ბლოკ-სქემა მოდიფიცირებული გენეტიკური ალგორითმის ბაზაზე

## მე-2 თავის დასკვნები

1. მოყვანილია სამშენებლო პროექტები მართვის ძირითადი წარმოდგენები. აღნიშნულია პროექტის კალენდარული გეგმის წამყვანი როლი.
2. დასახულია პროექტის კალენდარული გეგმის ავტომატიზაციისა და ოპტიმიზაციის ამოცანა, მათ რიცხვში, ახალი გამომთვლელი ალგორითმების გამოყენებით.
3. მოტანილია ძირითადი წარმოდგენები CAIP და BIM.

4. გამოვლენილია კალენდარული გეგმის შემუშავების კომპლექსური ავტომატიზაციის შესაძლებლობა პროგრამული საშუალებების ინტეგრაციის საფუძველზე.
5. აშენებული შენობების სხვა პროექტების მონაცემებთან ინტეგრაციის საფუძველზე შემუშავებულია მიმდინარე პროექტის დაგეგმვის პარამეტრების ფორმირების ავტომატიზაციის მეთოდიკა.
6. შენობის ინფორმაციული მოდელის მონაცემების საფუძველზე შემოთავაზებულია მეთოდიკა პროექტის 4D მოდელის შექმნის ავტომატიზაციისთვის.
7. გენეტიკური ალგორითმების საფუძველზე შემოთავაზებულია პროექტის სამუშაოთა შესრულების სტრატეგიის ალტერნატივების და პროექტის გეგმის ოპტიმიზაციის ანალიზი.
8. შემოთავაზებულია სამუშაოთა ხანგრძლივობის კუმშვისა და მოდუნების მეთოდიკები პროექტის ხანგრძლივობის ოპტიმიზაციისას.
9. პროექტის გეგმის ოპტიმიზაციის შემუშავებული მეთოდიკის ბაზაზე შემოთავაზებულია პროექტის ოპტიმიზაციის, ან საჭირო ხანგრძლივობის, ან უმცირესი ღირებულების, ან უმცირესი ხანგრძლივობის მულტი სცენარი.
10. შემოთავაზებულია სამუშაო სივრცეების კლასიფიკაციის სქემა.
11. შენობის ინფორმაციული მოდელის საფუძველზე შემოთავაზებულია სამუშაო სივრცეების სამგანზომილებიან ვიზუალურ რეჟიმში და დროში ასახვის მოდელი, სამუშაო სივრცეთა რაიმე კონფლიქტის განსაზღვრისათვის.


### **თავი 3. მშენებლობის პროექტირების და კალენდარული დაგეგმარების ავტომატიზაციის ინტეგრირებული მეთოდის პროგრამული ვერიფიკაცია და რეალიზაცია**

მოცემულ თავში მოყვანილია შემუშავებული პროგრამის კომპონენტების დაწვრილებითი აღწერა და შემოთავაზებული GA\* მეთოდის გაანგარიშების შედეგის შედარება პროექტის კალენდარული გეგმის ოპტიმიზაციის სხვა მეთოდებთან, ასევე მსჯელობა რეალურ პროექტზე შემოთავაზებული მშენებლობის პროექტირებისა და კალენდარული დაგეგმარების ავტომატიზაციის ინტეგრირებული მოდელის გამოყენება.

#### **3.1. კალენდარული გეგმის ოპტიმიზაციის შემუშავებული პროგრამის კომპონენტები**

მშენებლობის დაგეგმარების ოპტიმიზაციის ამოცანის გადაწყვეტის მეთოდები, რეალურ პროექტში თავისუფლად უნდა იყოს გამოყენებული, რომ გამარტივდეს მათი გამოყენება (სურ. 4.). ამ მეთოდების შემუშავებისას გათვალისწინებული იყო სხვა პროგრამულ უზრუნველყოფასთან ინტეგრაციის მოკლე დროში რთული გამოთვლების ჩატარების და მომხმარებლისთვის მოსახერხებელი ინტერფეისის შექმნის შესაძლებლობის უზრუნველყოფა. ამ მიზეზებით შემოთავაზებული მეთოდის პროგრამული რეალიზაციისთვის შერჩეულ იქნა ენა Visual Basic.

კომპიუტერული არე 4 დანართისაგან შედგება, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არის და ფართო გამოყენება აქვს საპროექტო პრაქტიკაში: Autodesk Revit, Autodesk Navisworks, Microsoft Excel and Microsoft Project.



**სურ. 4. მშენებლობის დაგეგმარების ოპტიმიზაციის მაგალითი**


Autodesk Revit გამოიყენება BIM შენობის ინფორმაციული მოდელირებისთვის. Autodesk Navisworks გამოიყენება საპროექტო მონაცემების ინტეგრირებული ნაკრებიდან რაოდენობრივი ანალიზის დაწვრილებითი სამუშაო წიგნების ფორმირებისთვის. გარდა ამისა, Autodesk Navisworks გამოიყენება მშენებლობის 4D მოდელის მოდელირებისთვის და 3D მოდელის კომპონენტების გადაკვეთაზე შემოწმებისთვის. Microsoft Excel გამოიყენება სხვადასხვა ფაილებიდან და დოკუმენტებიდან ინფორმაციის გაერთიანებისთვის, ასევე, ინფორმაცია და მონაცემთა შენახვის აუცილებელი სტრუქტურის ორგანიზებისთვის. Microsoft Project გამოიყენება კალენდარული გეგმის გაანგარიშებისთვის, სამუშაოთა დაწყებისა და დასრულების თარიღის გამოსათვლელად და პროექტის საერთო ხანგრძლივობის განსაზღვრისთვის. ეს ოთხი დანართი დაკავშირებულია ერთმანეთთან მონაცემთა განზოგადოებისა და გადაცემისთვის.

Visual Basic წარმოადგენს შემუშავების ინტეგრირებულ არეს, რომელიც შეიცავს დანართის დამუშავების პროცესის შემამსუბუქებელ და დამაჩქარებელ ინსტრუმენტების ნაკრებს. ამავე დროს, დამუშავების პროცესი პროგრამის დაწერაში კი არ მდგომარეობს (პროგრამული

კოდირება), არამედ დანართის პროექტირებაში. თითოეული პროგრამული დანართი არსებობს როგორც პროექტი, რომელიც თავის თავში შეიცავს მომხმარებლის ინტერფეისს, რომელიც შეყვანა-გამოყვანა ინფორმაციის და მონაცემთა დამუშავების პროგრამული კოდის ურთიერთქმედების საშუალებას აძლევს სისტემასთან.

დამუშავებული პროგრამა მუშაობს OC Windows-ში და აქვს ძირითადი ეკრანი, რომელიც ნახ. 3.2.-ზე არის გამოსახული. ინტერფეისი შედგება მენიუს სტრიქონისა და ინსტრუმენტების პანელისაგან. მენიუს სტრიქონი შემდეგ პუნქტებს შეიცავს: ფაილი, გამართვა, სახეობა, ფორმატი, ჩაყენება, მოცილება და დახმარება. მენიუს სტრიქონის ქვეშ განლაგებულია ინსტრუმენტების პანელის უბანი, რომლის თითოეული ღილაკი განკუთვნილია კონკრეტული ბრძანების სწრაფი შესრულებისთვის.

ახალი პროექტის შექმნის ეკრანი განკუთვნილია პროექტზე ძირითადი ინფორმაციის შესატანად, რომელიც მშენებლობის გრაფიკის ოპტიმიზაციისთვის გაანალიზდება. ეს შეიძლება გაკეთდეს, „new project“ პუნქტის არჩევით ძირითადი მენიუს „File“ ღილაკზე, შემდგომში ახალი პროექტის ეკრანი ასახული იქნება, როგორც სურ 5.-ზე არის ნაჩვენები.




სურ. 5. ახალი პროექტის შექმნა

ეს ეკრანი მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს შეიტანოს ინფორმაცია პროექტზე, ისეთი, როგორცაა პროექტის დასახელება,

სამუშაოთა რაოდენობა, ვარიანტების მაქსიმალური რაოდენობა (მშენებლობის მეთოდების რაოდენობა) პროექტის დაწყების თარიღი.

პროექტის შესახებ ძირითადი ინფორმაციის შეტანის შემდეგ გამოჩნდება ახალი ეკრანი, სურ. 6.-ზე ნაჩვენები. ეკრანი მომხმარებელს საშუალებას აძლევს შეიტანოს აუცილებელი მონაცემები სამუშაოებზე, პროექტის ირიბ ხარჯებზე და გენეტიკური ალგორითმის პარამეტრებზე.



**სურ. 6. პროექტის სამუშაოების მონაცემთა შეტანა**

სამუშაოებზე აუცილებელი მონაცემები თავის თავში მოიცავს პროექტში სამუშაოს თითოეული სახეობის აღწერას, მის იდენტიფიკატორს ID, წინამორბედ სამუშაოებს, სამუშაოთა შორის კავშირებს (დასრულება-დაწყება; დაწყება-დაწყება; დასრულება-დასრულება; დაწყება-დასრულება), შესვენებებს (ლაგი) სამუშაოთა შორის და ალტერნატივებს (პარამეტრების ვარიანტები) სამუშაოს თითოეული სახეობისთვის, რომლებიც მოიცავს ურთიეთდაკავშირებულ ხანგრძლივობასა და ღირებულებას.

მონაცემთა შეყვანის პოცესის დასრულების შემდეგ, მონაცემები შეიძლება რედაქტირებული და გაახლებული იყოს. მომხმარებელმა შეიძლება დაამატოს ახალი სამუშაოები მენიუს „Insert“ და ასევე შეუძლია ამოიღოს მონაცემები მენიუს „Delete“ საშუალებით.

განგარიშებაზე პროგრამის გასაშვებად, როგორც სურ. 7.-ზე ნაჩვენები, არსებობს 3 ღილაკი (Least cost, Target time, Least time). თითოეული ღილაკის დანიშნულებაა ანგარიშის განსაზღვრული ალგორითმის რეალიზაცია.

□ **მინიმალური ღირებულება (Least cost)**

ალგორითმი განსაზღვრავს თითოეული სამუშაოს ხანგრძლივობას და სამუშაოთა ხანგრძლივობის ოპტიმალურ შეხამებას, რომელსაც მივყავართ პროექტის მინიმალური საერთო ღირებულების და მისი შესაბამისი მინიმალური ხანგრძლივობის გადაწყვეტასთან.

□ **საჭირო ხანგრძლივობა (Target time)**

ალგორითმი თითოეული სამუშაოს ხანგრძლივობას და სამუშაოთა ხანგრძლივობის ოპტიმალურ შეხამებას საზღვრავს, რომელსაც მივყავართ პროექტის საჭირო ხანგრძლივობის და მისი მინიმალური ღირებულების გადაწყვეტასთან.


□ **მინიმალური ხანგრძლივობა (Least time)**

ალგორითმი განსაზღვრავს თითოეული სამუშაოს და სამუშაოთა ოპტიმალური შეხამების ხანგრძლივობას, რომელსაც მივყავართ პროექტის მინიმალური ხანგრძლივობის და მისი მინიმალური საერთო ღირებულების გადაწყვეტასთან.

განგარიშების შედეგების გამოყვანისა და დამუშავების შემდეგ შესაძლებელია მოქმედების 4 ვარიანტი: Export to MS Project, Export to MS Excel, Compare results, Return to input Data (ნახ. 3.4.). მოცემული მონაცემების შედეგების ექსპორტი Microsoft Project-ში გამოიყენება იმისთვის, რომ გამოვიყენოთ მიღებული შედეგები სამუშაოთა ვიზუალიზაციისას დროის სკალაზე, გამოყენებული რესურსების ჰისტოგრამის რეცენზირებისას, სხვადასხვაგვარი ტიპის პროექტების ანგარიშების შექმნისას, პროექტის საერთო მსვლელობაზე რესურსების მიუწვდომლობის გავლენის გამოთვლისას და ა.შ. Microsoft Excel-ში მოცემული შედეგების ექსპორტი გამოიყენება მონაცემთა შემდგომი იმპორტისათვის Autodesk Navisworks-ში




და პროექტის 4D დაგეგმვისას 3D მოდელთან შეერთებისთვის. შესაძლებელია გაანგარიშების შედეგების ვარიანტების წარმოდგენა გადაწყვეტის შედარებისა და მიღებისათვის. გათვალისწინებულია საწყისი მონაცემების რედაქტირებასთან დაბრუნება ფორმირებისასა და გაშვებისთვის საწყისი პარამეტრების სხვა ვარიანტის გაანგარიშებაზე.



სურ.7. შედეგების გამოტანა

სამუშაო სივრცეების ფორმისა და ზომების შექმნის და სამუშაო სივრცეების ადგილმდებარეობის განსაზღვრის პროცესის ავტომატიზაციისთვის Autodesk Revit არეში შემუშავებული იქნება ეკრანის მაფორმირებელი ფუნქცია (პლაგინი), მონაცემთა შეტანისთვის (სურ.8.).



სურ.8. სამუშაო სივრცეების შეტანა

სამუშაო სივრცეების შესახებ აუცილებელი მონაცემები მოიცავს შემდეგს:

- ID კომპონენტი;
- სამუშაო სივრცის Form 1 ან Form 2;
- სამუშაოთა სივრცეების თითოეული საჭირო ტიპისთვის x, y ზომები: Labor, Equipment, Supported, Protected.

### 3.2. შემოთავაზებული მეთოდის დადასტურება

რეალურ პროექტში პროგრამის გამოყენების წინ ჩატარებული იყო სამუშაოს ალგორითმის სიზუსტის შეფასება და შედეგების სისწორე. თეორიული მსჯელობის და პროგრამული დანართის ლოგიკის დასადასტურებლად ჩატარდა მოდელის წინასწარი შემოწმება სხვადასხვა მაგალითების საფუძველზე ლიტერატურიდან.

ვერიფიკაციის ეს ეტაპი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგანაც ის გვეხმარება გავასწოროთ შეცდომები და განვსაზღვროთ პრობლემური უბნები პროგრამის დასაზუსტებლად. ამგვარად, მოცემული განყოფილება მოიცავს ამოცანების რამდენიმე გადაწყვეტას ოპტიმიზაციის შემოთავაზებული მოდელის დახმარებით და მათ შედარებას წინამორბედი მოდელის დახმარებით მიღებულ გადაწყვეტებთან.

**მაგალითი №1.** მოცემული მაგალითი მოყვანილი იყო [77] სამუშაოში. მაგალითი ამოხსნილია მათემატიკური მოდელის გამოყენებით 8 სამუშაოზე დაყრდნობით. მაგალითის მონაცემები მოცემულია ცხრილი 12.-ში. ამ ამოცანაში პროექტის დასრულების ნორმალური დრო იყო დროის 38 ერთეული, ხოლო ირიბი დანახარჯები დროს ერთეულში ღირებულების 70 ერთეული, პროექტის საერთო ღირებულებამ შეადგინა 3790 ღირებულების ერთეული.

მათემატიკური მოდელის გამოყენების შედეგები ედარებოდა 2 სცენარისთვის ალგორითმის ხელით შემოწმების შედეგებს. პირველ

სცენარს ოპტიმალური ღირებულების ძებნა წარმოადგენს. შედეგად, ღირებულება 3760 შეადგენს, ხოლო პროექტის შესაბამისი ხანგრძლივობა 35-ის ტოლია. გაანგარიშების მეორე სცენარს პროექტის საჭირო ხანგრძლივობის უზრუნველყოფა წარმოადგენს და 36-ის ტოლია. ხელით გაანგარიშებით მიღებული შედეგები ორივე სცენარისთვის ზუსტად ემთხვევა შემოთავაზებული მეთოდიკით ავტომატიზირებული გაანგარიშების შედეგებს. ეს გვიჩვენებს, რომ შემოთავაზებული მეთოდიკა მუშაობს ზუსტად და უნარი შესწევს გადალახოს ყველა შესაძლო სიტუაცია კუმშვის პროცესში.

ცხრილი 12.

*I მაგალითის მონაცემები*

სამუშაო	წინამორბედი	ხანგრძლივობა		პირდაპირი ხარჯები	
		ნორმალური	შეკუმშული	ნორმალური	შეკუმშული
A	-	12	10	200	360
B	-	12	10	100	340
C	B	10	9	200	250
D	A	13	10	240	600
E	C,D	7	7	∞	∞
F	E	6	3	120	300
G	B	14	12	140	250
H	G	8	5	140	350

**მაგალითი №2.** მოცემული მაგალითი მოყვანილი იყო [117] სამუშაოში. მაგალითი ამოხნილია მათემატიკური მოდელის საშუალებით. მაგალითის მონაცემები მოყვანილია ცხრილი 13.-ში. ამ ამოცანაში პროექტის დასრულების ნორმალური დრო □ დროის 20 ერთეულია, ხოლო ირიბი დანახარჯების □ 25000 ღირებულების ერთეული დროის ერთეულში, პროექტის საერთო ღირებულება 2044000 ღირებულების ერთეულია.

ცხრილი 14.-ში მოყვანილია შემოთავაზებული მეთოდიკის GA გამოყენებით მიღებული შედეგების შედარება [117] სამუშაოში წარმოდგენილ შედეგებთან.

შემოთავაზებული მეთოდიკის გამოყენებით მიღებულმა შედეგებმა უკეთესი გადაწყვეტა მოგვცა მათემატიკური მოდელის გამოყენების

შედეგებთან შედარებით. ამასთანავე უნდა აღნიშნოთ, რომ მათემატიკური მოდელები გვაძლევს დამაკმაყოფილებელ გადაწყვეტას მცირე ზომის პროექტების დაგეგმვის ოპტიმიზაციის ამოცანისთვის. ისინი არაეფექტიანი ხდებიან, როგორც კი ამოცანის ზომა იზრდება.

ცხრილი 13.

*მე-2 მაგალითის მონაცემები*

სამუშაო	წინამორბედები	ხანგრძლივობა		პირდაპირი ხარჯები	
		ნორმალური	შეკუმშული	ნორმალური	შეკუმშულ
A	-	15	13	225000	265000
B	A	2	1	26000	28000
C	-	14	10	210000	290000
D	C	2	1	26000	28000
E	-	2	1	30000	50000
F	E	2	1	16000	17000
G	F	4	3	52000	54000
H	-	3	1	45000	85000
I	H	2	1	16000	17000
J	I	5	3	65000	69000
K	-	3	2	45000	65000
L	K	4	2	32000	34000
M	L	3	1	39000	43000
N	-	5	2	75000	135000
O	N	6	4	78000	82000
P	-	5	3	75000	105000
Q	P	7	5	91000	95000
R	-	2	1	20000	35000
S	-	5	3	50000	80000
T	-	3	1	24000	26000
U	T	2	1	20000	35000
V	-	12	9	180000	240000
W	V	8	6	104000	108000

ცხრილი 14.

*მე-2 მაგალითის შედეგები*

ამოცანა	მათემატიკური მოდელი [117]		GA*	
	დრო	ღირებულება	დრო	ღირებულება
მინიმალური ღირებულება	16	1990000	16	1990000
მინიმალური დრო	15	2361000	15	2007000

მაგალითი №3. მოცემული მაგალითი მოყვანილი იყო [95, 122] სამუშაოში. მაგალითი ამოხნილია გენეტიკური ალგორითმის გამოყენებით. მონაცემები გაანგარიშებისთვის მოცემულია ცხრილი 15.-ში.

ცხრილი 15.

მე-3 მაგალითის მონაცემები

სამუშაო	წინამორბედები	ალტერნატივები	ხანგრძლივობა	პირდაპირი ხარჯები
1	—	1	14	23000
		2	20	18000
		3	24	12000
2	1	1	15	3000
		2	18	2400
		3	20	1800
		4	23	1500
		5	25	1000
3	1	1	15	4500
		2	22	4000
		3	33	3200
4	1	1	12	45000
		2	16	35000
		3	20	30000
5	2,3	1	22	20000
		2	24	17500
		3	28	15000
6	4	1	14	40000
		2	18	32000
		3	24	18000
7	5, 6	1	9	30000
		2	15	24000
		3	18	22000

ცხრილი 16.-ში შედარებულია შემოთავაზებული მეთოდით GA და სამუშაოებში [95, 122] GA გამოყენებით მიღებული შედეგები.

ცხრილი 16.

მე-3 მაგალითის შედეგები

ამოცანა	GA [122]		GA [95]		GA*	
	დრო	ღირებულება	დრო	ღირებულება	დრო	ღირებულება
მინიმალური ღირებულება	67	225300	68	220500	68	220500

მინიმალური დრო	-	-	60	233500	60	233500
საჭირო დრო	63	225500	63	225500	63	225500
			66	236500	66	227500
			67	224000	67	224000

სამი გაანგარიშების შედეგების შედარებით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მინიმალური ღირებულება, მიღებული შემოთავაზებული მეთოდიკის გამოყენებით უკეთესია, ვიდრე [122] სამუშაოს შედეგი. შემოთავაზებული მეთოდიკით მიღებული მინიმალური დროისა და მინიმალური ღირებულების ძეგნის შედეგები ისეთივეა, როგორც [95] სამუშაოთი მიღებული.

ამავე დროს, მოცემული დროისათვის ღირებულების განსაზღვრის ამოცანისთვის გადაწყვეტა, შემოთავაზებული ალგორითმის მიხედვით (66 დღე 227500 ღირებულების დროს), უკეთესია, ვიდრე ადრე [95] სამუშაოში მიღებული (66 დღე 236500 ღირებულების დროს).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედარება მიეკუთვნება გენეტიკური ალგორითმების პარამეტრებს. [95] სამუშაოში პოპულაციის რაოდენობა 200 შეადგენს, ხოლო თაობათა რაოდენობა ტოლია 1000-ის. [122] ნაშრომში პოპულაციის რაოდენობა 500 შეადგენს, ხოლო თაობათა რიცხვი 100. მოცემულ ნაშრომში პოპულაციის რიცხვია 100-ია, ხოლო თაობათა – 50. სხვა სიტყვებით პოპულაციის და თაობათა რიცხვი შემოთავაზებულ მეთოდიკაში ნაკლებია, ვიდრე სხვა მოდელებში, ეს კი იმას ნიშნავს, რომ შემოთავაზებულმა დაჩქარებული გენეტიკური ალგორითმის მეთოდიკამ შეიძლება გაანგარიშების დრო შეამციროს.

**მაგალითი №4.** პროექტი 18 სამუშაოსგან შედგება და საბაზო მაგალითს წარმოადგენს, რომლებიც რამდენიმე წინამდებ კვლევაშია გამოყენებული. პირველად ის იყო გამოთვლილი [59] ნაშრომში, ხოლო შემდეგ გამოყენებული სხვა რიგ კვლევებში [53, 65, 120, 121]. ამგვარად, პროექტი მისაღები მაგალითია მოცემული კვლევის შესადარებლად ანალოგიური კვლევების შედეგებთან.

პროექტის საწყისი მონაცემები ნაჩვენებია ცხრილი 17.-ში. მაგალითი ამოხსნილია ევოლუციური ალგორითმის გამოყენებით.

ცხრილი 3.6.

მე-4 მაგალითის მონაცემები

ალტერნატივები - მშენებლობის მეთოდები											
სამუშაო	წინამორბედები	მეთოდი 1		მეთოდი 2		მეთოდი 3		მეთოდი 4		მეთოდი 5	
		D	C	D	C	D	C	D	C	D	C
1	—	24	1200	21	1500	16	1900	15	2150	14	2400
2	—	25	1000	23	1500	20	1800	18	2400	15	3000
3	—	33	3200	22	4000	15	4500	—	—	—	—
4	—	20	3000 0	16	3500 0	12	45000	—	—	—	—
5	1	30	1000 0	28	1500 0	24	17500	22	20000	—	—
6	1	24	1800 0	18	3200 0	14	40000	—	-	—	—
7	5	18	2200 0	15	2400 0	9	30000	—	—	—	—
8	6	24	120	21	208	16	200	15	215	14	220
9	6	25	100	23	150	20	180	18	240	15	300
10	2,6	33	320	22	400	15	450	—	—	—	—
11	7,8	20	300	16	350	12	450	—	—	—	—
12	5, 9, 10	30	1000	28	1500	24	1750	22	2000	—	—
13	3	24	1800	18	3200	14	4000	—	—	—	—
14	4, 10	18	2200	15	2400	9	3000	—	—	—	—
15	12	16	3500	12	4500	—	—	—	—	—	—
16	13, 14	30	1000	28	1500	24	1750	22	2000	20	3000
17	11, 14, 15	24	1800	18	3200	14	4000	—	—	—	—
18	16, 17	18	2200	15	2400	9	3000	—	—	—	—

შრომები [59, 65]-ში მიღებულ შედეგებთან შედარების გზით სამუშაოებისთვის პირველად დადგენილი იყო მათი უმცირესი ღირებულების ვარიანტი. პროექტის საერთო პირდაპირი ღირებულება ამ შემთხვევაში ტოლია 99740 \$, ხოლო პროექტის ხანგრძლივობა 169 დღეს შეადგენს. თუ ყოველდღიურად გავითვალისწინებთ ირიბ ღირებულებებს ღირებულების 200 ერთეულად დროს ერთეულში, მაშინ პროექტის საერთო ღირებულება 133540 \$ იქნება. გაანგარიშების მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ მოგვეძებნა პროექტის რეალიზაციის ბოლო ვადისთვის □ 110 დღე მინიმალური ღირებულება. მოცემული მეთოდიკით გაანგარიშების მეთოდიკამ აჩვენა, რომ მინიმალური ღირებულება, ისევე როგორც

წინამორბედ სამუშაოებში, ტოლია 128270 \$. შემოთავაზებული ალგორითმით გაანგარიშებაში შედეგი მიღებული იყო უფრო სწრაფად, ვიდრე სხვა კვლევებში, რომლებიც პოპულაციის რიცხვს 100-ის ტოლად და თაობათა რიცხვს 1000-ის ტოლად.

სადაც D- სამუშაოს ხანგრძლივობა;

C - პირდაპირი სამუშაოს ღირებულება.

ნაშრომი [53]-ში წარმოდგენილია 4 ევოლუციური ალგორითმი, რომლებიც განკუთვნილია გადაწყვეტის ოპტიმიზაციისთვის:

- ალგორითმი (PSO);
- ალგორითმი (ACO);
- ალგორითმი (SFL)
- გენეტიკური ალგორითმი GA.

ირიბი ხარჯები დადგენილია 500 \$-ის მნიშვნელობაზე. ამ ოთხი ალგორითმის გამოყენების და შემოთავაზებული ალგორითმის GA\* შედეგების შედარება მოცემულია ცხრილი 18.-ში.

ცხრილი 18.

**მე-4 მაგალითის შედეგები**

ალგორითმი	მინიმალური ღირებ-ბა	საშუალო ღირებულება	მინიმალური ხანგრძლივობა	საშუალო ხანგრძლივობა	წარმატების %	გამომუშავების დრო, წმ
PSO	161270	161940	110	112	60	15
ACO	161270	166675	110	122	20	10
SFL	161270	161270	110	110	100	8
GA	162270	164772	113	120	0	16
GA*	161270	161619	110	111	80	5

თითოეული ალგორითმის გამოყენებით მიმდინარეობდა 20-20 გამოცდა. წარმატების პროცენტი წარმოადგენს გამოცდის ფარდობას მიზნობრივი მიღწევის მნიშვნელობასთან 110 დღე გამოცდის საერთო რაოდენობასთან. როგორც ცხრილი 18.-შია ნაჩვენები, შემოთავაზებულმა ალგორითმმა GA\* სხვა უმრავლესობა ალგორითმებს აჯობა SFL-ის გარდა. საწყისი GA (%) წარმატების პროცენტთან შედარებით შემოთავაზებული



GA\*-ს წარმატების პროცენტი 80% შეადგენს. პროექტის ღირებულებამ მის მინიმალურ 161,270 \$ მნიშვნელობას მიაღწია. დამუშავების საშუალო დრომ 5 წამი შეადგინა, რაც მცირეა, ვიდრე სხვა ალგორითმებში. იმ დროს, როცა ალგორითმენმა PSO და ACO შეძლეს წარმატების მიღწევა 60% და 20% ალბათობით, საშუალო საერთო ღირებულება ოცივე გამოცდისთვის მეტი იყო, ვიდრე შემოთავაზებული ალგორითმის.

სამუშაო [120]-ში ოპტიმიზაციის ამოცანის გადაწყვეტისთვის გამოიყენებოდა ალგორითმი ირიბი ხარჯები დადგენილი იყო 1500\$ დონეზე. ცხრილი 19. გვიჩვენებს [121] სამუშაოში გენეტიკური ალგორითმის გამოყენებით მიღებული შედეგების შედარებას შემოთავაზებულ ალგორითმის GA და ალგორითმის ACS. შედეგებთან, რომელიც ნაშრომ [120]-ში გამოიყენებოდა.

ცხრილი 19.

*მე-4 მაგალითის შედეგები*

ალგორითმი	პოპულაციის რიცხვი	თაობათა რიცხვი	ხანგრძლივობა	ღირებულება
GA	50	500	100	287720
			101	284020
			104	280020
			110	273720
ACS	10	200	100	283320
			101	279820
			104	276320
			110	271320
GA*	100	50	100	283320
			101	279820
			104	276320
			110	271270

როგორც ცხრილი 19-ში ნაჩვენებია, შემოთავაზებული ალგორითმი GA\* და ACS გადაამეტა GA. შემოთავაზებული GA\* ალგორითმით მიღებული გადაწყვეტა □ 110 დღე და 271270 \$, ACS-ის გამოყენებით მიღებული გადაწყვეტის დიაპაზონის გარეთაა და ის უკეთესია ვიდრე 110 დღე და 271320\$. ამის გარდა, GA\* მოდელის თაობათა რაოდენობა ნაკლებია, ვიდრე GA მოდელის და ACS მოდელის თაობათა რაოდენობა.

**მაგალითი №5.** მოცემული მაგალითი წარმოდგენილი იყო ნაშრომი [44]-ში. მაგალითი ამოხსნილია რიგი ევოლუციური ალგორითმების გამოყენებით:

EMS ალგორითმები - Electromagnetic Scatter Search;

GMASA ალგორითმები - Genetic Memetic Algorithm with Simulated Annealing;

GASAVNS ალგორითმები - Genetic algorithm with simulated annealing and variable neighborhood search;

GASA ალგორითმები - Genetic Algorithm with Simulated Annealing;

HGAQSA ალგორითმები - Hybrid Genetic Algorithm with Quantum Simulated Annealing.

მაგალითისთვის მონაცემები მოყვანილია ცხრილი 20.-ში პროექტის ირიბი ხარჯი 1200 \$/დღეში. პირდაპირი ხარჯები წარმოდგენილია ათასეულ ერთეულებში.

ცხრილი 20.

**მე-5 მაგალითის მონაცემები**

ალტერნატივები (მშენებლობის მეთოდები)							
სამუშაო	წინამორბედები	მეთოდი 1		მეთოდი 2		მეთოდი 3	
		D	C	D	C	D	C
1	—	15	60	12	C	D	C
2	1SS+5, 1FF	25	30	20	68	—	—
3	1SS+10, 1FF+3, 2SS+10, 2FF+3	25	50	20	38	15	44
4	3FS	12	17	9	54	15	60
5	4FS	6	3	—	21	—	—
6	1FS	12	27	9	—	—	—
7	6SS, 6FF	6	8	—	32	—	—
8	7FS	20	44	15	—	—	—
9	4FS, 8FS	12	15	9	48	12	54
10	5FS, 9FS	6	3	—	22	—	—
11	5FS, 10FS	1	0.5	—	—	—	—
12	12PS	25	95	20	—	—	—
13	12SS+6	15	34	12	105	15	109
14	12FF+8, 13FF+8	12	9	9	41	9	51
15	12SS+6, 12FF 14FS-6, 14FF+10	25	30	15	13	—	—
16	15SS+10, 15FF	40	78	35	38	12	42
17	15PS-10, 15FF	25	23	20	85	30	90
18	15PS	20	14	15	26	12	35

19	15FS+12	25	14	20	18	12	24
20	17SS+10, 17FF+5	20	38	15	19	15	24
21	16FS-10, 16FF, 20SS+12, 20FF+2	40	42	35	42	—	—
22	21SS+15, 21FF+2	40	36	30	50	30	58
23	22PS-15, 22FF	40	65	35	48	25	56
24	23SS+15, 23FF+5	9	7	—	74	25	79
25	23PS-10, 23FF	25	45	20	—	—	—
26	25PS-10, 25FF	25	50	20	51	15	59
27	26PS-10, 26FF	30	60	25	58	15	64
28	27PS-10, 27FF	12	9	9	72	20	78
29	18PS, 19PS, 24PS, 28PS	1	0.5	—	13	7	18

სადაც D - სამუშაოს ხანგრძლივობაა;

C - სამუშაოს პირდაპირი ღირებულება (\$/1000);

SS- დასაწყისი-დასაწყისი;

FF - დასასრული-დასასრული;

FS - დასასრული-დასაწყისი.

პროექტის 29 სამუშაოსთვის მაგალითი მოიცავს ლოგიკური ფარდობის ზოგიერთ ტიპს და შეიცავს ლაგს ზოგიერთ ამ დამოკიდებულებაში, რაც დაგეგმარების პროგრამის შესაძლებლობების დემონსტრაციისთვის მნიშვნელოვანია. ევოლუციური ალგორითმების შედეგების ანალიზი ნაჩვენებია ცხრილი 21.-ში.

ცხრილი 21.

*მე-5 მაგალითის შედეგები*

ალგორითმი	მინიმ.ღირებულება	საშუალო ღირებულება	მინიმ. ხანგრძლივობა	საშუალო ხანგრძლივობა	წარმატების %
EMB	1237000	1243100	255	242	0
GA	1226200	1228600	251	256	0
ACO	1226200	1228200	251	253,	0
PSO	1226200	1226880	236	245	10
GMASA	1226200	1226200	236	242	20
GASAVNS	1226200	1227360	236	245	10
GASA	1226200	1226200	236	242	20
HGAQSA	1226200	1226200	236	244	20
GA*	1226200	1229980	236	242	40

შედეგები თავის თავში მოიცავს თითოეული ალგორითმის 10 გამოცდას. შედეგების გაანალიზების შემდეგ შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ შემოთავაზებული ალგორითმი GA\* წარმოადგენს საუკეთესოს, რადგან ის გამოცდის უმეტესებაში ოპტიმალურ გადაწყვეტას ეთანადება და გაანგარიშების პროცესის მინიმალური დრო აქვს, როგორც ცხრილი 22.-შია მოცემული.

ცხრილი 22.

*ერთი გამოცდის ხანგრძლივობა*

ალგორითმი	წამები
EMS	67
GA	24
ACO	8
PSO	8
GMSA	8
GASAVNS	8
GASA	5
HGAQSA	2
GA*	5

**3.3. შემუშავებული მეთოდის პრაქტიკული აპრობაცია „Allianc Highline Tbilisi“ -ის შენობის არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირების განხორციელებისას**

განხილულია „Allianc Highline Tbilisi“ შენობის ფასადის მოწყობის პრაქტიკული მაგალითი, სამონტაჟო სამუშაოების ოპტიმალური მართვის თვალსაზრისით (სურ. 9.).

Alliance Highline მრავალფუნქციური კომპლექსი არის მიმდინარე პროექტი ქ. თბილისში, რომელსაც ახორციელებს დეველოპერული ფირმა „ალიანს ჯგუფი“. კომპლექსი გამოირჩევა თავისი ექსკლუზიური არქიტექტურით და შედგება სამი კოშკისაგან: პირველი 40-სართულიანია, მეორე 33-სართულიანი, მესამე კი - 26-სართულიანი. ყველაზე პატარა

კომპი საერთაშორისო სასტუმრო ბრენდი "ვინდემ გარდენი" (Wyndham Garden), ხოლო დანარჩენ კომპეზში პრემიუმ კლასის აპარტამენტები განთავსდება. პროექტის ჯამური საინვესტიციო ღირებულება 75 მილიონი დოლარია.

კომპანია „მოდერნ ლაინი“-ის მიერ ჩატარდა მშენებარე ობიექტის ფასადის მოსაპირკეთებელი სამუშაოები. დამკვეთის მოთხოვნების გათვალისწინებით შექმული იქნა ფასადის თანამედროვე კომპოზიტური მასალები. (ვენტილირებადი სისტემა - AGROB BUCHTAL Keratwin k20 კერამიკული ფილა).



*სურ. 9. „Allianc Highline Tbilisi“-ის შენობა*

- ფასადზე მოსაპირკეთებელი მასალების ხარჯვის მინიმიზაციის მიზნით შემუშავდა ოპტიმიზაციის მოდელი ფილების ზომების „დისკრეტული პარამეტრული რიგის ოპტიმალური უნიფიკაციის ამოცანის“ სახით.

- დაპროექტებული ობიექტის არარეგულარული სტრუქტურის ხასიათის გამო (ფასადის წახნაგების არასტანდარტული ზომები) საჭირო

გახდა ფასადის განშლების დეტალიზაცია და მოწყობის ალგორითმის შემუშავება.

- მოდულური კორდინაციის გართულებისა და კლასიკური ოპტიმიზაციის მეთოდებით მათემატიკური მოდელის შეუსაბამობის გამო შერჩეულ იქნა ე. წ. იმიტაციური მოდელირების მეთოდი, რომელმაც საშუალება მოგვცა გათვალისწინებულიყო ძნელად ფორმალიზებული (ადამიანური „კაპრიზები“) მოთხოვნები.

### **პროგრამული უზრუნველყოფა.**

კომპიუტერული პროგრამა დაწერილია ალგორითმული ენაზე „JavaScript (დანართი 1), (ფრეიმვორკი „GatsbyJS“) ოპტიმალური განშლისა და ვარიანტების გადათვლის ალგორითმის გამოყენებით, პროგრამა უზრუნველყოფს ნებისმიერი მითითებული წახნაგის მოპირკეთებისთვის საჭირო შესაბამისი ფილების შერჩევას, განთავსებისა და დამუშავების (ჩამოჭრის) მოდელირებას.

- Alliance Highline Algorithm

- ალგორითმის მუშაობის პრინციპი:

- ალგორითმი ცდილობს რომ იპოვოს მოცემული ფილების სიგრძეებიდან ისეთი კომბინაცია, რომ რაც შეიძლება ნაკლები ფილის სიგრძე დაეკარგოს მაშინ, როდესაც ამ კომბინაციას შეყვანილ წიბოს სიგრძეს შევუსაბამებთ.

- მოცემული ფილების პარამეტრებია:

- ფილების სიგრძეები: 120 125 130 135 140





- წიბოს სიგრძე: 4001სმ

- ფილების ზომები წიბოსთვის: 135 135 135




- ჩამოსაჭრელი ზომა ბოლო ფილიდან: 4

- შედეგი ფაქტიურად სამონტაჟო გეგმის ციფრული პროტოტიპია, რომელიც შეიძლება იყოს გამოხატული ციფრულად, გრაფიკულად და მომავალში 3D რობოტული ტექნოლოგიით (ნახ. 39.).

5. მოდულური კორდინაციის გართულებისა და კლასიკური ოპტიმიზაციის მეთოდებთ მათემატიკური მოდელის შეუსაბამობის გამო შერჩეულ იქნა ე.წ. იმიტაციური მოდელირების მეთოდი, რომელმაც საშუალება მოგვცა გათვალისწინებულყოფიერ ძნელად ფორმალიზებული (ადამიანური „კაპრიზები“) მოთხოვნები.



5. მოდულური კორდინაციის გართულებისა და კლასიკური ოპტიმიზაციის მეთოდებთ მათემატიკური მოდელის შეუსაბამობის გამო შერჩეულ იქნა ე.წ. იმიტაციური მოდელირების მეთოდი, რომელმაც საშუალება მოგვცა გათვალისწინებულყოფიერ ძნელად ფორმალიზებული (ადამიანური „კაპრიზები“) მოთხოვნები.



ნახ. 39. ალგორითმის მუშაობის სქემა

ანალოგიური ალგორითმი ჩვენ მიერ გამოყენებული იქნა სხვა შენობების პროექტირებისა და რეალიზაციის პროცესში. ნიუტონის სკოლის, პროექტირების დროს. სკოლა ქ. თბილისში მშენებარე პროექტია, ფასადი მოპირკეტებულია კომპოზიტური HPL პანელებით. პროექტის საინვესტიციო ღირებულებაა 5 მილიონი ევრო (სურ. 10., სურ. 11. და სურ. 12.).



*სურ. 10. ნიუტონის სკოლა*



აღნიშნულ პროექტში ფასადის ფერადი გადაწყვეტა ინიცირებულ იქნა ე. წ. ვორონოვის დიაგრამის იდეით, რაც გამიხატება ფერადი ფილების განაწილებაში ფასადზე. კერძოდ: ზოგადად ეს მეთოდი წარმოადგენს ფრაქტალური გეომეტრიის კერძო ასპექტს, სადაც ფილების განთავსება განსაზღვრულია ე. წ. “რეაქტორის“ ალბათური რანდომიზირებული ხასიათით (სტოქასტიური ფრაქტალი) [146].





*სურ. 11. თავისუფლების თეატრის ფასადი*




*სურ. 12. პეტრიაშვილის ქ. #46 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი*

კონსტრუქციულ-გეგმარებითი ელემენტების პარამეტრების დადგენა.

ოპტიმალური, ალტერნატიული, სუბოპტიმალური და ნორმატიული კონსტრუქციულ-გეგმარებითი ელემენტების სიმრავლის ფორმირება, მათ შორის „სინათლის ფრონტის“ და პარცელების გაზარიტების დადგენა (ნახ. 40. და სურ. 13. და სურ. 14.).



ნახ. 40. არსებული შენობის გეგმა



სურ. 13. მასობრივი საცხოვრებლის სათავსოების პარამეტრები

### შენობის 3D სკანირება და BIM მოდელირება

- შენობის სკანირება 3D სკანერით
- სკანირებულ მასალაზე დაყრდნობით, შენობის BIM მოდელის აწყობა და ზუსტი აზომებითი ნახაზების შედგენა ;
- მიმდინარე მშენებლობის ინსპექტირება, 3D სკანერით

### შენობის 3D სკანირების პროცესი და უპირატესობა

- არსებული შენობის ან მიმდინარე მშენებლობის სკანირება
- სკანირებული მასალის დამუშავება
- 3D მოდელირება ან აზომებითი ნახაზების შედგენა
- პრინციპული უპირატესობა : ზუსტი ნახაზები, ტეკნოლოგიის მაღალი დონე
- მიმდინარე მშენებლობის ინსპექტირება და პროექტთან შესაბამისობის შედარება

#### პროცესი

სკანირება

დამუშავება

3D მოდელი

#### ტექნოლოგია

შენობის სკანირება → სკანირებული მონაცემების დამუშავება → შენობის BIM მოდელი (AUTODESK REVIT) → შენობის მოდელი ციფრული შეჯერის სახით

სურ. 14. კონსტრუქციულ-გეგმარებითი ელემენტების პარამეტრების დადგენა 3D სკანერით

### 3.4. შენობის ინფორმაციული მოდელირება 3D BIM

ამ ეტაპზე წარმოებს პროექტზე მონაცემთა ერთიანი ბაზის გენერაციის პროცესი. თავის თავში მონაცემები მოიცავს მშენებლობისთვის გამოყენებულ შენობის კომპონენტებს. ინფორმაცია კომპონენტებზე უნდა შეიცავდეს მთელ გეომეტრიას და რეალური ობიექტის ყველა თვისებას.

მონაცემები მაგალითიდან ეყრდნობა დოკუმენტებს, რომლებიც მიღებული იყო უშუალოდ საპროექტო ოფისიდან. შემოთავაზებული მოდელის შემოწმების მიზნით შემუშავებულია საინფორმაციო 3D მოდელი.


3D BIM პროექტირების პროცესი შედგება შემდეგი ბიჯებისაგან:

1. პროექტის ნახაზების ანალიზი;
2. პროექტის სპეციფიკაციის ანალიზი;
3. შენობის მოდელირება.

პროექტის ნახაზები ძირითადი ტექნიკური დოკუმენტაციაა, რომლის მიხედვითაც შენობას აგებენ. ისინი მოიცავენ გენერალურ გეგმას, გეგმებს, ჭრილებს და ფასადებს.

პროექტის სპეციფიკაციები შეიცავენ ყველა ტექნიკური მოთხოვნის, მშენებლობის პარამეტრების, ელემენტების დაწვრილებით აღწერას, რომელთა მონტაჟიც განხორციელდება ამა თუ იმ სამშენებლო ობიექტის აშენებისას.

ნახაზებისა და მოცემული მაგალითის სპეციფიკაციის საფუძველზე შექმნილი იყო შენობის საინფორმაციო მოდელი, რომელიც შეიცავს თავში 3D მოდელს და ყველა კონსტრუქციული ელემენტები იდენტიფიკაციურ პარამეტრებს. ძირითად ელემენტებს, ან ნაწილებს მიაკუთვნებენ საძირკვლებს, სვეტებს, სართულშორისი გადახურვებს, კედლებს, ტიხრებს, კიბეებს, ფანჯრებს, კარს, სახურავს, შიგა მოპირკეთებას და გარე მოპირკეთებას (სურ. 15.). გამოხატავს მოცემული მაგალითის 3D BIM-ს, რომელიც ორგანიზებული და შემუშავებულია Autodesk Revit პლატფორმის ბაზაზე.



სურ.15. შენობის 3D მოდელი


მასალების და შემადგენელი კომპონენტების რაოდენობრივი ანალიზის სამუშაო წიგნების ფორმირება.

მოცემულ ბიჯზე შენობის აგებული 3D მოდელი ექსპორტირებული იყო პროგრამაში Autodesk Navisworks. ფორმირებულ იქნა შენობის კომპონენტების სია, ჩატარდა შენობის კომპონენტების კლასიფიკაცია და განისაზღვრა კომპონენტების ჯგუფები მეორე თავში შემოთავაზებული პროექტის იერარქიული სტრუქტურის საფუძველზე. თითოეული ცალკეული კომპონენტის და კომპონენტების ჯგუფებისთვის, რომლებიც ერთდროულად აიგება განსაზღვრული იქნა იდენტიფიკაციური კოდი ID.

კომპონენტების კატალოგში გაერთიანდა კომპონენტების სია და კომპონენტების იდენტიფიკაციური კოდები. შემდეგ ჩატარდა ობიექტის მოდელის და პარამეტრების ავტომატიზებული გაანგარიშება შენობის მოდელის სხვადასხვა კომპონენტების ამოსაკლებად.

სურ. 16.-ზე ნაჩვენებია სამუშაო წიგნის ნაწილი შენობის კომპონენტების რაოდენობის მითითებით. მარცხნივ განლაგებულია შენობის კომპონენტების ჯგუფების მონაცემები და მათი შესაბამისი ID.

მარჯვნივ ნაჩვენებია თითოეული ჯგუფის ელემენტები და მათი გაანგარიშებითი ფართები და მოცულობები.



სურ. 16. შენობის კომპონენტების რაოდენობის სამუშაო წიგნი

### 3.5. სამუშაოების თანმიმდევრობის, რესურსების, სამუშაოს ხანგრძლივობისა და თითოეული სამუშაოს ღირებულების განსაზღვრა

შენობის მოდელის გაანგარიშების მონაცემები ამ ეტაპზე ექსპორტირდებოდა შემდგომი განხილვებისთვის პროგრამაში Microsoft Excel.

შემუშავებული მაკროსის Microsoft Excel და ძველი ანალოგიური პროექტების მონაცემების გამოყენებით ავტომატურად განსაზღვრული იყო სამუშაოები, საჭირო შენობის კომპონენტების საძირკვლების, სვეტების, სართულშორისი გადახურვების, კედლების, ტიხრების, კიბეების, სახურავის, შიგა და გარე მოპირკეთების შესრულებისთვის.

შემდგომში სამუშაოებისათვის დანიშნული იყო რესურსები. რესურსების გამომუშავების ნორმები დღე-ღამეში და მათი ღირებულების დღე-ღამური ნორმები ავტომატურად ამოღებული იყო ძველი წლების ანალოგიური პროექტების მონაცემთა ცხრილებიდან. გამოთვლილი იყო

თითოეული სამუშაოს ხანგრძლივობა და ღირებულება. ასევე განსაზღვრული იყო სამუშაოებს შორის ლოგიკური დამოკიდებულება.

სურ 17.-ზე ნაჩვენებია სამუშაოთა ყველა პარამეტრის ცხრილი. ეს პარამეტრები შეიცავს ID შენობის კომპონენტებს, კომპონენტები, კატეგორიები, მოედნები, მოცულობები, სამუშაოები, ხანგრძლივობები და შესაბამის სამუშაოთა ღირებულებები.

ID	Name	Category	Volume	Duration	Formwork	Reinforcement	Concrete	Formwork Remove	Other
34	2nd F. Columns, Shear walls C	Columns	56.16	11.09	16	20	2.81	1500	871
						10	1.11	3600	10399
						50	0.22	6500	5980
						30	1.87	800	0
							6.01		29650
35	2nd F. Slab, Stairs A	Slab	344.90	68.98	1	80	4.31	2500	5350
						30	2.29	5400	64684
						80	0.86	6500	18542
						150	2.29	800	0
							9.75		103776
36	2nd F. Slab, Stairs B	Slab	356.18	72.85	2	80	4.45	2500	5525
						30	2.42	5400	68125
						80	0.91	6500	19528
						150	2.37	800	0
							10.15		108378
37	2nd F. Slab, Stairs C	Slab	344.90	68.98	1	80	4.31	2500	5350
						30	2.29	5400	64684
						80	0.86	6500	18542
						150	2.29	800	0
						0	9.75		103776
38	2nd F. Brickworks A	Walls	354.04	41.29	12	80	4.43	1700	15800
							4.43		17500

სურ.17. პროექტის სამუშაოთა ყველა პარამეტრის განსაზღვრა


### 3.6. პროექტის კალენდარული გეგმის გაანგარიშება

ამ ეტაპზე Microsoft Excel არედან Microsoft Project პროგრამაში ექსპორტირდა მონაცემები ყველა სამუშაოზე, სამუშაოებს შორის თითოეული სამუშაოს ხანგრძლივობის დამოკიდებულების მონაცემები პროექტის ზუსტი და სრული განრიგის მისაღებად. ეს განრიგი შეიცავს:

- კრიტიკული გზის გაანგარიშება კრიტიკული სამუშაოების გამოვლენით;
- სამუშაოთა დასრულების ადრეული და გვიანი დროების განსაზღვრა;
- დროის რეზერვის განსაზღვრა არაკრიტიკული სამუშაოებისთვის;
- პროექტის დასაწყისისა და დასრულების დროის განსაზღვრა.

სურ. 18.-ზე გამოსახულია Microsoft Project პროგრამის ინტერფეისი. მარცხნივ განლაგებულია პროექტის რეალიზაციის პარამეტრების მონაცემები: სამუშაოების სია, სამუშაოთა დაწყებისა და დასრულების თარიღები. მარჯვნივ გამოსახულია განტის დიაგრამა.

სამუშაოების დაწყებისა და დასრულების მოცემული თარიღები ინახება CSV ფაილის ფორმატში, იმისათვის რომ შემდეგ შეუერთდეს შენობის 3D მოდელს პროექტის 4D მოდელის შექმნისთვის.



სურ. 18 შენობის კალენდარული გეგმის გაანგარიშება

### 3.7. პროექტის კალენდარული გეგმის ოპტიმიზაცია

პროექტის სამუშაოთა შესრულების ნორმალური რეჟიმის გამოყენებისას ისევე, როგორც რეალური მშენებლობისას პროექტის შესრულების დრო იყო 260 დროის ერთეული და მისი ღირებულება 8192468 ღირებულების ერთეული. მაგრამ, ნორმალური რეჟიმის გამოყენებას ყველა შემთხვევაში არ მივყავართ პროექტის მინიმალური საერთო ღირებულების მიღებასთან.



მხედველობაში თუ მივიღებთ, რომ არსებობს სამუშაოთა შესრულების ხერხების (რეჟიმების) სხვადასხვა ალტერნატივები, რომლებსაც შეუძლიათ ჩაირთონ თავის თავში რაოდენობების ადამიანების, დანადგარების, მეთოდების და ტექნოლოგიების შესაძლო კომბინაციები, ოპტიმალური გადაწყვეტის ძებნა (პროექტის შესრულების საერთო მინიმალური ღირებულების) დამდღელ პროცესად რჩება, ბევრ დროს გვართმევს.

მოცემული პროექტი კომპონენტების 141 ჯგუფისგან და დაახლოებით 400 სამუშაოსგან შედგება. შემოთავაზებული ალგორითმის აპრობირების მიზნით პროექტის თითოეული სამშენებლო ოპერაციისთვის გამოყენებული რესურსების საფუძველზე ფორმირებული იყო მშენებლობის ორი ალტერნატიული რეჟიმი. მოცემული პროექტის შესაძლო ალტერნატიული გეგმის საერთო რაოდენობამ შეიძლება  $1,87e + 67$  მიაღწიოს, ამიტომ სამშენებლო სამუშაოების შესრულების საუკეთესო სტრატეგიის განსაზღვრისთვის გადარჩევის მეთოდით, პრობლემურია.

შემოთავაზებული ალგორითმი გვთავაზობს ოპტიმიზაციის 3 სცენარს:

1. პროექტის ღირებულების მინიმიზაცია;
2. პროექტის ხანგრძლივობის მინიმიზაცია;
3. პროექტის საჭირო ხანგრძლივობის მიღწევა.

შემუშავებული ალგორითმის გამოყენების შედეგები ნაჩვენებია ცხრილი 23-ში.

**სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა.** არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტირების ღირებულების მინიმიზაციის სცენარის გამოყენების დროს გაანგარიშების შედეგებმა გვაჩვენა, რომ პროექტის ღირებულება 8156588 ღირებულების ერთეულს შეადგენს, ეს კი საერთო ნორმალურ ღირებულებაზე ნაკლებია 0,44%-ით დროის ეკონომიით 7,69%.

პროექტის ხანგრძლივობის მინიმიზაციის სცენარის გამოყენების დროს შედეგებმა გვაჩვენა, რომ პროექტის მინიმალური ხანგრძლივობა 165

დროის ერთეულს შეადგენს დაის პროექტის ნორმალურ ხანგრძლივობაზე 36,54%-ით ნაკლებია, ხოლო ღირებულებით 5,37%-ით მეტი.

ცხრილი 23.-ში ნაჩვენებია პროექტის საჭირო ხანგრძლივობის მიღწევის რამდენიმე სცენარი. მაგალითად, თუ პროექტის ხანგრძლივობა 200 დროის ერთეულის ტოლია, მაშინ ის პროექტის ნორმალურ ხანგრძლივობაზე 23,08%-ით ნაკლებია, მაგრამ ღირებულებით 2,44%-ით მეტი.

ცხრილი 23.

**შემოთავაზებული ალგორითმის შედეგები**

	პროექტის დრო	პროექტის ღირებულება	დანახარჯების ეკონომია	დროის ეკონომია
ნორმალური რეჟიმი	260	8192468		
მინიმალური ღირებულება	240	8156588	0,44 %	7,69 %
მინიმალური დრო	165	8632041	- 5,37 %	36,54 %
საჭირო დრო	250	8179960	0,15 %	3,85 % ■
	230	8225041	-0,40 %	11,54%
	220	8290837	- 1,20%	15,38%
	210	8328026	- 1,65 %	19,23 %
	200	8392223	- 2,44 %	23,08 %
	190	8467754	- 3,36 %	26,92 %
	180	8508888	- 3,86 %	30,77 %
	170	8608472	- 5,08 %	34,62 %

ალგორითმები იცდებოდა თითოეული სცენარისთვის 10 გაანგარიშებაზე. შედეგები ნაჩვენებია ცხრილი 24.-ში წარმატების პროცენტი თითოეული ამოცანის მინიმალურ მნიშვნელობამდე მიღწეული ცდების რაოდენობის (ღირებულების და დროის) ფარდობაა გამოცდათა საერთო რიცხვთან. ალგორითმის დამუშავების დრო ერთი გამოცდის ხანგრძლივობის ტოლია. მაგალითად, გაანგარიშებაში ღირებულების

მინიმალური მიზნით შედეგი 8157616 ღირებულების ერთეული მიღებული იყო ორჯერ, შედეგი 8156588 ღირებულების ერთეული მიღებული იყო რვაჯერ, ამავე დროს ყველა გამოცდისას პროექტის ხანგრძლივობად მიღებული იყო 240 დროის ერთეული.

ცხრილი 24.

**გამოცდის შედეგები**

ამოცანა	მინიმალური ღირებულება	საშუალო ღირებულება	მინიმალური ხანგრძლივობა	საშუალო ხანგრძლივობა	წარმატების %	დამუშავების დრო წმ.
მინიმალური ღირებულება	8156588	8156794	240	240	80	5
მინიმალური დრო	8632041	8637971	165	165	60	5
საჭირო დრო	8392223	8407563	200	200	60	7


**3.8. პროექტის 4D მოდელის სიმულაცია**

სამშენებლო სამუშაოების კალენდარული გეგმა შეიძლება უშუალოდ Navisworks შევქმნათ, ან მისი იმპორტირება მოვახდინოთ Microsoft Project პროგრამიდან. იმის შემდეგ, რაც Navisworks აღწერილია სამშენებლო სამუშაოები, აუცილებელი გახდა დავაკავშიროთ სამუშაოები და მოდელის კომპონენტები ურთიერთკავშირის ზედდების მეთოდით.

ურთიერთკავშირის ზედდების გასამარტივებლად გამოიყენებოდა კომპონენტების ნაკრები კატეგორიების მიხედვით, ე.ი. ობიექტების ჯგუფები, გაერთიანებული განსაკუთრებული იდენტიფიკაციური კოდის ID პრინციპით, მოდელი ID-ზე მონაცემებს შეიცავს და მათი დახმარებით კომპონენტები მიეზმება შესაბამის სამშენებლო სამუშაოებს.

პროექტის 4D მოდელი შენობის მოდელის აშენების სიმულირებას ახდენს მშენებლობის დაწყებისა და დასასრულის თარიღების

შესაბამისობაში პროექტის სიმულაცია საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ მშენებლობის პროცესის ვიზუალიზაცია, რაც თვალსაჩინოდ გადაცემს მთელი პროცესის იოლად, აღსაქმელად, გასაგებ და წარმოსადგენ ინფორმაციას (ნახ. 41.).



ნახ. 41. პროექტის 4D მოდელი

### 3.9. სამუშაო სივრცეების ვიზუალიზაცია

სამუშაოთა კალენდარული გეგმა გულისხმობს სხვადასხვა სამუშაოთა პარალელურ წარმართვას, მაგრამ არ განიხილავს სამშენებლო წარმოების სამუშაო ზონებს, რამაც შეიძლება სამუშაო სივრცეების გადაკვეთა გამოიწვიოს.

აუცილებელია უზრუნველვყოთ სამუშაო სივრცეებთან დაკავშირებული პრობლემების ადრეული იდენტიფიკაცია, იმისათვის, რომ შევამციროთ პროექტის განხორციელების გეგმიდან გადახვევა. ეს შეიძლება შემდეგი მოქმედებების შესრულებით მოვახდინოთ.

მშენებლობების თითოეული სამუშაოს დაწყებისა და დასრულების თარიღები, კალენდარული გეგმა, რომლებიც შენობის თითოეულ კომპონენტთანაა შესაბამისი 3D მოდელი, უკავშირდებიან სამუშაო სივრცეებს, რომ ასახონ ისინი 4D რეჟიმში.


მშენებლობის თითოეული გეგმის კომპონენტებისა და სამუშაო სივრცეების 4D ვიზუალიზაციის განხილვისას, შეიძლება არსებული კონფლიქტების გათვლა და განსაზღვრა, თუ რომელ გეგმას აქვს კონფლიქტების მინიმალური რაოდენობა.

სამუშაო სივრცეების ზომები გაიცემოდა შენობის ასაგები კომპონენტების ზომების გათვალისწინებით.

ნახ. 42.-ზე ნაჩვენებია სამუშაო სივრცე. პირველი სართულის ფილის მშენებლობისთვის გამოყოფილი (ზონა „A“) და სამუშაო სივრცე პირველი სართულის სვეტების მშენებლობისთვის (ზონა „B“). პროექტის 4D გრაფიკის განხილვისას გამოჩნდა, რომ არსებობს ამ სამუშაოებს შორის კონფლიქტები.


ამ კონფლიქტის მოსახსნელად, სვეტების მშენებლობა უნდა გადაიდოს და სამუშაოები ჩატარდეს სარტულშორისი გადახურვის მშენებლობის დასრულების შემდეგ. მაგრამ, სვეტების საერთო დროის რეზერვი ნულის ტოლია. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი შეფერხება სამუშაოში სვეტების აგების დროს მთელ პროექტს შეაფერხებს.

არსებობს ამ პრობლემის გადაწყვეტის სხვა შესაძლებლობა, სარტულშორისი გადახურვის სამუშაოების დაჩქარების და სვეტების აგების დაწყების საჭირო დრომდე, დასრულების ხარჯზე.



**ნახ. 42. სამუშაო სივრცეების და კონფლიქტების 4D ვიზუალიზაცია**

ნახ. 43.-ზე ნაჩვენებია სამუშაო სივრცეები, რომლებიც აუცილებელია „A“ ზონაში კედლების აგების სამუშაოთა შესრულებისთვის. პროექტის 4D გრაფიკის განხილვისას, გამოჩნდა, რომ კონფლიქტი ასევე არსებობს სამუშაოთა შორისაც. რამდენადაც სამუშაოები ერთ ზონაში მიმდინარეობს და ყველა ერთი და იგივე კატეგორიას მიეკუთვნებიან, ამიტომ ასეთი კონფლიქტები შეიძლება გადაყვეტილი იყოს სამუშაოთა ნაკადის მიმართულების რეორგანიზაციის გზით (შესრულების მიმართულება).



ნახ. 43. სამუშაო სივრცეების და კონფლიქტების 2 4D ვიზუალიზაცია

### 3.10. სამუშაოს შედეგების ანალიზი და შემდგომი კვლევების პერსპექტიული მიმართულებები

პროექტების და კალენდარული დაგეგმვის ინტეგრირებული ავტომატიზაციის შემუშავებაზე შემოთავაზებული მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია მოკლე დროში შევიმუშაოთ პროექტის 4D მოდელი და შევაფასოთ პროექტის სამუშაოთა ხერხების სხვადასხვა ვარიანტები საუკეთესო კალენდარული გეგმის შესამუშავებლად.

შემოთავაზებული GA მეთოდის გამოყენებით სატესტე მაგალითების გაანგარიშების რიცხვითი შედეგების შედარებამ ამოცანის სხვა მეთოდებით გადაწყვეტის შედეგებთან, მათ შორის სამეცნიერო ანალიზში, საშუალება მოგვცა ჩაგვეტარებინა შესრულებული გაანგარიშების ნამდვილობის და სიზუსტის შეფასება, რამაც გვაჩვენა, რომ კალენდარული გეგმის ოპტიმიზაციის შემუშავებულ მეთოდს მონაცემთა დამუშავების პროცესის მინიმალური დრო სჭირდება, ემთხვევა ოპტიმალურ გადაწყვეტას და საშუალებას გვაძლევს მოვძებნოთ პროექტის შესრულების რამოდენიმე სცენარი.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სამუშაო სივრცის ორგანიზებასთან დაკავშირებული პრობლემების ადრეული იდენტიფიკაცია საშუალებას გვაძლევს შევამციროთ მოცდენის დრო, გავაუმჯობესოთ სამუშაოთა ხარისხი, ასევე შევამციროთ პროექტის განხორციელების გეგმიდან გადახრა.

შემდგომი კვლევის პერსპექტიული მიმართულებიდან შეიძლება ორი მიმართულება გამოვყოთ:

- შეზღუდული რესურსების პრობლემის აღრიცხვა, როცა რომელიმე მომენტში საჭირო რესურსების რაოდენობა აღემატება რესურსების ხელმისაწვდომ რაოდენობას;
- სამუშაო სივრცეების ყველა სახეობის აღრიცხვა (არა მხოლოდ შენობის კომპონენტების ირგვლივ, არამედ მშენებლობის მთელ მოედანზე) საჭირო მშენებლობის მსვლელობისას.

### **მე-3 თავის დასკვნები**

1. იმ შემთხვევაში, როცა მათემატიკური მოდელები დამაკმაყოფილებელ შედეგს იძლევიან მხოლოდ მცირე ზომის არქიტექტურულ-სამსენებლო პროექტირების ოპტიმიზაციის ამოცანის გადასაწყვეტად, შემოთავაზებულმა ოპტიმიზაციის მეთოდიკამ კარგი შედეგები გვაჩვენა პროექტის სამუშაოთა რიგ მნიშვნელოვან შემთხვევაში.
2. შემოთავაზებული ალგორითმის შედეგები ანალოგიური იყო სხვა ევოლუციურ ალგორითმებთან, რასაც ამტკიცებს გაანგარიშებათა უტყუარობა, რიგ შემთხვევებში შედეგები კიდევ უკეთესი იყო.
3. შემოთავაზებული დაჩქარებული გენეტიკური ალგორითმი იყენებს პოპულაციის და თაობათა ნაკლებ რიცხვს, ვიდრე სხვა ევოლუციური ალგორითმები, ეს კი ნიშნავს, რომ შემოთავაზებულ ალგორითმს შეუძლია გამოთვლის დროის შემცირება.
4. ოპტიმიზაციის შემოთავაზებულმა მეთოდიკამ აჩვენა ალგორითმის უნარი, გადაწყვიტოს ამოცანები ლოგიკური ფარდობის სხვადასხვა ტიპებით და სამუშაოებს შორის წყვეტების გათვალისწინებით.
5. შემუშავებულმა პროგრამამ შეიძლება წარმოადგინოს პროექტის შესრულების ხანგრძლივობის გაანგარიშების სხვადასხვა სცენარი შესაბამის ხარჯებთან ერთად, იმისათვის, რომ მიეხმაროს მშენებლობის გრაფიკის ოპტიმიზაციის გადაწყვეტის მიღებაში.

6. პროგრამამ აჩვენა თავისი უნარი რეალური პროექტის და ოპტიმიზაციის სცენარების მოქნილი გამოყენების ამოცანების გადასაწყვეტად, სხვადასხვა კრიტერიუმებისგან დამოკიდებულებით.
7. სამუშაოთა შესრულების სხვადასხვა შესაძლო ხერხების კომბინაცია პროექტის მრავალი ალტერნატიული გეგმის გენერირებას ახდენს თავისი ხანგრძლივობით და ღირებულებებით, მაგრამ, შემოთავაზებული ალგორითმის პროგრამული რეალიზაცია შედეგს ძალიან მოკლე დროში გვაძლევს.
